ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს | №44 (1674) | 19–22 ივნისი, 1998წ. ● ფასი 50 თეთრი

## „მე რომ დეპუტატი არ გავმხდარიყავი და მოსკოვში მეცხოვრა, ახლა ან დაჭერილი ვიქნებოდი, ან ძებნილი...“



მეორე გვერდი

### მოქკავშირელებო, არა მოგელანდოთ რა, რჩეულიშვილი ძველი პროპაგანდისტია!



მეორე გვერდი

### „პოლიტიკა, რომელსაც ატარებს პრეზიდენტი, რუსეთის მიერ მართული პოლიტიკაა“ — ითქვა ეროვნული თანხმობის დარბაზის სხდომაზე

მეოთხე გვერდი

### აფხაზეთის ომით დაბრუნებაზე საუბრისას ვაჟა ლორთქიფანიძე დუმს




მესამე გვერდი

### ფოთის გემთმშენებელი ქარხანა გაიყიდა

მე-11 გვერდი




### კიბოს განკურნება შესაძლებელია



მე-9 გვერდი

### „FBI“ და ქართული გამოძიება, ანუ რა მიზანს ემსახურება „პოლიტიკური პოლიციის“ შექმნის მცდელობა?..

მეორე გვერდი



# მოქკავშირელებო, არა მოგელანდოთ რა. რჩეულიშვილი ძველი პროპაგანდისტია!

რაც ბოლო პერიოდში ლაგოდეხის მადლიან მიწაზე „მოქალაქური" ცოდვები დაფიქსირდა, ვახტანგ რჩეულიშვილისთვის მზემ ლაგოდეხიდან დაიწყო ამოსვლა...

ხუმრობა იქეთ იყოს და სავსე-



ბით სერიოზულად საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე ადრე აქ თენდება თურმე. არავინ იცის, სოციალისტთა გეოპოლიტიკური ხედვისა და უდროოდ დალუპული დეპუტატის ბედისწერის თანხვედრაა თუ არა, მაგრამ ცხადია, არჩევნები რომ სხვა რაიონში ჩატარებულიყო, ასეთივე აქტიურობით შეუტევდნენ ისინი მმართველ ძალას, რომელმაც თავის ამომრჩევლებში, სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში არც მეტი, არც ნაკლები, ზიზღი დაიმსახურა. ეს რომ არა, დღეს მოქკავშირელებს არ მოუხდებოდათ ლაგოდეხში გამართულ საარჩევნო ურნებში ანთებული სიგარეტების ჩაყრა და ელექტროენერგიის ხელოვნური გამორთვები ბიულეტენების „გასაქრობად." ეს არ იკმარეს და ვახტანგ რჩეულიშვილს ბათუმიდან მოლების ჩამოყვანა დააბრალეს, ქვანია კი, „აგრესიული აქციების" გატარებას პირდება.

— რჩეულიშვილმა ლაგოდეხის არჩევნები 9 თებერვალს ჩატარებული ტერორისტული აქტიდან მორჩენილი ფულით იყიდაო — ამტკიცებენ და იმის აღიარება კი არ უნდათ, რომ სოციალისტთა ლიდერი, თავისივე თქმით, „სუფთა ხელებით მოდის დღემდე პოლიტიკაში", ლაპარაკობს იმას, რასაც გულში ფიქრობს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ხალხი ტაშს უკრავს მის გამოსვლებს, ხელისუფლებას კი მიტინგებისა და მოსახლეობაზე ძალდატანებითი ზემოქმედების გარდა არაფერი დარჩენია. მოლების ამბავიც იქეთ იყოს და მოქკავშირი რომ აქტიურად იყენებს ქართულ ეკლესიას საარჩევნო აგიტაციაში, სოციალისტთა ლიდერს კადრზე აქვს დაფიქსირებული ლაგოდეხში. საარჩევნო უბანთან დგას მღვდელი თავისი ამუნაციით, კისერზე დაკიდებული ჯვრით და თავისივე „მერსედესით", რომელსაც ამშვენებს ტრაფარეტი: „ხმა მიეცით დავით კაკაბაძეს."

ვახტანგ რჩეულიშვილს რომ გასამარჯვებლად ფული სჭირდებოდეს, მაშინ იგი უპირველესად ჟურნალისტთა კორპუსის მოსყიდვის ხერხს მიმართავდა, მაგრამ რა საჭიროა, რადგან ყველა, მასმედიის ჩათვლით, ყველაფერს ისედაც ბრწყინვალედ ხედავს: ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების გზით, ეს არის სტაბილურობის გარანტია (?!).

— ჩვენ გავიარეთ გამსახურდიას სიყვარულის პერიოდი, მაგრამ ერთ წელიწადში აგორებულმა ტალღამ იმსხვერპლა პირველი პრეზიდენტი; ვნახეთ შევარდნაძის უმრავლესობის მიერ არჩევაც და დღეს ვხედავთ დიდ უკმაყოფილებას საზოგადოების მხრიდან, ამიტომ ჩვენ ძალიან გვეშინია. პროცესები არ წარიმართოს დესტაბილიზაციისაკენ, რადგან ხელისუფლების დამხობა ისევ და ისევ ხალხის გაუბედურებას გამოიწვევს — ასე მსჯელობენ სოციალისტები. უშიშროების საბჭოს კოლეგია კი, რატომღაც დესტაბილიზაციის საფრთხეს ოპოზიციის მხარეს ეძებს და „ზომების მიღებაზე" ზრუნავს. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სოციალისტები ნამდვილი „მტრის ხატის" გამოსააშკარავებელ შეკითხვებს დაუსვამენ თვით უშიშროებას: სად იყვნენ მაშინ, როდესაც ეწყობოდა ჯერ ლარსის, შემდეგ ენგურის ცნობილი აქციები მმართველი ძალის თაოსნობით, როდესაც ლაგოდეხში იგივე ძალა წაგების შემდეგ საარჩევნო უბანს არბევდა, როდესაც იძაბებოდა ურთიერთობა ცენტრსა და ბათუმს შორის?..

სიტყვამ ბათუმთან მიგვიყვანა და...

— არც სოციალისტური პარტია აპირებს „აღორძინების" ფრთებქვეშ შესვლას და არც „აღორძინების კავშირი" შევა სოციალისტური პარტიის ფრთებქვეშ. ამიტომ პარტიულ ალიანსზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენ ურთიერთობა გვექნება პარტნიორულ დონეზე — ეს ვერ შესძლო მოქკავშირმა და იმიტომ შურს რჩეულიშვილის ასლან აბაშიძესთან კეთილი სტუმრობისა. ბატონი ვახტანგი კი ალტაცებას ვერ ფარავს, რომ ბათუმში ყოველ მის ჩასვლას თითო ახალი, ევროპული სტილის შენობები ეგებება.

ბატონ ვახტანგს თავისი ერთგული თანამებრძოლები: მამა — ბ-ნი შალვა რჩეულიშვილი და მეუღლე — ქ-ნი მაიკო პრესკონფერენციაზეც კი არ ტოვებენ მარტო, მაგრამ მას წინ მაინც 21 ივნისის დიდი გამოცდა ელის.

**ხათუნა ხატიაშვილი**

# „FBI" და ქართული გაუგ... [წარწერის ნაწილი გაუგებარია]

## ანუ რა მიზანს ემსახურება „პოლიტიკური პოლიციის" შექმნის მცდელობა



კორუფცია რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თანმდევი ფორმაა, ეს ისედაც კარგად ვუწყით. იგი საფრთხეს უქმნის არა მარტო ხელისუფლების ამა თუ იმ შტოს, არამედ მთლიანად ქართულ სახელმწიფოებრიობას. ამ ეტაპზე კორუფციასთან ბრძოლის არა თუ გაგრძელებით, არამედ დაწყების აუცილებლობა მთელი სიმწვავით უნდა დაისვას.

კორუფციასთან ბრძოლის დაწყების მნიშვნელოვანი ფაქტორი უპირველესად საზოგადოების მართლშეგნების ამაღლებაა, რომელიც უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფლების ნებით უნდა მოხდეს. არა მგონია, აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში შექმნილმა ცენტრალიზებულმა კორუფციასთან ბრძოლის სპეციალურმა სამსახურმა შეამციროს ამ დანაშაულის მასშტაბები. უფრო მეტიც, მან შეიძლება კორუმპირებული ჩინოვნიკებისაგან „დოლიის" ამკრეფის ფუნქციაც იკისროს. ამით ერთ სისტემაში თავი მოუყაროს და ერთგვარი ორგანიზება გაუკეთოს ქვეყანაში აქამდე არსებულ პოლიტიკურ-კლანურ ბიზნესსა თუ კორუფციას. არც ისაა გამორიცხული, რომ საქართველოს პრეზიდენტთან არსებული კორუფციასთან ბრძოლის სპეციალურმა სამსახურმა პირდაპირი გაგებით პოლიტიკური პოლიციის სახე მიიღოს და მოახლოებულ საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის ინტერესების განხორციელების ქმედითი იარაღი გახდეს. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული სამსახურის უფროსი პირადად პრეზიდენტის მიერ ინიშნება და ვალდებულია სამსახურებრივი მოძიების შედეგები პირადად მას წარუდგინოს. სამსახურის დანარჩენი თანამშრომლები პრეზიდენტის მი-

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

# ახალი ამბები

## გიორგაძეებს იოსებ სტალინის სახელობის ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის ცკ-იც გამოესარჩლა



„მამა-შვილი გიორგაძეები ჭეშმარიტი მამულიშვილები არიან, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძვიან სამშობლოს კეთილდღეობისათვის" - ნათქვამია საქართველოს იოსებ სტალინის სახელობის ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის საპროტესტო განცხადებაში საქართველოს გენერალური პროკურორის, ჯამლეთ ბაბილაშვილის სახელზე.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, შეწყდეს უსაფუძვლო ბრალდებები მამა-შვილი გიორგაძეების, საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიისა და სახალხო-პატრიოტული ბლოკის მისამართით.

განცხადებაში, აგრეთვე, აღნიშნულია: „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის აკრძალვა, რომლითაც თქვენ იმუქრებით, იქნება დაუფარავი ფაშისტური გამოხდომა, ცდა რეპრესიული მეთოდებით როგორმე შეაკავოთ მზარდი სახალხო უკმაყოფილება დღევანდელი ოლიგარქიული, უკიდურესად რეაქციული რეჟიმის მიმართ.

სეკ პარტია და მისი ლიდერი, პანტელეიმონ გიორგაძე არ არღვევენ მოქმედი კონსტიტუციის არც ერთ დებულებას. საქართველოს პროკურატურამ უმჯობესია განიხილოს პრეზიდენტ შევარდნაძისა და ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა მრავალგზის დარღვევა, როცა სრულიად უსაფუძვლოდ სეკ პარტია და მისი ლიდერი, პანტელეიმონ გიორგაძე მოიხსენიება, როგორც მეხუთე კოლონა, ხოლო უსამართლოდ დევნილი პოლიტიკური მოღვაწე, იგორ პანტელეიმონის ძე გიორგაძე - საერთაშორისო ტერორისტი".

### საქმეზე კვალიფიციური სპეციალისტები მუშაობენ

თბილისში გახმაურებული ფაქტის შესახებ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, საქართველოს შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროებისა და ჯანდაცვის სამინისტროებმა ერთობლივი განცხადება გააკეთეს, რომელშიც აღნიშნულია:

„მიმდინარე წლის 17 ივნისს, დაახლოებით 10 საათზე თბილისში, მცხეთის ქუჩის №8-ში მდებარე საკუთარი ბინის საძილე ოთახში აღმოჩენილ იქნა 1965 წელს დაბადებული ლაშა გურამის ძე შარაძის გვამი - თავში ცეცხლსასროლი იარაღის ჭრილობით. ადგილზევე იქნა ნაპოვნი „მარგოლინის" სისტემის პისტოლეტი მჭიდის გარეშე, ერთი გასროლილი ვაზნით.

მიღებული შეტყობინებისთანავე შემთხვევის ადგილზე გავიდნენ საქართველოს გენერალური პროკურატურის, შინაგან საქმეთა, უშიშროებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა, აგრეთვე ქალაქის შს მთავარი სამმართველო და ქალაქ თბილისის პროკურატურა. საქართველოს გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით, მოცემული ფაქტის გამოსაძიებლად შეიქმნა საუწყებათაშორისო ერთობლივი საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფი. ლაშა შარაძის გარდაცვალების მიზეზების გამოსაკვლევად აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მაღალკვალიფიციური მედიკოს-ექსპერტებისა და შესაბამისი სამსახურების კრიმინალისტების მონაწილეობით დანიშნულია კომპლექსური ექსპერტიზა ლაშა გურამის ძე შარაძის სიკვდილის მიზეზების და მექანიზმის დასადგენად. საქმე გამოსაძიებლად თავის წარმოებაში მიიღო საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა".

საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო გეა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

### ცინიზმს საზღვარი არ აქვს

აფხაზ ბოევიკთა ცინიზმმა უკვე ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. მათთვის უკვე დაწესებულ ნორმად იქცა მათივე დახვრეტილი მშვიდობიანი მოსახლეობის ნათესავების გაძაცემისთვის გამოსასყიდის მოთხოვნა. როგორც გეა-ს ზუგდიდიდან აცნობეს, 20 მაისს გალის არხთან დახვრეტილი რამდენიმე ქართველი აფხაზებმა არხშივე ჩაყარეს. ისინი გუშინ გამორიყა არხმა სოფელ პრიმორსკთან. სოფელში მყოფმა აფხაზებმა ადგილობრივ მცხოვრებს აიძულეს არხიდან ამოეღოთ მოტივტივე 12 გვამი. მათგან ორი ამოიცნეს - ძმები: ორენ და რუბენ ფარეიშვილები და ენგურს გამოღმა ნათესავებს შემოუთვალეს, რათა ისინი გამოსასყიდი თანხით მივიდნენ მიცვალებულთა წასაღებად. დანარჩენი ათის, ამოცნობა აფხაზებმა ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხეს და მოსალოდნელია, რომ მათ ჭირისუფალსაც გაამწარებენ.

# „მე რომ დეპუტატი არ გავმხდარიყავი და მოსკოვში მეცხოვრა, ახლა ან დაჭერილი ვიქნებოდი, ან ძებნილი"...




საპარლამენტო კრიზისზე საუბრები ძლივს რომ მიწყნარდა და უმრავლესობამ სამშვიდობოს დაიგულა თავი, დეპუტატთა გარკვეულმა ნაწილმა „ხმაური" სწორედ მაშინ ატეხა. ხელისუფლებაში დემოკრატიისკენ მიმავალი ყველა გზა საგულდაგულოდ არის ჩაკეტილიო — დაასკვნა, ბოიკოტი გამოუცხადა საპარლამენტო უმრავლესობას და სხდომები მიატოვა.

ბოიკოტების ეპოქა დიდი ხანია ჩავლილი გვეგონა... ცივილიზებული მეთოდებით ვიბრძოლოთ დემოკრატიისთვისო — არცთუ დიდი ხნის წინ გაჰყვიროდნენ ჩინიანნი თუ უჩინონი.

ვინც ეძებს — პოულობსო, ამბობენ. ზოგმა ალბათ, მართლა იპოვა, რასაც ეძებდა, მშვენივრად მოერგო თბილ სავარძელს და ქვეყანა რომ თავზე დაექცეს, ნებით წამოდგომას აღარც აპირებს...

ვინც არადა... თუმცა, რა? თბილი, რბილი სავარძლების სიყვარული და მისკენ დაუოკებელი ლტოლვის, მისი შენარჩუნების საშინელი, განუკურნებელი სენი რომ ჩვენში დიდი ხანია მძვინვარებს, ეს ამბავი არც ახალია, არც საკვირველი...

სავარძლებს სითბოსთან ერთად ძალაც გააჩნია... „ყოვლისშემძლე" დიპლომატიურ იმუნიტეტს რა შეუძლია, ბოლო დროის მოვლენებმა კარგად გვაჩვენა, დეპუტატური იმუნიტეტი მას რომ ვერ შეედრება, ესეც ვიცით, მაგრამ მისი „დამცავი მექანიზმით" ბევრი მაინც სარგებლობს, ზოგი ჩუმად, ზოგიც დაუფარავად.

წინა ხელისუფლებას ვინც „გადაჰყვა", ხომ კარგი, ვინც არადა (სხვათაშორის, საკმარისზე მეტი!) ახლის ფრთის ქვეშ შეაფარა თავი. ზოგს „ძიძის" სითბო მშობლისაზე მეტად ათბობს, ზოგს კიდევ ყველაფერი ეკალივით ესობა გულზე.

ბევრმა ითმინა, ითმინა... თბილ საბუდარში უკანონოდ ჩამჯდარ „ძიძას" უკანონობა ველარ აპატია და გუდას თავი მოხსნა...

— მართალია, შევარდნაძე ორჯერ აირჩიეს პრეზიდენტად, ხალხმა მას მხარი დაუჭირა, მაგრამ კანონმდებლობის მომენტი მაინც სულ სხვა რამაა... გამსახურდია იარაღით ჩამოაგდეს, ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება და არასამხედრო, როგორც ამბობენ, ჩვენ მაშინ სამხედროები არ გვყავდნენ. თუკი კანონიერი ხელისუფლება დამნაშავე იყო, ჩვენ პასუხს ვაგებდით, მაგრამ ყველაფერი კანონის ფარგლებში უნდა მომხდარიყო. უზენაეს საბჭოს უნდა დაენიშნა არჩევნები ისე, როგორც კომუნისტურმა ხელისუფლებამ დანიშნა და ჩვენ მოვედით, — გულახდილად გამოხატავს თავის აზრს ყოფილი ხელისუფლების ერთგული წარმომადგენელი, ყოფილი შს მინისტრი, ახლა დეპუტატის უფლებებით აღჭურვილი **დილარ ხაბულიანი**.

საზოგადოებაში კარგა ხანია მიმდინარეობს მსჯელობა, როგორ უნდა შეფასდეს 1992-93 წლების მოვლენები. ზოგი პოლიტიკური პარტია ხელისუფლებისგან კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ითხოვს ამ მიმართებით. ეს ნაკლებად მოსალოდნელი იქნება, რადგან იმ ტოტის მოჭრას ემსგავსება, მშვიდად რომ სხედან ხელისუფალნი. ამდენად მათი თავშეკავების, უკან დახევის პოლიტიკა თუ პოზიცია გასაგებია. დღევანდელ ხელისუფლებაში მოკალათებულ უზენაესი საბჭოს დეპუტატების მიერ ანალოგიურის მოთხოვნა კი უცნაუროც გახლავთ ყველა სხვა სიკეთესთან ერთად და ამიტომაც დაგვჭირდა შეხსენება ახალ ხელისუფლებაში ყოფილი წარმომადგენლისთვის, რომ უკვე მეორედ არის ახალ პარლამენტში, იმ პარლამენტში, რომელიც თავად მასაც უკანონოდ მიაჩნია.

— სანამ ყველაფერს შეფასება არ მიეცემა, მანამდე ასეთი ქაოსი გვექნება, არაფერი არ გამოსწორდება, — დაჟინებით იმეორებს ბატონი დილარი და აქვე ლოგიკურ დასკვნასაც აკეთებს. — თუმცა არა მგონია, ეს მოხდეს, ხელისუფლება თავს ხომ არ დაიდანაშაულებს? ყველაფერს რომ შეფასება მიეცეს, მაშინ კანონიერი ხელისუფლება უნდა აღდგეს. დღეს ქვეყანაში არსებობენ კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები, უზენაესი საბჭოს დეპუტატები და მათი გადარჩევა უნდა მომხდარიყო უზენაესი საბჭოს მიერ, თორემ სანამ ცოცხლები იქნებიან, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები ერქმევათ.

კანონიერი ხელისუფლება მართლაც რომ აღდგეს (როგორც ბატონი დილარი ამბობს), მოლალატე დეპუტატებს სახარბიელოდ არ ექნებათ საქმე, ამას თავად ჩემი რესპონდენტიც კარგად ხვდება, მაგრამ მშვიდად არის. ჯერ ერთი, ღრმადაა დარწმუნებული, რომ მსგავსი არაფერი მოხდება და მეორეც — „ორმაგი ჯავშანი" მზად აქვს:

მე როცა მინისტრად ამირჩიეს, დეპუტატის უფლება-მოსილება უკვე შეწყვეტილი მქონდა, ამიტომ მივიღე ამ არჩევნებში მონაწილეობა. ბოლო წუთამდე ერთგული ვიყავი პრეზიდენტის. ბუნკერიდან რომ გამოვედი, თავისივე მანქანით გავაცილე საქართველოდან, ჯანმრთელობა არ მიწყობდა ხელს და ამიტომ დავშორდი. მე რომ თბილისში არ დავბრუნებულიყავი, დეპუტატი არ გავმხდარიყავი და მოსკოვში მეცხოვრა, აქ კი ის ტერაქტები მომხდარიყო, რაც ამ ცოტა ხნის წინ ვნახეთ, ახლა თუ დაჭერილი არა, ძებნილი მაინც ვიქნებოდი. დეპუტატობა იმუნიტეტია ჩემი და პატიმრობისგან, ციხისგან მიცავს. პოლიტპატიმრების ცნება კი რასაც ნიშნავს, ყველას კარგად მოეხსენება.

მოკლედ, ზოგისთვის სავარძელი თბილი, რბილი და ტკბილი გახლავთ, ზოგისთვის ციხიდან თავის დაღწევის საშუალებაც. რას იზამ? ვერ გაამტყუნებ! გალიაში ჯდომას პარლამენტში არ ურჩევნია?!

თუმც, ხელჩაქნეული ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი დღევანდელ პარლამენტში გახლავთ, მაგრამ „პულტომანიით" შეპყრობილი ნამდვილად არ არის და შეიძლება ითქვას, არც მიკროფონს აწუხებს, არც პარლამენტის თავმჯდომარეს, არც მსმენელს...

— ალბათ, თქვენს ამომრჩეველს ყველაფერი სანიმუშოდ აქვს მოწყობილი, მათი დეპუტატი სხდომებზე არაფერს რომ არ ამბობს-მეთქი. — ვკითხეთ გაოცებულებმა.

— თუ უმრავლესობის მხარდამჭერი არა ხარ, რაც გინდა თქვი, აზრი არა აქვს. საკითხი მაინც არ გავა. მე კი მიკროფონი იაფფასიანი პოპულარობისთვის სულაც არ მჭირდება.

როგორც ვხედავთ, არცთუ ურიგო თავდაცვა გამოუვიდა, სხვათა შორის ბევრი „არა მოქალაქე" მსჯელობს ასე პარლამენტში...

მოკლედ, უმრავლესობაზე და „გამყიდველ" მაჟორიტარებზე შემომწყრალმა თავადაც მაჟორიტარმა დეპუტატმა დილარ ხაბულიანმა მსგავსება და სიახლოვე „ლეიბორისტებთან" იგრძნო და მათი წევრიც გახდა, სრულ დუმილს პარლამენტში ბოიკოტის გამოცხადება ამჯობინა, „ლეიბორისტებთან" ერთად სხდომები მიატოვა და ...

რა იქნება მომავალში? ვინ იცის! „სალაყბოდ" ქცეული პარლამენტის სხდომებზე უარის თქმა დიდად გაბედული ნაბიჯია. ერთიც ვნახოთ, თბილად მოკალათებულებმა ყური არ ათხოვონ, მათი პროტესტი აინუნშიც არ ჩააგდონ... ვშიშობთ, რომ ეს ალბათ ნამდვილად ასე იქნება!

ნეტავ რას აპირებენ წინდახედული, შორსმჭვრეტელი დეპუტატები?

**მანანა ლოგუაშვილი**

ბლიც-ინტერვიუ

# აფხაზეთის ომით დაბრუნებაზე საუბრისას ვაჟა ლორთქიფანიძე დუმს

თუ ვერ ვაგვარებთ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს, რისი ნათელი დასტურიც მოსკოვში უშედეგოდ დასრულებული მოლაპარაკებებია, მივხედოთ იმას, რაც შეგვიძლია, — ალბათ მსგავსი ლოზუნგით თუ სულდგმულობდა ბ-ნი ვაჟა ლორთქიფანიძე, რომელმაც 16 ივნისს დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში დისერტაცია დაიცვა. თემა კი ისტორიული მესხეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემებს ეხებოდა. როგორც ოპონენტებისგან იქნა შეფასებული, ნაშრომი უნიკალურ მასალებს შეიცავს. ალნიშნული პრობლემები ნაკლებ შესწავლილია და შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს. ისტორიული მესხეთი, რომელიც ოდესღაც საკმაოდ დიდი იყო, სამწუხაროდ, დღეს თურქეთის სახელმწიფოშია მოქცეული, ამიტომ ნაშრომში ერთ-ერთ ძირითად საკითხად თურქეთში მცხოვრები ქართველების დემოგრაფიული განვითარების პროცესებია განხილული. ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი და არანაკლებ მტკივნეულია, მაგრამ დღეს ჩვენთვის ყველაზე მეტად მტკივნეული დაკარგული აფხაზეთია, რომელიც გამორიცხული არ არის, რომ მომავალში ანალოგიური ძიების საგანი გახდეს. სამეცნიერო საბჭოს 14-მა წევრმა კონკრეტული თემა აღიარა, როგორც სათანადოდ შესწავლილი, რასაც ავტორის პიროვნული ღირსებაც უწყობდა ხელს.

ვაჟა ლორთქიფანიძის ტიტულებსა და დამსახურებას შემატებულმა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის წოდებამ წამახალისა და ვცადე, ქართველი ელჩისგან რაიმე პოზიტიური ინფორმაცია მიმელო ქართულ-აფხაზური პრობლემის სამომავლო თემაზე, მაგრამ...

**— ბ-ნო ვაჟა, როგორც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, თქვენ ბრძანდებით საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში, რაც საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა. საინტერესოა, როგორ ახერხებდით დისერტაციაზე მუშაობას?**




— მე ამ ინსტიტუტში ვმუშაობ მრავალი წლის განმავლობაში. აქ ვიყავი უფროსი მეცნიერ-მუშაკი, საკანდიდატოც აქ მაქვს დაცული და თემებს დიდი ხანია ვიკვლევ. იყო სოციოლოგიური კვლევები, ექსპედიციები, რომელიც ასევე დიდი ხნის უკან ჩავატარე და თავმოყრილი მქონდა. ჩემმა სამსახურმა, რა თქმა უნდა, არ მომცა საშუალება, დისერტაცია თავის დროზე დამეცვა, ეს გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო. იმის გამო, რაც თქვენ ბრძანეთ, რთული იყო, ახლა უბრალოდ შევძელი ერთი დღით ჩამოსვლა და დაცვა. მე ხვალვე დავბრუნდები მოსკოვში.

**— სადოქტორო დისერტაციის თემად რატომ აირჩიეთ დემოგრაფიული საკითხები სამცხე-ჯავახეთსა და მესხეთში?**

— ავირჩიე იმიტომ, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაა ამ კუთხით. ეს კვლევა არის სოციოლოგიის, ეკონომიკისა და დემოგრაფიის მიჯნაზე. თავის დროზე სოციოლოგიის ასპირანტურა მაქვს დამთავრებული. დაინტერესებული ვიყავი რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის კვლევით, დემოგრაფიული ვითარების შეცვლაში ამ პოლიტიკის სერიოზული კვალიც არის. ეს არის ყველაზე ძირძველი კუთხე საქართველოსი და დემოგრაფიულად ერთ-ერთი ყველაზე დაზიანებულიც. ყველაზე მცირე რაოდენობით ქართველებიც სწორედ აქ სახლობენ.

**— თქვენ აფხაზეთსა და საქართველოს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების უშუალო მონაწილე ხართ. ერთ-ერთი მოთხოვნა არძინბას მხრიდან აფხაზეთის ლეგიტიმური უზენაესი საბჭოს გაუქმება იყო...**

— ეს მოთხოვნა მას სოხუმში რომ ვიყავი, მაშინაც ჰქონდა, მაგრამ გაგრის შეთანხმებაში მსგავსი რამ არ არსებობს. იგივე წინადადებით გამოვიდა მოსკოვის მოლაპარაკებების დაწყებისას, მაგრამ მოვახსნევინეთ.

**— თქვენი აზრით, მოხდება თუ არა საერთოდ საქართველო-აფხაზეთის პრობლემის მოგვარება და რომელი გზაა უფრო პერსპექტიული — მშვიდობიანი თუ ბრძოლის?**

— ***საერთოდ, როცა ფიქრობ კიდეც არამშვიდობიან გზაზე, სჯობია, რომ ამაზე წინასწარ არ ილაპარაკო.*** ეს პირადად ჩემი აზრია. ვნახოთ, ჯერ მიდის საკითხის მშვიდობიანად გადაჭრის პროცესი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს და არ გულისხმობს მხოლოდ მოლაპარაკებებს. არის ზემოქმედების გზებიც. იძულების წესებიც, როგორც ჩვენი, ასევე მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან.

**— უკანასკნელ პერიოდში ინტენსიური საუბრები მიმდინარეობს მხოლოდ გალის რაიონიდან დევნილი მოსახლეობის დაბრუნებაზე, რატომღაც თითქოს მეორე პლანზე გადაიწია სამასი ათასი დევნილის ბედმა. თქვენ რას ფიქრობთ?**

— არცერთ შემთხვევაში. ჩვენი პოზიცია სწორედ ამას ამბობს, რომ უსწრაფესად, ყოველგვარი პირობის გარეშე, უნდა დაბრუნდეს ყველა ის დევნილი, რომლებიც მასის მოვლენების შედეგად გაჩნდნენ და არ უნდა იქნას მასთან დაკავშირებული მოწინააღმდეგის მხრიდან წამოყენებული მოთხოვნები, ამას ითვალისწინებს გაგრის შეთანხმების საფუძველიც. რაც შეეხება საზღვრის გახსნასა თუ ეკონომიკურ საკითხებს, ისინი, როგორც ადრე, დღესაც ისევე უკავშირდება პროცესების სრულ დარეგულირებას.

**— სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურებისა და პარტიზანული მოძრაობის ურთიერთობის შესახებ თუ გაქვთ კონკრეტული ინფორმაცია და რა აზრის ბრძანდებით პარტიზანულ მოძრაობაზე?**

— ინფორმაციის შესახებ ვერაფერს გეტყვით. პარტიზანულ და სახალხო მოძრაობაზე არაერთხელ გამომითქვამს ჩემი მოსაზრება, რომ ამას ვერაფერი შეაჩერებს იქამდე, სანამ არ დასრულდება ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი და არ გადაწყდება პოლიტიკური სტატუსის საკითხი. მინდა გავმიჯნო ერთმანეთისაგან ორი ცნება: ტერორისტული და პარტიზანული. თუ ტერორიზმზე ვლაპარაკობთ, გაგრის შეთანხმებაში არის ჩაწერილი, რომ ჩვენ მივიღებთ ეფექტურ ზომებს, რათა აფხაზეთის ტერიტორიაზე ტერორისტები არ შევიდნენ. აქ რატომ უნდა ვიგულისხმოთ მარტო ქართველები? მე ყველაზე ნაკლებად ქართველ ტერორისტს ვგულისხმობ. იქ შედიან ჩეჩენი, კაზაკი და სხვები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ვეთანხმები იმათ, ვინც უნებურად, თქმით აიგივებს პარტიზანს და ტერორისტს. ძალიან კატეგორიულად ითხოვდა არძინბა სოხუმში, რომ იქ პარტიზანები ჩაგვეწერა და ეს გაგრის დოკუმენტშიც მომხდარიყო, მაგრამ კატეგორიული უარი ვუთხარით. ახლაც ითხოვდნენ, არა მარტო ზოგადად პარტიზანის, არამედ პირდაპირ დასახელებით, მაგ: „ტყის ძმები", „თეთრი ლეგიონი". ეს არ დავუშვით და არც მომავალში დავუშვებთ.




**— თქვენ სამხრეთ საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები მეცნიერულ დონეზე გამოიკვლიეთ, მაგრამ ზოგადად რას გვეტყვით აფხაზეთის დღევანდელ დემოგრაფიულ ვითარებაზე?**

— დემოგრაფიული მდგომარეობა რომ შეეცვალათ, სწორედ იმიტომ მოახდინეს ეს ეთნიკური წმენდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი აღდგება!

P.S. *ბ-ნ ვაჟასთვის მინდოდა მეკითხა, ბოლო ფრაზაში ადრესატად ვის გულისხმობდა, მაგრამ ძალიან ჩქარობდა და მისმა ნათქვამმა პირადად მე (და ალბათ თქვენც) დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამიტოვა.*

**ხათუნა ხატიაშვილი**

# „FBI" და ქართული გამოძიება

## ანუ რა მიზანს ემსახურება „პოლიტიკური პოლიციის" შექმნის მცდელობა?..

*მეორე გვერდიდან*

ერ დანიშნული „ამ მთავრობის კაცის" ე. ი. სამსახურის უფროსის ნება-სურვილის მიხედვით ინიშნება, რაც გარკვეულწილად „დამოუკიდებელ გამომძიებლებს" არასრულფასოვნების კომპლექსს უქმნის და პრეზიდენტზე დამოკიდებულს ხდის. ეს ბუნებრივიცაა. ადამიანი, რომელსაც პრეზიდენტმა ხელშეუხებლობის უდიდესი გარანტი მისცა, ეუბნება, რაც გინდა აკეთეო და თან ორი ათასი ლარის ოდენობით ხელფასს უხდის, ისეთ სახელმწიფოში, სადაც, სახელმწიფო ჩინოვნიკის ხელფასი გარდა გამონაკლისისა, 60-80 ლარს არ აღემატება. ყველაფერ სიკეთესთან ერთად სირცხვილის გრძნობას მოკლებულიც უნდა იყოს, რომ მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს, არ შეასრულოს ხელისუფალის უკანონო დავალებები. თუმცა, ეს შემთხვევაც კარგად არის კანონპროექტში გათვალისწინებული. კერძოდ: 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამსახურის უფროსს უფლება აქვს უნდობლობის მოტივით დაითხოვოს იგივე სამსახურის მოხელე. ზემოაღნიშნულ მუხლში მოხსენიებული უნდობლობის „მოტივი" ჩემი აზრით, 1937 წელში „სამეულების" მიერ გასამართლებულ, გასახლებულ, გადასახლებულ თუ დახვრეტილ პირთა წინააღმდეგ წაყენებული ანტისაბჭოთა პროპაგანდასა და სამშობლოს ღალატის ბრალდებას წააგავს. უნდა ითქვას, რომ ის ავბედითი რეპრესიები სწორედ ხელისუფლების შტოებს შორის ფუნქციათა აღრევამ გამოიწვია, რაც მიზანმიმართული ნაბიჯი იყო 1937 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციით აღიარებული კომუნისტური დიქტატურის დასამყარებლად, რომლის უკანაც ქართველი ხალხის, რუსეთის წითელი იმპერიის უღელქვეშ მორჩილად ყოფნა იმალებოდა.



ეხლა კი იქმნება საკმაოდ დიდი უფლებებით აღჭურვილი სპეციალური სამსახური, რომელიც საზოგადოების ერთ ნაწილში გარკვეულ ეჭვსა და სამართლიან შეშფოთებას იწვევს. უნდა აღვნიშნო, რომ მთავარია კორუფციასთან ბრძოლას საზოგადოებრივი თვითშეგნების ამაღლებით დავუპირისპირდეთ. მოვახდინოთ ძალოვანი სტრუქტურების დახვეწა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა. ამიტომაც უმჯობესი იქნება პრეზიდენტმა თავისი ფონდიდან გამოყოფილი მილიონ ორას სამოცდათერმეტი ათას ორასი ლარი ანგარიშზე გასცეს და ამ სპეცსამსახურის შექმნით აშკარად არ გამოუცხადოს უნდობლობა სახელმწიფოს მიერ სოციალურად ისედაც დაუცველ სამართალდამცავებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერანაირი ცენტრალიზმი და ბიუროკრატიული ორგანო ქვეყანაში ვერ აღმოფხვრის ამ „ჭირს", პირიქით, ამან შეიძლება ბევრად უფრო გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, ვიდრე ვფიქრობთ. ასე რომ, ცენტრალიზმს რაიმე შედეგის მოტანა რომ შეძლებოდა, ალბათ, ყველაზე მეტად კომუნისტები მოახერხებდნენ აღთქმული კომუნიზმის შექმნას. ეტყობა, შევარდნაძე იგივე ცენტრალიზმით ანუ კომუნისტური მეთოდებით,

*გაგრძელება მე-11 გვერდზე*

# სატელეფონო აბონენტებს ინვესტორები ხომ არ დაგვარქვათ?

სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ სატელეფონო-საბონენტო ტარიფებს გაზრდას უპირებენ: „კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს დაანგარიშებით 1 სატელეფონო ნომრის მომსახურების თვითღირებულება თანამედროვე ელექტრონული ტიპის სადგურებზე საშუალოდ 4,5-5 ლარი ჯდება." ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ძველი ტარიფების მოქმედების პერიოდში ორჯერ მოხდა ძირითადი ფონდების აფასება, ამასთან დაკავშირებით შესაბამისი გადასახადების ცვლა და საამორტიზაციო ანარიცხების ზრდა. აქ კიდევ გათვალისწინებული არაა მომსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურების სათანადო ზრდის აუცილებლობა". ამასთან, „თუ ჩვენ გვინდა მომხმარებელი ხარისხიანი მომსახურებით უზრუნველვყოთ, შევინარჩუნოთ არსებული სატელეფონო ქსელი, ბაზარზე ახალი ტექნოლოგიების დანერგვისათვის ინვესტორებს ხელსაყრელი გარემო შევუქმნათ (გვიმტკიცებენ საქმის მესვეურები. რ.ს.) — გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ... სატარიფო პოლიტიკის სრულყოფა".

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროში შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოები (შპს): „ელექტროკავშირი" და „ახალი ქსელები", ვინც ფაქტიურად მართავს სატელეფონო ქსელს. „ახალ ქსელებთან" მე, როგორც სატელეფონო აბონენტს, ხელშეკრულება დამადებინეს იმის თაობაზე, რომ ახალ სატელეფონო სისტემაში ჩამრთავდნენ, სანაცვლოდ, ერთი წლის განმავლობაში გადავიხდიდი გარკვეულ თანხას, ხოლო ყოველთვიურად კი თითო ლარს. პირობა ორივე მხარემ შევასრულეთ. ალბათ, ისიც სათქმელია, რომ ბოლო ხანებში, როგორც კი შეაძლებლობა გამიჩნდა, ავანსად ვიხდი გარკვეულ თანხას, რათა ხელი შევუწყო შპს-ების გამართულ მუშაობას.

ახლა კი მთავარი სათქმელი მინდა გითხრათ.

შპს „ახალმა ქსელებმა" ჩემისთანებისგან აიღეს 60 ლარი, 120 ლ, ან კიდევ 400 ლ. რამდენადაც ვიცი, ეს თანხები ჩაიდო ახალი სისტემის გასამართავად, რამაც გამოიწვია „ძირითადი ფონდების აფასება" და მათი კაპიტალის გაზრდა.

ამასთან დაკავშირებით, რამოდენიმე კითხვა გამიჩნდა, რაც მკითხველთა დიდი ნაწილისთვისაც საინტერესო უნდა იყოს:

მიაჩნიათ თუ არა ზემოთ აღნიშნულ შპს-ებს, რომ ამ ფონდებში ჩვენი წილიც დევს? რომ ისინი შპს კი არა, სააქციო საზოგადოებები უფრო არიან? თუ არა, გვთვლიან მაინც ჩვენ ინვესტორებად? რომ „ხელსაყრელი გარემოს შექმნა" ჩვენც გვეკუთვნის?? და ბოლოს, როგორ იქნება ყველაფერი გათვალისწინებული სატარიფო განაკვეთების სრულყოფაში?

საბაზრო ეკონომიკა, „სატარიფო პოლიტიკის სრულყოფასთან" ერთად, დასმულ კითხვებზე პასუხსაც მოითხოვს.

**რევაზ სალია**

# პარასკევის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

**პრეზიდენტი მართალს ამბობს**

**პოლიტიკის სფეროში** პრეზიდენტი მართალია, როცა გალის მოვლენებზე ამბობს, რომ

*„ამ ავანტიურის მიზანი გახლდათ ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს, კერძოდ, აფხაზების ჩათრევა მსხვილმასშტაბიან საომარ მოქმედებაში, რომელიც შემდეგ უეჭველად, დიდ ომში გადაიზრდებოდა".*

მაგრამ ეს სიმართლე ჰაერში გამოკიდებული რჩება, თუ არ დააკონკრეტა, ვისი და ვისი „დიდი ომი" აქვს მას მხედველობაში. თუ ეს ქართველებისა და აფსუების ომია, იგი „დიდი" არც ყოფილა და ვერც იქნება. ხოლო თუ ლაპარაკია რუსეთ-საქართველოს გამოუცხადებელ ომზე, მაშინ ეს ახალი სიტყვაა პრეზიდენტის პოლიტიკაშიც და ბიოგრაფიაშიც და ამავე დროს ამ ომის მოგების პირველი პერსპექტიული ნაბიჯიც იქნებოდა. მაგრამ თუ ეს არ ითქვა, მაშინ რუსეთის ჩარევა ჩვენს შინაგან საქმეებში არ შეწყდება, ხოლო თუ არ შეწყდება — ან არ შეფერხდება მაინც — პოლიტიკური გზით, მაშინ ჩვენ მუდმივი მარცხი გველის მტრის ხელის მუდმივი ლოკვის მიუხედავად, რასაც საქართველოს ხელისუფლება სჩადის. არაფერი მოასწავებს იმას, რომ პრეზიდენტი ამ აუცილებელი ნაბიჯის გადადგმას ოდესმე შეძლებს — თვით მისი ყველაზე ოპტიმისტური სიტყვებიც კი, რომელსაც გასული ინტერვიუ შეიცავს. სახელდობრ:

*„ყველაზე რადიკალური პოზიცია გამოხატა რუსეთის ხელმძღვანელობამ, იქ ერთაზროვნად მიაჩნიათ, რომ თუ მდგომარეობა სასწრაფოდ არ გამოსწორდება. იმას, რაც მოხდა, რა თქმა უნდა, სამშვიდობო ძალების მონაწილეობითაც, უნდა მიეცეს როგორც გენოციდისა და ეთნოწმენდის შეფასება."*

იმას, რა „მიაჩნია" რუსეთის ხელმძღვანელობას, ფასი არა აქვს. ფასი აქვს მხოლოდ იმას, რასაც იგი ოფიციალურად აცხადებს (როგორც მინიმუმი), უფრო მეტად კი იმას, რასაც იგი იქმს. ინტერვიუს პოლიტიკური ნაწილი გაჟღენთილია იმ რწმენით (თუ ავტორი გულწრფელია), რომ პრობლემის ერთად-ერთი მოგვარებელი ისევ და ისევ უბადრუკი „ესენგეს" უბადრუკი „სამიტია", რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფაქტებისათვის თვალის გასწორების უუნარობაზე ან არსურვილზე მეტყველებს.

**ეკონომიკის სფეროში** პრეზიდენტი მართალია, როცა ამბობს, რომ ეკონომიკაში

*„მთავარია ჩამოყალიბდეს სისტემა, რომელსაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვითრეგულირებისა და თვითსრულყოფის თვისება ექნება".*

ეს ჭეშმარიტებაც, სამწუხაროდ, ჰაერში კიდია იმდენად, რამდენადაც ამ თვითრეგულირებადი სისტემისთვის არც რაციონალური კანონმდებლობითი ჩარჩო, არც სტიმული, არც წესრიგ-დისციპლინის ან, მით უმეტეს, სხვა ანალოგიურ (უცხო) სისტემებთან თანასწორი მეტოქეობისთვის მინიმალური პირობები მაინც არ ჩანს.

**პრეზიდენტი ცდება**

**პოლიტიკის სფეროში** როგორც უკვე ვთქვით, პრეზიდენტის უდიდესი შეცდომებია ჯერ საქართველოს შინაგანი კონფლიქტების ინტერნაციონალიზაცია საერთოდ და მერე ამ კონფლიქტებში „ინტერნაციონალურ" ძალად პირველი ნომერი მტრის — რუსეთის მოწვევა. როცა, მაგალითად, იგი კმაყოფილებით აღნიშნავს, ესენგეს პრეზიდენტთა უმრავლესობას საჭიროდ მიაჩნია ზომების მიღება დევნილთა უსაფრთხო დაბრუნებისთვის თავიანთ სახლებშიო, იგი ამ შეცდომის ჯიუტ განმეორებას ეწევა ადამიანთა სიცოცხლის ხარჯზე. გამოცდილებით რომ საქართველოს პრეზიდენტი ვერ სწავლობს, ეს მრავალჯერ უკვე დამტკიცებულია. მაგრამ კიდევ უფრო არაბუნებრივია იმის გაუგებრობა ან გაუგებრობის სიმულაცია, რომ ვერც ერთი ხელისუფლება და მთავრობა, რუსეთის მთავრობის ჩათვლით, ვერ იქნება ვერც ნეიტრალური და ვერც საკუთარი მოწინააღმდეგის მხარდამჭერი ისეთ კონფლიქტში, რომელშიც მას საკუთარი დაინტერესება აქვს. საერთაშორისო ნორმა არ არის, რომ ქვეყნის საქმეში არბიტრად მეზობელი ქვეყნის შეიარაღებული ძალები იყოს ჩაყენებული. მაგრამ რატომ არღვევს საქართველოს პრეზიდენტი ესოდენ ჯიუტად ამ ნორმას და საქართველოს საქმეების კურატორად მაინცდამაინც რუსეთს იწვევს? თუ პრეზიდენტს ჰგონია, რომ დიდი სიბრძნეა ქართველი ხალხის ტონობით სისხლის გამეტება იმისთვის, რომ რუსეთთან ზრდილობის (წაიკითხე: მლიქვნელობის) ვალი პირნათლად მოხდილ იქნას მანამდე, სანამ მისი კონტრაგენტის სხვა კონტრაგენტებით შეცვლის აუცილებლობას ჩვენ კი არა, ჩვენზე ადრე სხვანი დაინახავდნენ, იგი აქაც ცდება: სისხლის — და, მით უმეტეს საკუთარი ხალხის სისხლის ასე ხურდა ფულად გამოყენება მსოფლიოში სიბრძნის კი არა, მხოლოდ უნიჭობისა და უნიჭობით გამოწვეული დაუნდობლობის ნიშნად მიიჩნევა.

**ეკონომიკის სფეროში** პრეზიდენტის გულუბრყვილო შეცდომაა ეკონომიკის სფეროში, როცა იგი სიხარულს გამოთქვამს ყოველგვარი ინვესტირების გამო მანამდე, სანამ ამ ინვესტიციის ძირეულ პარამეტრებს განიხილავდეს და მათ საფუძველზე ამ ინვესტიციის შეფასებას მოახდენდეს. (ამაზე არაერთხელ გვქონდა საუბარი ადრე და აქ აღარ გავიმეორებთ თქმულს). აშკარაა და, ალბათ, არასწორია პრეზიდენტის ცალსახა პროტექციონალისტური ორიენტაცია უცხო ინვესტიციებზე და არა საკუთარი ქართული წარმოების განვითარებაზე, რაც მას, მაგალითისთვის, „კოკა-კოლას" პრაქტიკაზე აქვს ილუსტრირებული. კოკა-კოლამ, მისი სიტყვით, ბიუჯეტში 15 მილიონი ლარი შემოიტანა. მაგრამ კმარა ეს მონაცემი ამ კომპანიის მოღვაწეობის დასახასიათებლად? ალბათ, არა, რადგან ამისთვის ჩვენ ისიც უნდა ვიცოდეთ, რამდენი გაიტანა მან საქართველო-




დან და, რაც მთავარია, რაც შემოსავალი მიიღო იქიდან, რამდენი მიიღო საქართველოს ბაზარში და რამდენი — სხვა ქვეყნებისაში. თუ არ ვცდებით, მისი ბაზარი მხოლოდ საქართველოა. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ მისი ბიუჯეტში შეტანილი 15 მილიონის გარდა მას საქართველოს ბაზრიდან სხვა თანხაც ამოუღია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ფირმის მოღვაწეობა მაინცდამაინც აღტაცების გამომწვევი არ ყოფილა ეკონომიკისადმი მონეტარისტული მიდგომის შემთხვევაში. (ასეთია მაგალითად, სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიდგომა) ხოლო თუ, პირიქით, ეკონომიკას ფიზიკალისტური თვალსაზრისით მივუდგებით (ანუ ვიტყვით, როგორც მრავალნი ამბობენ, რომ მილების გლინვით ან პურის მოყვანით ნაშოვნი მილიონი სჯობია კაზინოებით, პროსტიტუციით ან თუნდაც გამაგრილებელი სასმელებით გაკეთებულ ამავე თანხას), მაშინაც დიდი სიხარულის საბაბი არ გვექნება. რადგან საქართველოში გავრცელებული კოკა-კოლა (რომელსაც ზოგნი, უბრალოდ, ერთ-ერთ შხამქიმიკატად თვლიან) არც სტრატეგიული საკვებია, არც სტრატეგიული ნედლეული, არც მაღალტექნოლოგიური და ფუნდამენტურად მეცნიერებატევადი ნაწარმი და არც ეკონომიკური წინსვლის პერსპექტივის გამხსნელი საქონელი. მესამე პრინციპული მიდგომა — გარდა მონეტარისტულისა და ფიზიკალისტურისა — დღეს, პრაქტიკულად, არ არსებობს. მაშასადამე, კოკა-კოლას ხოტბა — თუნდაც იმ პრობლემაში ჩაუღრმავებლად, თავისი ნასესხები ხუთი მილიონი დოლარის გასტუმრებას ველით მისგან თურქეთისათვის, თუ საქართველოს მიერ ნასესხებისას, — მაინცდამაინც სამართლიანი არ არის. ასევე, რბილად რომ ვთქვათ, კომენტარს ითხოვს პრეზიდენტის მსჯელობა იმაზე, რომ საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლის 80 პროცენტი თურმე კერძო ბიზნესის მიერ შემოტანილი თანხებისგან იკრიბება. პრეზიდენტი ამბობს:

*„ყველამ უნდა შევიგნოთ: დღეს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის 80 პროცენტი კერძო სექტორზე, კერძო მეწარმეებზე მოდის. აქედან ვიხდით პენსიებს, მასწავლებელთა ხელფასებს. ამ თანხებით ვაშენებთ არმიას, ვამაგრებთ საზღვრებს, ვაფინანსებთ დიპლომატიურ მისიებს, ვინახავთ პოლიციას და სხვა მრავალი. ამიტომ ბიზნესმენებს მეტი ყურადღებითა და პატივისცემით უნდა მოვეპყრათ".*

ბიზნესის მასშტაბებიც და მისი სავალალო სტრუქტურაც დღეს კარგად ვიცით. კითხვა იბადება: რა ისეთი ოპერაციები ჩაუტარდა ამ შვიდი წლის მანძილზე სახელმწიფოს კუთვნილ ეკონომკურ ბაზას, რომ იგი ამ საბრალო კერძო ბიზნესის მიერ გადასახადების სახით მოცემული თანხის ერთ მეოთხედზე მეტს არა თუ გადასახადების, არამედ შემოსავლის სახითაც კი ვეღარ იძლევა?

პრეზიდენტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გეოეკონომიკაშიც ცდება, და, აქედან გამომდინარე, გეოპოლიტიკაშიც, როცა „აბრეშუმის გზის" პროექტში საქართველოს მონაწილეობას ეხება. ეს პროექტი საქართველოსთვის მართლაც პირველხარისხოვანი გეოპოლიტიკური მნიშვნელობისაა მთელი იმ ხანისთვის, რომლის მანძილზეც ეს დერეფანი იფუნქციებს, ანუ, პრაქტიკულად, მთელი განჭვრეტადი მომავლისათვის. რატომ? იმიტომ, რომ იგი ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ერთ-ერთ ცენტრალურ არტერიაზე ათავსებს და ამით ჩვენს ქვეყანაზე ძალმომრეობას აძნელებს. მაგრამ თუ საქართველო მხოლოდ გზა იქნება, რომლის მცირე შემოსავალსაც (სხვათა შორის) მმართველი მაფია მთლიანად შეჭამს, ამით საქართველო ვერ აყვავდება. საქართველოს მომავალია არა გზად, არამედ გზაზე მდგომ სუბიექტად, გზის მფლობელ ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ ყოფნა. რაც, სხვათა შორის, გამორიცხულია სახელმწიფოებრიობის იმგვარი გაგების პირობებში, როგორსაც პრეზიდენტი ამჟღავნებს. საქართველო არა მხოლოდ ტრანზიტს უნდა ახორციელებდეს (რაც, რა თქმა უნდა, აუცილებელია), არამედ თვითონ უნდა განსაზღვრავდეს, დასავლური შესაძლებლობების გამოყენებით რა აწარმოოს და შეიტანოს აღმოსავლეთში და აღმოსავლური შესაძლებლობების გამოყენებით რა აწარმოოს და შეიტანოს დასავლეთში. საქართველოს ისტორიული და სამომავლო ფუნქციაა დასავლეთისა და აღმოსავლეთის არა დაკავშირება, არამედ სინთეზი. ეს კი ისეთი განსხვავებაა, რომელიც დაფიქრებად ღირს.

(მაგალითისათვის: საქართველოს შეუძლია ააწყოს ევროპული მანქანები და შუა აზიაში გაყიდოს. მას შეუძლია შეისყიდოს აღმოსავლური ბამბა და ევროპაში ნედლად ან ქსოვილის სახით შეიტანოს. მას შეუძლია ამუშაოს თავისი ავიაკომპანიები ევროპასა და შუა აზიას შორის. და ა. შ. და ა. შ. მას შეუძლია მადლიერი ჰყავდეს გერმანული ფირმა იმისათვის, რომ შუა აზიაში გაღწევას შველის და მეგობრად ჰყავდეს უზბეკური ფირმა იმისათვის, რომ ევროპისკენ გაღწევას შველის და ა. შ.)

**პრეზიდენტი მართალს არ ამბობს**

პრეზიდენტის მსჯელობა აშკარად არადამაჯერებელია მაშინ, როცა იგი ცდილობს თავისი, შეიძლება ითქვას, პირწმინდად წარუმატებელი მმართველობის მხარდაჭერა მოქალაქის მიერ ამ უკანასკნელის ეროვნული ერთგულების საზომად დასახოს. იგი თავისი განწყობილების გამოხატულებად სთავაზობს მსმენელს იმ აზრს, რომ

*„ქვეყნის დამოუკიდებლობა, ნუ დაგვავიწყდება ეს ელემენტარული ჭეშმარიტება, საუკუნეთა განმავლობაში თაობათა ნაოცნებარი უმაღლესი ღირებულებაა".*

მიუხედავად იმისა, რომ მკითხველმა კარგად იცის, ვინ შეიტანა პარლამენტში საქართველოს „ესენგეში" ჩათრევის უნაყოფო გეგმა და მის გასაზიარებლად ვინ „მოამზადა" საზოგადოება აფხაზეთში ომის ნაგებით. მანამდე კი პრეზიდენტი ბრძანებს:

*„ასეთ დროს, როცა ქვეყანას უჭირს, როცა ქვეყანა ერთიანი უნდა იყოს, მთელი ჯანსაღი ძალები გაერთიანებული უნდა იყვნენ. ეგრეთ წოდებული, საპროტესტო დემარშები, მათ შორის, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას ახალი ქაოსისა და ანარქიისაკენ ვუბიძგებთ. ესე იგი, ეს ნიშნავს იმას, რომ (მე ამას წინათ ვახსენე მეხუთე კოლონის მსგავსი) იმ ძალების წისქვილზე ასხამენ წყალს, რომლებმაც მთელი ეს, ასე ვთქვათ, ჯოჯოხეთი მოაწყვეს. ბრძენი კაცები, და ასეთები ჩვენში ბევრია, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსები. საზოგადო მოღვაწენი, პოლიტიკური ძალები, მათი ლიდერები, ქვეყნის მოქალაქენი, რომელთაც მრავალი განსაცდელი გამოიარეს, სანამ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონტურებს გამოკვეთდნენ, მაქვს იმედი, არავის მისცემენ უფლებას ქარს გაატანონ ჩვენი მონაპოვარი".*

მკითხველს მხოლოდ ერთი კითხვა უჩნდება: სჭირდება თუ არა პრეზიდენტს, სხვა ყველაფერთან ერთად, გამარჯვების უნარი? მოსახლეობის სიცოცხლის დაცვის უნარი? ქურდბაცაცების სახელმწიფოს ქონებასთან არმიშვების უნარი? და კიდევ მრავალი და მრავალი სხვა უნარები, რასაც სახელმწიფოს საჭე მოითხოვს. თუ „არა", მაშინ საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს არ დააყენოს ხელისუფლების გადადგომის საკითხი, თუმცა იმის უფლებასაც ვერავინ შეუკვეცავს, რომ ეს საკითხი დააყენოს. თუ „ჰო", მაშინ კი მოქალაქის მოვალეობაა ამ საკითხის დაყენება, როგორც საქართველოს გადარჩენის გზის საკითხისა.

**შემატკივარი**

# „პოლიტიკა, რომელსაც ატარებს პრეზიდენტი, რუსეთის მიერ მართული პოლიტიკაა"

## ითქვა ეროვნული თანხმობის დარბაზის სხდომაზე

17 ივნისს ეროვნული თანხმობის დარბაზმა ჟურნალისტის სახლში თავისი მორიგი სხდომა ჩაატარა.

მართალია, დარბაზის ძირითადი შემადგენლობა ადგილზე იყო, მაგრამ სხდომას რამდენიმე მნიშვნელოვანი პირი არ ესწრებოდა, რის გამოც, თავმჯდომარემ მონაწილეებს შესთავაზა სხდომა გადაედოთ რამდენიმე ხნით, ამასთან პარლამენტი ერთი კვირის მერე საზაფხულო არდადეგებს იწყებდა, და კოლეგებს ამის თაობაზე აზრის გამოთქმის საშუალება მისცა.

გიორგი გაჩეჩილაძემ წინადადება შემოიტანა სხდომის დაშლის შესახებ, იმ მოტივით, რომ პირები, რომლებიც არ იმყოფებოდნენ, მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე პასუხს ვერ გასცემდნენ და ჩიხში რომ არ შესულიყვნენ, ეს აუცილებლად მიიჩნია.

საბოლოოდ კი, სხდომის წევრებმა ამ აზრს მხარი არ დაუჭირეს და დარბაზმა თავისი სამუშაო დღე მაინც ჩაატარა.

ირაკლი გოცირიძემ კატეგორიულად მოითხოვა, პარლამენტს არ გამოეცხადებინა არდადეგები და დაუყოვნებლივ განეხილა ის საკითხები, რასაც ეროვნული თანხმობის დარბაზი უყენებდა მას.

მძაფრი დისკუსია გამოიწვია 1992-93 წლების მოვლენების შეფასების მოთხოვნამ პარლამენტის მიმართ.

საქართველოს დღევანდელი კატასტროფული მდგომარეობის გამო შეიქმნა ეროვნული თანხმობის დარბაზი, — თქვა ბატონმა ირაკლიმ, — ჩვენ ერის წარმომადგენლები ვართ და არა თანამდებობის პირები. ვაყენებთ იმ საკითხებს, რომლებიც ხელისუფლებას ვალდებულს გახდის სასწრაფოდ გადაწყვიტოს ისინი. არანაირად არ შეიძლება ახლა სხდომების შეჩერება, იმ მიზეზით, რომ დაველოდოთ როდის მოვა აკაკი სიხარულიძე, სარალიძე თუ გულუა. დრო არ ითმენს, პარლამენტი ერთ კვირაში დასასვენებლად თუ წავიდა, მერე ამ საკითხებზე ან იმსჯელებს, ან — არა. არადა არდადეგებზე წასვლა ამ ეტაპზე დანაშაული იქნება.

ედუარდ სურმანიძემ განაცხადა, რომ უნდა შეიქმნას საპარლამენტო კომისია, იგი მოიძიებს მასალებს, რის შედეგადაც საბოლოო შეფასებას მისცემს ამ მოვლენებს. კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ასევე საზოგადოების გარკვეულმა წარმომადგენლებმაც.

ჩვენს მიერ წარდგენილ დოკუმენტში უნდა იყოს ფორმულირება იმისა, რომ 1991-92 წლებში მოხდა გადატრიალება. აღნიშნა ბატონმა ნოდარ ნათაძემ, — ხელისუფლებას უნდა მოვთხოვოთ გვიპასუხოს, სწორია თუ არა აეროპორტში წარმოთქმული ფრაზა — „მადლობა ინტელიგენციას, რომელმაც ეს ხელისუფლება დაამხო"...

გალში ბოლო დროს დატრიალებულ მოვლენებს ხელისუფლების მორიგი პროვოკაცია უწოდა საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენელმა მურმან ზაქარაიამ. ასეთი მდგომარეობა დიდხანს გასტანს და შესაძლებელია ოქტომბრის თვეში პროვოკაციები ენგურს აქეთაც გაგრძელდეს. დოკუმენტში აფხაზეთის ტრაგედიის მიზეზების დადგენის მოთხოვნასთან ერთად, უნდა შევიტანოთ, რომ ხელისუფლებამ უარი თქვას ძალადობაზე და სრული პასუხისმგებლობით განაცხადოს, რომ მსგავს პროვოკაციებს აღარ დაუშვებს" მან ხელისუფლებისაგან მოითხოვა გარანტია, რომ საპარლამენტო კომისიაში მონაწილე პირებს არ დაუწყებენ პოლიტიკურ დევნას და შევიწროებას.

სხდომაზე ითქვა, რომ თუ არ იქნა შესწავლილი გალის ტრაგედია, გაჩნდება დაუსჯელობის სინდრომი. ასე დაიკარგა აფხაზეთი. სამაგიეროდ ჩინ-მედლები ბევრს დაურიგდა, ისე გამოდის, ხელისუფლებას უნდა დავუჩოქოთ და მადლობა გადავუხადოთ, რომ თითქოს თავიდან ავიცილეთ ფართომასშტაბიანი ომი.

ედუარდ სურმანიძე არ დაეთანხმა მურმან ზაქარაიას. გამიზნული პროვოკაციების გზას ხელისუფლება არასოდეს არ დაადგება, შეცდომები კი ვის არ მოსვლიაო. თავის მხრივ, ხელისუფლებამ ან უნდა აღიაროს ეს შეცდომები ან უნდა განმარტოს, რაშია საქმე, — თქვა ირაკლი გოცირიძემ. სურმანიძემ თქვა, რომ ყველა საკითხი გამოძიებული და განხილული იქნება, — მაგრამ მე ვაცხადებ, რომ ისეთი პროკურატურა, რომელსაც სათავეში უდგას ბაბილაშვილი, მე მას დეზინფორმატორს ვუწოდებ, ვერაფერს ვერ გამოიკვლევს.

მკაცრად დაისვა საკითხი შიდა ქართლის სამხრეთ ოსეთად მოხსენიების შესახებ. ამ სახელწოდებამ გაიჟღერა მრავალი პოლიტიკოსის საუბარში. იქმნება საშიშროება, რომ ეს სახელწოდება მხოლოდ საუბარში და ქაღალდზე არ დარჩება. ამისი რეალური საფრთხე აშკარად იგრძნობა. „პოლიტიკა, რომელსაც ატარებს პრეზიდენტი, რუსეთის მიერ მართული პოლიტიკაა და ამაზე ქართველი ერი პასუხს არ აგებს. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის დაბრუნების აქტზე ხელის ამწევი ყველა პარლამენტარი წარსდგება სასამართლოს წინაშე". — განაცხადა ნოდარ ნათაძემ.

რაც შეეხება პოლიტპატიმრების საკითხს, ედუარდ სურმანიძემ მისი განხილვა დავით სალარიძეს გადაულოცა, რომლის მოსმენის იმედიც მომავალ სხდომაზე გამოთქვა. საარჩევნო კანონთან დაკავშირებით, მიხეილ მაჭავარიანი მუშაობდა, საკითხებს ათანხმებდა ფრაქციებთან, დეპუტატებთან, ამიტომ მისი დასწრების შემდეგ შეიძლება მიეცეს შეფასება, — აღნიშნა სურმანიძემ.

„1991-92 წლების მოვლენების შეფასებისას ჩვენ ხელისუფლებისაგან მივიღებთ პასუხს — ეს იყო უკანონო, მაგრამ ობიექტური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამისი აუცილებლობა არსებობდა, ამიტომ აჯობებს, ჩვენ თვითონ მივცეთ შეფასება ჩვენს მიერ გაგზავნილ დოკუმენტში, რომ გადატრიალება იყო ძალადობრივი და არ უნდა დაშვებულიყო. ხელისუფლებას ჩვენი პოზიცია უნდა ვუთხრათ, და ჩვენი აზრი გამოვხატოთ, მნიშვნელობა არა აქვს, ხელისუფლება უარყოფს თუ დაადასტურებს მას, — თქვა სხდომის დასასრულს ირაკლი გოცირიძემ.

**მაკა სვიმონიშვილი**

# თქვენი პრეზიდენტად მარადიული ყოფნაც რომ არაა გამოსავალი?..

გალის ბოლოდროინდელმა ტრაგიკულმა მოვლენებმა მართლაც აგვირია თავგზა.

პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ყოველივე ეს მტრის მიერ გამიზნული პროვოკაცია იყო და ამის გამო აფხაზებთან შეჯახების დაწყება ფართომასშტაბიან ომს გამოიწვევდა კავკასიაში.

ვერაფრით ვერ ვხვდები, რა მსჯელობაა ეს ან რა არგუმენტია თავის მართლებისათვის? თუ მოძალადე აფხაზებისაგან თავს დაიცავდი ან წინააღმდეგობას გაუწევდი, ესე იგი, მტერს იარაღით დახვდებოდი შენსავე მიწა-წყალზე, რატომ გამოიწვევდა ეს ფართომასშტაბიან ომს?

აკი დაბეჯითებით გვარწმუნებდნენ, გალში აფხაზთა შეიარაღებული ბოევიკები თავს დაესხნენ მშვიდობიან მოსახლეობას და გენოციდი (თანაც, მერამდენედ!) მოუწყვესო.

განა შენს მოსასპობად შემოჭრილ მტერს თუ წინააღმდეგობას გაუწევ, ომის მიზეზი გახდება ეს? ხოლო თუ სასიკვდილოდ განწირულ შენსავე მოსახლეობას მოსისხლე მტრისაგან არ დაიცავ, ეს მშვიდობას შეგინარჩუნებს?

მერე და, ბატონებო, ვის რად უნდა ასეთი გზით შენარჩუნებული მშვიდობა? უფრო მეტიც, ვის რად უნდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც თავის მოსახლეობას ვერ დაიცავს მტრისაგან?

მსჯელობა და დასკვნა მანცვიფრებს, ბატონებო, სხვას რომ თავი დავანებოთ. გალის მოვლენების გამო ომის წამოწყება აფხაზებთან (თუნდაც რუსებთან), როგორც გვარწმუნებენ, პოლიტიკურად გაუმართლებელი იქნებოდაო. ვთქვათ, პოლიტიკურად მართლაც გაუმართლებელი იყო, მაგრამ მედალს ხომ მეორე მხარეც აქვს? ამდენი მარცხი, აბუჩად აგდება, ქართველი მოსახლეობის გენოციდი განა ადამიანურად გამართლებულია?

რა ვქნა, პოლიტიკოსი არა ვარ და ამგვარ მოსაზრებებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, მედლის ორივე მხარე თანაბრად საყურადღებო და შესაფასებელია. ამიტომ გულწრფელად მანცვიფრებს: რაც ადამიანურად დასაძრახია, იგი პოლიტიკურად მოსაწონია?

პირადად ჩემთვის ასეთი პოზიცია აუხსნელი, გაუგებარი და გაუმართლებელია.

ამგვარ პოზიციას, ეტყობა, ვერც ოპოზიცია შეეგუა და დაუყოვნებლივ გაჩაღდა კამპანია პრეზიდენტის წინააღმდეგ მისი გადადგომის მოთხოვნით.

ჩემი აზრით, ყოველივე იმის შემდეგ, რაც გალში კიდევ ერთხელ დატრიალდა ტრაგედია და იმისთვისაც, რაც საქართველოში ხდება მეშვიდე წელია, წესით, პრეზიდენტს გადადგომის მოთხოვნა არც უნდა დასჭირვებოდა, იგი თავისი ნებით უნდა გადამდგარიყო, და რაც ადრე მოხდებოდა ეს, მით უკეთესი იქნებოდა ქართველი ერისათვის.

პრეზიდენტი, რომელიც პრეზიდენტის სავარძელს ვერ ელევა, ბუნებრივია, თავს იმართლებს ყველა გზითა და საშუალებებით. ამ შემთხვევაში ერთადერთი ლოგიკა გამოიყენა — ფართომასშტაბიან ომს ავარიდე თავიო.

პრეზიდენტს, კარგსაც და ცუდსაც, ყოველთვის ჰყავს თავისი დამქაშები.

ასეთივე დამქაშები ჰყავს ჩვენს პრეზიდენტსაც. თავიანთი ფავორიტი რომ დაიცვან ოპონენტებისაგან, გამოდიან და სიტყვა-სიტყვით იმეორებენ პრეზიდენტის არგუმენტს — ფართომასშტაბიან ომს აგვარიდა ჩვენმა პრეზიდენტმაო.

სიტყვები მაინც შეცვალონ მაგ უბედურებმა.

პარალელურად კომუნისტებისდროინდელ მეთოდს მიმართეს — სახელისუფლებო საინფორმაციო საშუალებებში შრომითი კოლექტივების ერთსულოვანი მოთხოვნების ნიაღვარი გაჩნდა: პრეზიდენტის გადადგომა ასეთ სიტუაციაში უფრო დიდ საშინელებას გამოიწვევსო.

ჯერ ერთი, ვინ შექმნა ასეთი სიტუაცია, სადაც ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. მეორეც, რატომ არ ეკითხებით გალის მოსახლეობას, რა შეიძლება ამაზე კიდევ უფრო დიდი საშინელება დატრიალდეს პრეზიდენტის გადადგომის შემდეგ?

მაგრამ არა, მათ არავინ არაფერს ეკითხება, პირიქით, ურცხვად პირდებიან, უკან დაგაბრუნებთო.

დამქაშებიც სიტყვა-სიტყვით იმეორებენ, მალე უკან დავბრუნდებითო, დაგაბრუნებთო კი არა, დავბრუნდებითო.

კვლავ კომუნისტური ოპტიმიზმი გაჩნდა საინფორმაციო საშუალებებში.

ეტყობა, ეს ნაცადი მეთოდია და მას შესანიშნავად იყენებენ ახლანდელი ხელისუფლების დამქაშებიც. მათ ხომ, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ კომუნისტური წითელი ბილეთები გადაყარეს (რა ვიცი, იქნებ შეინახეს კიდეც), თორემ წითელი აზრები ხელუხლებლად შეინარჩუნეს.



მაგრამ დღეს, ვინ არ იცის, ძნელია ვინმეს გაბრიყვება, მითუმეტეს, ოპოზიციისა, აქედან გამომდინარე, ოპოზიცია უტევს და უტევს დრომოჭმულ, დახავსებულ ხელისუფლებას, ან საქმეს მიხედეთ, ან გადადექითო.

კაცმა რომ თქვას, რა არის ოპოზიციონერთა მოთხოვნაში მიუღებელი. სხვა რა გზა აქვს ხელისუფლებას: ან საქმე უნდა აკეთოს, ან უნდა გადადგეს, როცა საქმის კეთება არ შეუძლია.

ჩვენს ხელისუფლებას ხომ სწორედ საქმის კეთება არ შეუძლია.

სწორედ ამ მიზეზით ოპოზიციონერთა ლოგიკურ მოთხოვნას მოსახლეობის დიდი ნაწილიც ლოგიკურად უჭერს მხარს.

მაგრამ მოსახლეობას ვინ რას ეკითხება (ან როდის ეკითხებოდნენ).

დამქაშები კი თავისას არ იშლიან. პრეზიდენტის გადადგომა უფრო დიდ საშინელებას გამოიწვევსო.

იქნება ვინმემ აგვიხსნას, რატომ გამოიწვევს საშინელებას?

გადადგა სომხეთში ტერ-პეტროსიანი, მაგრამ არავითარი საშინელება არ გამოუწვევია ამ ფაქტს.

ჩვენთან კი...

რაკი ერთგული დამქაშები ენერგიულად უჭერენ მხარს, პრეზიდენტმაც ხმა აიმაღლა, ჩვეული რიხით შეუტია ოპონენტებს: „ბოლოსდაბოლოს, ვინა ხართ თქვენ, გაუთავებლად მოწამლულ ისრებს რომ მესვრით, მიამბეთ თქვენს დამსახურებაზე, არა მსოფლიოს მასშტაბებით, არამედ, თუნდაც, ერთი პატარა სოფლის მაგალითზე".

ბატონო პრეზიდენტო, თქვენი ამ სიტყვების გამო მინდა მოგმართოთ რამდენიმე შეკითხვით: პირველი, დავიჯეროთ, თქვენი გამოცდილების კაცმა ვერ შენიშნეთ თქვენს სიტყვებში ის უჩვეულო ტრაბახი, რაც ადრე ნამდვილად არ გახასიათებდათ? თანაც, მეტისმეტი ხომ არ მოგდით თქვენი მსოფლიო საქმიანობის გაზვიადებით? მეორე, იქნებ მართლაც მიგიძღვით მსოფლიოს წინაშე დამსახურება, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, რა? კერძოდ, რა მივიღეთ ამ დამსახურებისათვის? მესამე, შეიძლება მართლაც დიდი პოლიტიკოსი ბრძანდებით მსოფლიოში, მაგრამ სტალინი ხომ არა ხართ? სტალინზე დიდი პოლიტიკოსი, ვინ უწყის, როდის დაიბადება, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია: რამდენად დიდი იყო სტალინი, იმდენად დიდი უბედურება იყო საქართველოსთვის. რა გაუკეთა საქართველოს კარგი და სასარგებლო?

გვერწმუნეთ, ათასჯერ უკეთესი იქნებოდა საქართველოსთვის, ნაკლები პოლიტიკოსი ყოფილიყავით. მაშინ ნაკლებ უბედურებას გვარგუნებდით...

ისე, მე თუ მკითხავთ, პატარა სახელმწიფოს სულაც არ სჭირდება დიდი პოლიტიკოსი, მას უფრო დიდი მეურნე, მამულიშვილი, ეკონომისტი და გულშემატკივარი სჭირდება.

მეოთხე, ვთქვათ და, მართლაც დიდი პოლიტიკოსი ხართ და მსოფლიოს წინაშეც დიდი დამსახურება მიგიძღვით, რასაც ასე მოკრძალების გარეშე გვაყვედრით მეშვიდე წელია, მაგრამ განა ეს გაძლევთ იმის უფლებას, რომ თქვენი ერი ასეთ დღეში ჩააყენოთ? აღარც გაზი, აღარც შუქი, აღარც გზები და ქუჩები (დედაქალაქში რას ჰგავს ქუჩები, სხვაგან რა იქნება, ერთხელ მაინც შეამოწმეთ), აღარც ხელფასი, აღარც პენსია (ხელფასი და პენსია არ ჰქვია იმას, რასაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს უხდით).

აქედან გამომდინარე, შეკითხვა გაგრძელებას ითხოვს: იყო კი გამართლებული წინანდელი ხელისუფლების დამხობა იარაღის ძალით, თუკი უშუქოდ, უგაზოდ, უგზოდ, უხელფასოდ და უპენსიოდ დატოვებდით მოსახლეობას? განა ამას ძველი პრეზიდენტი ვერ მოახერხებდა?

მეშვიდე წელია გაიძახით, ორ წელიწადში საქართველო აყვავებული და აღორძინებული გახდებაო.

როდის გავა ეს „ორი წელიწადი?"

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეს „ორი წელიწადი" არასოდეს გავა დღითიდღე ვნადგურდებით, როგორც ეკონომიკურად, ისე სოციალურად.

ამაზე უარესი რა უნდა გაეკეთებინა ძველ პრეზიდენტს, სულის მოთქმა რომ არ აცალეთ, ქვეყანას ვერ მართავს და დაღუპვისაკენ მიჰყავსო.

დავიჯეროთ, ამაზე მეტად დავიღუპებოდით?

ერთი თქვენი დამქაშთაგანი იმ ავადმოსაგონარ დეკემბერ-იანვრის მომდევნო ცხელ დღეებში ძველი პრეზიდენტის საგინებლად და მისი მომხრეების დასამუნათებლად ტელევიზორის ეკრანზე წიწისმოგებით, გამოგვეცხადა: გაიძახოდით, ვაცალოთ, ვაცალოთო (პრეზიდენტობა). ვაცალეთ, ბატონო, ერთი, წელიწადი ვაცალეთ, მაგრამ მისმა მოღვაწეობამ რა შედეგი მოგვიტანა.

ახლა მე ვეკითხები მას, დღეს რომ პარლამენტში მოკალათებულა და მოსახლეობის ბედი ფეხებზე ჰკიდია: იმ პრეზიდენტმა ერთი წელიწადი იპრეზიდენტა და ყელში ამოვუყვანეთ, ქვეყანას ვერ მართავო. ამ პრეზიდენტს კი მეშვიდე წელია ვაცლით, პირში სულს ვუბერავთ, არიქა, მამა და მარჩენალი ხარ და რაც გინდა ის აკეთე, კაციშვილი უბატონოდ ხმას არ გაგცემსო. მაგრამ რა გვინახავს მისი გაკეთებული? რატომ არ უკიჟინებს ის დამქაში ამ პრეზიდენტს, რატომ ვერ მართავ ქვეყანას, ან რანაირადაც მართავ, იმას მართვა არ ჰქვიაო?

ის დამქაში ახლა, რა თქმა უნდა, გაჩუმებულია და სულაც არ გახლავთ გიჟი, უკიჟინოს. არ უკიჟინებს იმიტომ, რომ პრეზიდენტის კალთებქვეშ არის ამოფარებული და ეკონომიკურადაც და სოციალურადაც თავს მშვენივრად გრძნობს.

საერთოდ, ჩვენში თავს მშვენივრად მხოლოდ პარლამენტარები და სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებული ადამიანები გრძნობენ.

სხვები კი, სხვები ვის რაში სჭირდება.

პრეზიდენტს სხვებისთვის არ სცალია. ჯერ პარლამენტს სჭირდება ლაქუცი და თავზე ხელის გადასმა. მერე მაღალი ჩინოსნების დანაშაულსა და საქმისადმი უპასუხისმგებლობასა და გულგრილობას უნდა დაუხუჭოს თვალი.

ამიტომაც არის, რომ პრეზიდენტის სიტყვას, გნებავთ, ბრძანებებსა და განკარგულებებს კაციშვილი ყურში არ უშვებს, აინუნში არ აგდებს. და ამას აკეთებენ ისევ პრეზიდენტის ქვეშევრდომები, ხელქვეითები და დამქაშები.

ვიცი, ყოველივე ამას არ დაიჯერებთ, ბატონო პრეზიდენტო, არავის არ დაუჯერებთ, მაგრამ თამაზ წივწივაძის ხომ გჯერათ, ის ხომ მაინც ობიექტური და ნეიტრალური პიროვნებაა, მას მაინც დაუჯერეთ, თქვენს ბრძანებებსა და განკარგულებებს ყურში რომ არავინ უშვებს. ამას წინათ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" სწორედ თამაზ წივწივაძემ გამოაქვეყნა ამაზრზენი მასალა, სადაც დეტალურად იყო გადმოცემული გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის ორი წლის ისტორია, როდესაც თქვენს მიერ შვიდჯერ დადებული რეზოლუცია ჰოლანდიელი ინვესტორების ერთსა და იმავე საქმიანი წინადადების განხორციელებაზე აბუჩად იქნა აგდებული.

ან რა ჰქვია იმას, როდესაც ასევე აბუჩად არის აგდებული მეორე განკარგულება. წაიკითხეთ ძველი, ხანდაზმული სპორტსმენის დავით ციმაკურიძის გულისტკივილით გადმოცემული ინტერვიუ. თურმე თქვენივე ფონდიდან ძველი სპორტსმენებისათვის 1997 წლის იანვრიდან დახმარების სახით თვეში 120 ლარი დაგინიშნავთ, მაგრამ დღემდე არცერთ მათგანს არცერთი თეთრი არ მიუღია.

თუ დაუნიშნეთ, მიეცით კიდეც, თუ არა და, რისთვის დაუნიშნეთ?

თუკი თქვენ მართლა დაუნიშნეთ, მაგრამ სხვამ არ მისცა, რატომ არ ჩამოახრჩობთ მას?

საერთოდ, ამ შვიდიოდე წლის მანძილზე, რაც ქვეყნის პირველი პირი და ყველაფერზე პასუხისმგებელი ხართ, თუ დაგისჯიათ ვინმე დანაშაულისათვის, უპასუხისმგებლობისათვის, უსინდისობისათვის.

მადლობა ღმერთს, იმას მაინც ვერ იტყვით, არავითარი დანაშაული არ ხდება, ყველა კეთილსინდისიერად და პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობასო.

ნეტავი ასეც იყოს, ნეტავი ყველა კეთილსინდისიერად და პატიოსნად ასრულებდეს თავის მოვალეობას, ჩვენ სხვა რა გვინდა, რა გვაწუხებს და რა გვადარდებს.

მაგრამ რომ არ არის ასე?

რომ არავინ წუხს და ზრუნავს მოსახლეობის ბედ-იღბალზე, საქართველოს ხვალინდელ დღეზე?

რა ვქნათ, როდემდე ვიყოთ ასე ღვთის ანაბარად მიტოვებულები?

აი, ასეთ სიტუაციაში არ მიგვატოვეს ოპოზიციონერებმა და ჩვენს დასაცავად ხმა აიმაღლეს უსამართლობის წინააღმდეგ. მათ ჩვენი ბედი, ულატაკესი მოსახლეობის ბედი აწუხებთ (ნუ მოგერევათ ირონიული ღიმილი ამ სიტყვებზე, ჩვენც კარგად ვიცით, რა აწუხებთ მათ, მაგრამ მათ არგუმენტებს თვალს ვერ დაუხუჭავთ), ასე რომ, ჩაგვწიხლეთ, დაგვამცირეთ და აბუჩად აგვიგდეთ (სხვა რა ჰქვია იმას, სტუდენტის აღზრდისა და ადამიანად ჩამოყალიბებისათვის პროფესორს რომ 40 ლარს უხდით, ხოლო პოლიციელს ადამიანის დაჭერისათვის — 100 ლარს? აი, ახლა დაუდგათ დრო ოპოზიციონერებს და ჩვენი

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# გეოლოგ მაგისტრთა პირველი გამოშვება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ჭაბურღილების ბურღვის ტექნიკისა და ტექნოლოგიის კათედრაზე (კათედრის გამგე პროფესორი ირაკლი გოგუაძე) წარმატებით დაიცვეს და უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს მაგისტრებმა: მალხაზ ონიაშვილმა, ვასიკო თეთვაძემ, ნუგზარ აბუთიძემ და შავლეგ ონიაშვილმა. მათ მაგისტრატურაში სწავლის ორი წლის განმავლობაში დროზე ჩააბარეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანში გამოცდები და ჩათვლები, სადიპლომო ნაშრომების (პროექტების) ხელმძღვანელთა — პროფესორ ირაკლი გოგუაძის, დოცენტების: ნოდარ მაჭავარიანის, ვალერი ხითარიშვილის ყოველდღიური დახმარებითა და მზრუნველობით დროზე წარმოადგინეს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მეტად საინტერესო ნაშრომები (პროექტები): „ნინოწმინდის ფართობზე ჭაბურღილი 96-ის ბურღვის დროს გამოყენებული პოლიმერული საბურღი ხსნარის თვისებები და შემადგენლობა", „საბურღი იარაღის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება ჭაბურღილების გაყვანისას", „ბურღვის პარამეტრების რეგულირება, ბურღვის გეოლოგიურ-ტექნიკური პირობების შესაბამისად" და „ჭაბურღილის ბურღვის ტექნოლოგიური პროცესების მდგრადობის კვლევა კატასტროფების თეორიით". დაცვის დროს მაგისტრებმა თავიანთ გამოსვლებში სპეციალობაში საერთოდ და კერძოდ შესრულებულ სადიპლომო ნაშრომებსა და პროექტებში ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს.

სადიპლომო პროექტების დაცვის დროს, მისმა თავმჯდომარემ, საქართველოს გეოლოგიური დეპარტამენტის გენერალური დირექტორის მოადგილემ, ბატონმა ვაჟა გელეიშვილმა, პროფესორებმა ირაკლი გოგუაძემ, ზურაბ მგელაძემ, ვალერი ხითარიშვილმა და სხვებმა მაღალი შეფასება მისცეს მაგისტრთა ნაყოფიერ მუშაობას, მათ მიერ შესრულებულ პროექტებს. ხაზგასმით მიუთითეს, რომ პროექტები შესრულებულია სამთო-გეოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით და მათ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვთ ქართული ნავთობის მოძიებისა და მოპოვების საქმეში. სადიპლომო პროექტებით დაინტერესდა საქართველოს გეოლოგიური დეპარტამენტი. დეპარტამენტის 4-5 კაციანი სპეციალური ჯგუფი კათედრაზე გაეცნო სადიპლომო პროექტებს. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ასევე მაღალი შეფასება მისცეს მაგისტრთა პროექტებს.

ამჟამად მაგისტრატურადამთავრებული მალხაზ ონიაშვილი და შავლეგ ონიაშვილი წარმატებით მუშაობენ ნავთობის მოპოვების ქართულ-ბრიტანულ კომპანიაში, ხოლო ნუგზარ აბუთიძე და ვასიკო თეთვაძე ჯერჯერობით არასპეციალობით მუშაობენ. მიგვაჩნია, რომ საქართველოს ნავთობის დეპარტამენტმა და ნავთობის შერეულმა კომპანიებმა, უნდა იზრუნონ ნიჭიერი ახალგაზრდა გეოლოგების სპეციალობით დასაქმებისათვის.

შოთა თეთვაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

# ფესტივალებით გვანებივრებენ?

ფესტივალებით განებივრებულ საქართველოს ივნისში კიდევ ერთი საგუნდო ფესტივალი ელოდება გორში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ, საქართველოს, სასომხეთისა და აზერბაიჯანის საგუნდო კოლექტივები. ამ დღეებში, საქართველოს კულტურის მინისტრის, ბატონ ვალერი ასათიანის სახელზე გაიგზავნა მიმართვა, რომელშიც ნათქვამია: „პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გორის საკოორდინაციო საბჭოს მიზანშეუწონლად მიაჩნია აღნიშნულ ღონისძიებაზე 4000-6000 ლარის დახარჯვა მაშინ, როდესაც უსახსრობის გამო გორის 100-მდე სოფელი, შეიძლება, კულტურის სახლების, საკლუბო დაწესებულებებისა და სამუსიკო სკოლების გარეშე დარჩეს. ამასთან ერთად აუცილებლად გასათვალისწინებელია ბოლო პერიოდში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა აფხაზეთში, განსაკუთრებით კი გალის რაიონში. საკოორდინაციო საბჭო სთხოვს კულტურის მინისტრს, რომ ზემოაღნიშნული თანხა მიმართოს გორის რაიონის სოფლებში კულტურის დაწესებულებების დასაფინანსებლად. 2-3 წელი უზრუნველყოფს სოფლად ეროვნული კულტურის კერების გადარჩენას"

*საკოორდინაციო საბჭოს პრესცენტრი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღია წერილი ქალაქის მერს

ბატონო ბადრი!

გახსოვთ ალბათ, პრივატიზაციის შემდეგ მობინადრე თავისი ბინის მესაკუთრე გახდა. მესაკუთრეობა კი იმას ნიშნავს, რომ თავის ბინას, რასაც უნდა, იმას უზამს: ნებავთ — გაყიდის, ნებავთ — გაასაჩუქრებს, ნებავთ დაანგრევს და გაანადგურებს, არავის არაფერს დაეკითხება.

მაგრამ არც ისე ყოფილა თურმე საქმე, როგორც ეს პირველ მაისამდე გვეგონა. ჩვენი სიხარული, ბინების პრივატიზებით გამოწვეული, მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა, თურმე თუ ეს ქალაქის მერიამ არ ინება, საკუთარ ბინებს თითსაც ვერ დავაკარებთ, ვეღარც გავყიდით, ვეღარც გავაჩუქებთ და ვეღარც დავანგრევთ და გავანადგურებთ.

მაშ, სად გაქრა ჩვენი საკუთრება, ამ საკუთრებით მონიჭებული თავისუფლება? ვის მივმართოთ ჩვენი თავისუფლების დასაბრუნებლად, უბრალოდ, ჩვენი უფლებების დასაცავად? ქალბატონ ელენე თევდორაძეს? მაგრამ იგი მხოლოდ პატიმრების უფლებების დაცვას არის გადაყოლილი და ჩვენთვის არა სცალია. მას ჰგონია, ადამიანთა უფლებები მხოლოდ საპატიმროში ირღვევა, გარეთ კი ყველაფერი რიგზეა და იდეალურად არის მოწყობილი.

თქვენ კი, ეტყობა, მერიაში რა ხდება, წარმოდგენა არა გაქვთ. ის, რაზედაც ახლა გიამბობთ, ალბათ არ იცით, თორემ რანაირად დავიჯერებდით, რომ იცით, ისიც გვჯერა, რომ გცოდნოდათ, არაფრით არ დაუშვებდით.

ახლავე აგიხსნით ყველაფერს: მარტში, კერძოდ, 13 მარტს, თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიიღო ყოვლად უცნაური, მე ვიტყოდი, [illegible]ლებრივი დადგენილება „თბილისის უძრავი ქონების საბაზრო ფასის განსაზღვრის წესის და უძრავი ქონების შეფასების ცენტრის დაფუძნების შესახებ" (№06.03.87). ჯერ ერთი, საბაზრო ფასის განსაზღვრა წინასწარ ვის შეუძლია და მეორეც, საიდან მოიგონებენ ხოლმე ისეთ წინადადებებს, მისი წარმოთქმა რომ ენას მოატეხინებს კაცს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ დადგენილების საფუძველზე დაუყოვნებლივ შეიქმნა „უძრავი ქონების შეფასების ცენტრი", რომლის გარეშე ჩემს საკუთარ ბინას ვერც გავყიდი და ვერც გავაჩუქებ, ალბათ, ვერც დავანგრევ და ვერც ხანძარს წავუკიდებ.

მაშ, ხომ დამებადება კითხვა: სად გაქრა ჩვენი საკუთრება? რა საკუთრებაზე შეიძლება ლაპარაკი, თუკი ვინმეს ნების გარეშე ჩემს ბინას ვერ გავასხვისებ? რისთვის გადავიხადე პრივატიზაციისათვის თანხა? რა ვიყიდე, რას გავყიდი?

მეც კაი ბრიყვი ვარ, ისეთ სისტემაში გავიზარდე, რატომ მეგონა, საკუთარ ბინას ისე გავასხვისებდი, კაპიკს შემარჩენდა ვინმე?

აკი სახელმწიფო სანოტარო კანტორებს ბინის ღირებულების 3% ვუხდიდით? (არაფერს ვამბობ, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროსა და ყადაღის უქონლობის ცნობებისათვის რომ თანხებს ვიხდიდით) ახლა კიდევ 3% გახდა 6%.

საკმაოდ დიდი თანხაა ეს, ბატონო ბადრი. თანაც ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერი. აქედანვე ვიცი, იოლად ამ ცნობას არავინ მოგვცემს, საათობით, მეტიც, დღეობით გვაყურყუტებენ რიგში. რიგში რომ არ გვაყურყუტონ (ამ უდროობის დროს), ცოტაოდენ „ძღვენს", ანუ „ხელის ჭუჭყს" მოგვთხოვენ, როგორც წესი.

განა რა ისეთი მდიდრები გგონივართ უხელფასოდ, უპენსიოდ და ულუკმაპუროდ დარჩენილი უპოვარი მოსახლეობა, ასე რომ გვაწვებით ყელზე მახრჩობელა მაჯლაჯუნასავით და სულს გვიხუთავთ?

რა ახალი ბიუროკრატიული აპარატის შექმნა მოგიფიქრებიათ, განა ქონების შეფასების აუდიტები ვერ შეძლებდნენ?

თუმცა, გვჯერა, რომ თქვენ ამის თაობაზე არაფერი იცით, თორემ რანაირად დაუშვებდით ასეთ, რბილად რომ ვთქვათ, სისულელეს.

ამიტომ გაყენებთ საქმის კურსში: ამ დადგენილებას ხელი თქვენთან შეუთანხმებლად მოაწერა თქვენმა მოადგილემ ზურაბ ბიბილეიშვილმა, რითაც თავი ყოველგვარ კანონზე მაღლა დაიყენა, უფრო სწორად, თანამდებობრივ უფლებას გადაამეტა. ჩვენი აზრით, ასეთი დადგენილებების მიღება მოადგილის დონეზე არ უნდა წყდებოდეს.

მოადგილის დონეზე რომ გადაწყდა, მერე ასე წავიდა ქვემოთაც: სწორედ ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ჟორდანიამ ხსენებული დადგენილება უმალ [illegible] ნოტარიატებს და 1 [illegible] სასტიკად აუკრძალა „ცენტრის" გარეშე ბინების ყიდვა-გაყიდვა.

ოღონდ გაუგებარი დარჩა, თბილისის ვიცე-მერის ამხანაგ ზურაბ ბიბილეიშვილის მიერ მიღებული და ხელმოწერილი დადგენილება ამხანაგმა ჟორდანიამ მხოლოდ თბილისის სანოტარო კანტორებს დაუსახა სამოქმედო პროგრამად, თუ რესპუბლიკის მასშტაბს მოიცავს იგი?

ბატონო ბადრი, ამჯერად მხოლოდ თქვენ მოგმართავთ და იმედი გვაქვს, რომ ამ დანაშაულებრივ მოქმედებას დაუყოვნებლივ აღკვეთთ, მაგრამ თუ ეს არ მოხდა, ძალაუნებურად ვიფიქრებთ, რომ ყოველივე ეს თქვენთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა. ხოლო თუ ამას უმოკლეს ხანში არ იზამთ, მაშინ თავს ნებას მივცემთ, ყოველივე ეს ქვეყნის პრეზიდენტს პრესის საშუალებით საჯაროდ ვაუწყოთ.

მოსახლეობის საწინააღმდეგო კანონების ამოქმედებასა და კიდევ ერთი ბიუროკრატიულ-სამექრთამეო აპარატის შექმნას ბატონი ედუარდ შევარდნაძე არაფრით არ დაუშვებს.

მსგავსი აპარატები ჩვენ ისედაც ბლომად გვაქვს.

პატივისცემით,
მწერალი და პროფესორი
**რევაზ ჩხარტიშვილი**

# „ეროვნულ უმცირესობათა" დიასპორები და საქართველო

საქართველოთი დაინტერესებულ უცხო ქვეყნებს საქართველოში ყოველთვის ექნებათ დასაყრდენი ე. წ. ეროვნულ უმცირესობათა სახით და ქვეყანაში ყოველთვის იქნება ომის გაჩაღების საფრთხე რაიმეს საბაბით და ნილბით და, მათ შორის, აფხაზეთშიც არ მოელება ბოლო ომს მანამ, სანამ არ მოელება ბოლო საქართველოს ისტორიის გაყალბებას და მიტაცება-მითვისებას ეროვნულ უმცირესობათა მიერ და რაც მთავარია, არ გამომუშავდება სწორი, მოქნილი, ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს დაქვემდებარებული და მისადაგებული პოლიტიკა, ეროვნულ უმცირესობათა მიმართ.

საქართველოს, ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ე. წ. „ეროვნულ უმცირესობათა პრობლემა", განსაკუთრებულად, თითქმის არ ჰქონია.

ეროვნულ უმცირესობათა პრობლემა ნაბიჯ-ნაბიჯ შექმნა და თავს მოგვახვია რუსეთმა, ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, თავისი ვერაგული ჩანაფიქრის — „საქართველო ქართველების გარეშე" ანუ „უქართველო საქართველო" — განსახორციელებლად და, რომელსაც, ჯერ-ჯერობით, თავად ქართველთა ერთი ნაწილის ხელშეწყობით, წარმატებითაც ახორციელებს.

საქართველოში სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, გარკვეული რაოდენობით, ყოველთვის ცხოვრობდნენ, მაგრამ ქვეყანა ყოველთვის ფხიზლობდა და ახერხებდა გაწონასწორებული პოლიტიკის წარმოებას.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, თითქოს მართლა ჰუმანოიდები ვიყოთ, არასოდეს შურით, ზიზღით, დასჯით, სამაგიეროს გადახდით არ უპასუხნია ქართველობას ამა თუ იმ ეროვნებათა წარმომადგენლების ავკაცობისათვის, თორემ, დღევანდელობას რომ თავი დავანებოთ, განა არა გვქონდა ამის საბაბი?

გავიხსენოთ თუნდაც 1223 წელი, როცა თბილისის მაჰმადიანმა მოსახლეობამ ღალატით ქალაქის კარიბჭენი განახვნო და, მონღოლებისაგან ოტებულ, მართლაც პირსისხლიან ჯალალედინს აყვავებული დედაქალაქი ააოხრებინა, რასაც 100 ათასი ქართველის სიკვდილით დასჯა მოჰყვა.

ან კიდევ, 1795 წელს სომეხი ერის წარმომადგენლებმა ჩაიდინეს გაუგონარი გამცემლობა და უკანგაბრუნებული აღა-მაჰმად-ხანი თბილისს შემოაბრუნეს და ქალაქი ააოხრებინეს.

მიუხედავად ამისა, ქართველობას ღალატისა და გამცემლობისათვის სამაგიეროთი არ უპასუხნია მათთვის; პირიქით, ჩვეული მასპინძლობით, გულუხვობით, სითბოთი და ტოლერანტობით ილებდა იგი თავის მიწაზე სხვა ერთა გაჭირვებულ და სარჩო-საბადებლის მაძიებელ შვილებს.

გაიხსენეთ, რამდენი შემთხვევა ყოფილა, როცა თავისი ეროვნების ლტოლვილები სომხეთს არ მიუღია, ხოლო საქართველოს კი თავისი მიწა-წყალი უშურველად დაუთმია მათთვის. ამის შედეგია, რომ იგივე სომხები, ოსები, რუსები და სხვები არათუ კომპაქტურად ცხოვრობენ ჩვენში, არამედ მთელ ქვეყანას არიან საშიშია მკვლევარისათვის, რადგან ხანდახან სინჯარებიდან ავი სენის გამომწვევი მიკროორგანიზმები განიბნევიან ხოლმე.

ლტოლვილ და გატანჯულ ებრაელობას ძმური დახმარების ხელი გაუწოდა ქართველობამ და, აგერ 26 საუკუნის განმავლობაში, მართლაც რომ ძმურად გაგვიყვია ლხინი და ჭირი, ასევე ტანჯულ და მრავალსისხლდანთხეულ ქართულ მიწაზე, სადაც ებრაელობამ, მათი საყოველთაო აღიარებით, მეორე სამშობლო ჰპოვა და 26 საუკუნის შემდეგ თვალცრემლიანი და მადლიერი დაუბრუნდა მშობლიურ მიწა-წყალს.

გავიხსენოთ, სხვა ქვეყნები თუ როგორ უწყობდნენ ჩაგრულ ებრაელობას „პოგრომებს", მაგრამ ქართველს არასოდეს წაუწყმედია სული. იგი ყველგან ქართველი იყო და სხვაგანაც კი, შესაძლებლობის ფარგლებში, მხარში ედგა ებრაელობას. ქართველი სტუდენტის საბა კლდიაშვილის საქციელი ხომ სა-




მოდებულნი.

არა მგონია მსოფლიოში ვინმეს ჰქონდეს შექმნილი „ბალადა ვეფხვისა და მოყმისა", ან „შემომეყარა ყივჩაღის" მსგავსი რამ, ან კიდევ, რომელიმე ხალხს ეთქვას მტერზე შებრალებით, ისიც ჩვენი ძმააო — „თათარიც ჩვენი ძმა არისო", მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ამბობდა ქართველი.

ამიტომ იყო, რომ, მიზანდასახულად თუ გაჭირვების გამო, მოილტვოდნენ და მოილტვიან საქართველოსკენ უცხოტომელები, სადაც მათ ქართველი საუკეთესო თავთუხის პურითა და ბადაგის ღვინით უმასპინძლდებოდა.

თუ ვინ როგორ გადაგვიხადა სიკეთისათვის სამაგიერო, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ყველაფერი ჩვენი გულკეთილობისა და, თუ გნებავთ, ზედმეტი ბედოვლათობის ბრალიცაა.

აკი, აგერ გუშინ ვამაყობდი კიდევაც — საქართველო ინტერნაციონალური ლაბორატორიაა, სადაც 100-მდე ერი და ეროვნება ცხოვრობსო, ის კი დაგვავიწყდა, რომ ლაბორატორიული ცდები ზოგჯერ მაგალითოა არა მარტო ჩვენი ორი ერის მეგობრობაში.

ებრაელების შემდეგ სომხები მოდიან საქართველოში, მაგრამ ვაი ამ მოსვლას. მას შემდეგ, რაც ძვ. წ. ა. VI-V საუკუნეებში ამიერკავკასიაში — ურარტუსა და ქართველური ტომების საცხოვრისში ინდოევროპელი სომხები გამოჩნდნენ და დამკვიდრდნენ.

ასე და ამგვარად შემოდიოდნენ სხვა ხალხების წარმომადგენლებიც, რომელთაგან ზოგი ფეხს იკიდებდა ჩვენს მიწაზე, ზოგიც კი ვერა.

გავიხსენოთ ოსების მაგალითი. მიუხედავად იმისა, რომ ინდო-ირანული მოდგმის ოსები აგერ 20 საუკუნეზე მეტია კავკასიონის ჩრდილოეთ ველებში გამოჩნდნენ, მხოლოდ ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში მოახერხეს საქართველოში საფუძვლიანად დამკვიდრება და არა მარტო დამკვიდრება, არამედ აბორიგენობისა და ტერიტორიების მითვისების პრეტენზიებიც კი წამოგვიყენეს, რომელსაც, დღევანდელ რთულ და სიცრუით სავსე მსოფ-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# ისტორიული უსამართლობა აღარ უნდა განმეორდეს

ეჭვმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შესაძლო აღდგენის შესახებ, ამაღებინა კალამი ხელში, რამეთუ უკანასკნელ ხანს ინფორმაციის საშუალებანი ხშირად იუწყებიან ქართულ-ოსურ მოლაპარაკებებზე, ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური აღდგენა-აღორძინების, ლტოლვილთა დაბრუნების, ქართველებსა და ოსებს შორის დარღვეული ნდობის აღდგენისა და ურთიერთობების გაუმჯობესების შესახებ. ამას ჩვენც მივესალმებით, მაგრამ ოსური ექსტრემისტული წრეების ჯიუტი პრეტენზია საქართველოს მიწაზე ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის ცნობის თაობაზე და ქართული მხარის თანხმობა მორიგ მოლაპარაკებაზე ჩვენთვის გაუგებარ, რაღაც ბუნდოვან პოლიტიკურ სტატუსზე, სამხრეთ ოსეთის ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შემორჩენილი ქართული მოსახლეობის შიშსა და აღშფოთებას იწვევს.

ამ საგაზეთო წერილით მსურს მკითხველს გავაცნო ყოფილი ოლქის შემადგენლობაში თავის დროს იძულებით მოქცეული ქსნის ხეობის ზემოწელის ამჟამინდელი მდგომარეობა, მისი დემოგრაფიული სახე, ეროვნული ცხოვრების წესი, და ეს აუცილებელია სწორედ დღეს, როცა წყდება საქართველოს სისხლხორცეული კუთხის, მისი ორგანული შემადგენელი ნაწილის, აქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ისტორიული ბედი.

ცნობილია, რომ 1922 წლის აპრილში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელშიც იძულების წესით შეიყვანეს უამრავი ქართული სოფელიც, მათ შორის ქსნის ხეობის სოფლებიც (ოსები აქ ძირითადად გაფანტულნი იყვნენ მცირე დასახლებულ პუნქტებად ქსნისა და მისი შენაკადების ჭურთულასა და ალეურას სათავეებში), რადგანაც ამ კუთხის მოსახლეობა ძირითადად ქართული იყო და მისი შეყვანა ოსურ ადმინისტრაციაში საჩოთირო საქმედ მიიჩნიეს, ახლადშექმნილ ახალგორის რაიონს შემოუერთეს გორის მაზრის რამოდენიმე მოზრდილი ოსური სოფელი და ამ გზით ხელოვნურად საგრძნობლად გაზარდეს რაიონში ოსური მოსახლეობის ხვედრითი წილი. თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ხელისუფლების მიერ გადადგმული ასეთი ნაბიჯი, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, იქიდანაც ჩანს, რომ წინაგრიდან რაიონის ცენტრში წამოსულ გლეხს ხუთი რაიონის ტერიტორია უნდა გადაესერა (გორის, კასპის, მცხეთის, დუშეთისა და ახალგორის რაიონები) და ასე მოხვედრილიყო დაბა ახალგორში. ამიტომ იყო, რომ ცხინვალის შემოგარენში ქართული სოფლების კვალად, ქსნის თემმაც მკაცრი პროტესტი განაცხადა ოსურ ადმინისტრაციაში შესვლაზე და საჩივარი გააგზავნა ზემდგომ ორგანოებში. პროტესტი განაცხადეს ოსურმა სოფლებმაც (მაგ, წინაგრელებმა), მაგრამ ამათთ ქართვე-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# თქვენი პრეზიდენტად მარადიული ყოფნაც რომ არაა გამოსავალი?..

მეხუთე გვერდიდან

სახელით პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვენ. რა საბუთებით გააბათილებთ მათ არგუმენტებს? განა არ ირღვევა ჩვენში ადამიანთა უფლებები? (ელენე თევდორაძე მხოლოდ პატიმართა უფლებებზეა გადაგებული, ხოლო ვინც საქვეყნო სამსახურისათვის არის თავგადადებული, იმისთვის ჯერ არა სცალია).

აი, ასე უპატრონოდ მიტოვებისათვის ვითხოვთ ჩვენც პრეზიდენტის გადადგომას (ამ მოთხოვნას




მხოლოდ სახელისუფლებო სტრუქტურებში მოკალათებული ინტელიგენციის ნაწილი არ შეუერთდება).

პრეზიდენტი კი თავს იწონებს, მე მსოფლიოს წინაშე დამსახურება მიმიძღვის; ჩემს ოპონენტებს კი რა გაუკეთებიათ თუნდაც ერთი პატარა სოფლის მაგალითზეო.

ვთქვათ და, მართლაც არაფერი გაგვიკეთებია, აგური აგურზე არ დაგვიდვია, ფეხი ფეხზე გადადებული ვიცხოვრეთ ლუარსაბ თათქარიძესავით არხეინად და უდარდელად, მაგრამ განა ეს თქვენ გაძლევთ იმის უფლებას, ასე დაგვამციროთ და დაგვწიხლოთ, არაფრად ჩაგვაგდოთ, ულუკმაპუროდ დაგვტოვოთ? მიუხედავად ამისა, ქვეყანას მაინც უცვლელად ედგეთ სათავეში (თქვენი დამქაშები თვითდაჯერებულები არიან, ჩვენი პრეზიდენტი ათი წელიწადი კიდევ იპრეზიდენტებსო) ნეტავი, რატომ? ამომრჩევლებს არაფერს გვეკითხებით?

გაზი არა გვაქვს, შუქი არა გვაქვს, ხელფასი არა გვაქვს, პენსია არა გვაქვს, ქუჩები და გზები არ გვივარგა, დაპირებული სამუშაო ადგილი ვერ მოგვეცით, აფხაზეთი და სამაჩაბლო დავკარგეთ, აჭარას იმდენს ვუჩიჩხინებთ, ნუ გაგიკვირდებათ, ხვალ-ზეგ ხელი დაგვიქნიოს. კორუფცია ააყვავეთ და ააშენეთ, მოსახლეობის დიდზე დიდი ნაწილი კი დათრგუნეთ და დაასაჭურისეთ.

ბოლოსდაბოლოს, როდემდე გვიპირებთ უხელფასოდ დატოვებას. იმ ხელფასს, რასაც თქვენ გვიხდით, თქვენვე უწოდებთ სიმბოლურს. მაშ, სიმბოლურად ცხოვრება როდემდე შეიძლება? თქვენ ხელფასს მხოლოდ პარლამენტარებს უხდით (სხვა დახმარებებზე და შემოსავლებზე არას ვამბობთ), მაგრამ პარლამენტართა მაღალი ხელფასი რა შეღავათს აძლევს მოსახლეობის დაუცველ ფენებს?

ვერაფრით ვერ აგვიხსნია, რატომ ელოლიავებით ასე პარლამენტარებს, რატომ უგორებთ წითელ კვერცხებს? რით იმსახურებენ ისინი თქვენგან ასეთ მაღალ ყურადღებას? განა არ უნდა იცოდეთ, რა შედეგს გამოიღებს პარლამენტართა განუკითხავი თარეში სახელმწიფო ხაზინაში? იქნებ დღემდე არ გაგიგიათ, რა ჯდება მათი „მოლვაწეობა" პარლამენტშიც და საზღვარგარეთ მოგზაურობებში?

პარლამენტარებისადმი თქვენმა აუხსნელმა ლოიალობამ იქამდე მიგვიყვანა, დღევანდელ დღეს პარლამენტარობა ერთადერთ საშუალებად იქცა ცხოვრებისეული კეთილდღეობის მოსაწყობად.

დააკვირდით არჩევნებში მონაწილე კანდიდატების რიცხობრივ დინამიკას ყოველი მორიგი არჩევნების დროს: 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში ერთ ადგილზე 10-12 კაცი იყრიდა კენჭს, 1995 წლის არჩევნებში კი — 50-60 კაცი. ვისაც სურს, იმას დავენიძლავები: მომავალ არჩევნებში (რაღა დარჩა, სულ რაღაც წელიწადნახევარი), ერთ ადგილზე 300-400 კაცი წამოაყენებს თავის პრეტენზიას და მათი მიზანი ის კი არ იქნება, გაჭირვებულ ქვეყანას შეეშველონ, არამედ პირადი კეთილდღეობა მოიწყონ.

ვიმეორებ, დღევანდელ დღეს, პარლამენტარობა ერთადერთი საშუალებაა პირადი კეთილდღეობის მოსაწყობად.

სწორედ ამის გამო ეხოცეს ერთმანეთი ამას წინათ ლაგოდეხის არჩევნებში მოწინააღმდეგე მხარეებმა. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ ამ არჩევნებში გამარჯვება დეპუტატს მხოლოდ, ჰა და ჰა, წლინახევრის პრივილეგიას აძლევდა. ღირდა კი წლინახევრის გულისთვის თავის შეწუხება, ხარჯების გაღება, მტრების გაჩენა, მეგობრების გადაკიდება?

ეტყობა, ღირდა! ერთ წელიწადში ბევრ საკუთარ პრობლემას მოიგვარებდნენ. გარდა ამისა, ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ, ვინ იცის, ხვალ რა მოხდება, ვინ გაიმარჯვებს და ვინ არა. თუ არა და, ვინ დაუშლის, ხვალაც მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. რამდენია ახლანდელ პარლამენტში, სახელმწიფო საბჭოდან მოყოლებული სამარადჟამოდ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. მერე რა მოხდა, რომ ვერაფერს შველის ქვეყნის გაჭირვებას, თვითონ ხომ იხსნა თავი გაჭირვებისაგან. ეს არის მათთვის მთავარი. რაღაი ტკბილ ცხოვრებას გემო გაუგო, სწორედ პარლამენტარობის საშუალებით, აწი რავა შეელევა ამ საქმიანობას. დაპირდი არჩევნების წინ მოსახლეობას ოქროს კოშკის აგებას, მოიპოვე ხმები, გაინაღდე დეპუტატობა და მერე გინდ შეასრულე დანაპირები და გინდ არა, ვინ არის პასუხის მომთხოვნი.

აქედანვე ვიცი, რაც მოხდება მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნებში, ლაგოდეხი მონაგონი იქნება, ისეთი დღე დადგება, დედა შვილს არ აიყვანს ხელში.

დიახ, სამწუხაროდ და სავალალოდ, ასე იქნება დიდხანს, ვიდრე ადამიანს ნორმალური ხელფასი არ ექნება და მინიმალურ საარსებო პირობას მაინც არ შეუქმნის ხელისუფლება ლოდინითა და დაპირებებით განამებულ მოსახლეობას. ერთეულების მაღალი ხელფასი შეჯერებული უდაბლეს ხელფასთან, საიდანაც ხელისუფლებას საშუალო ხელფასის ჯამი გამოჰყავს, ვერაფერი შეღავათია 10 ლარიანი კაცისათვის. რა ვქნა, ვერაფრით უზვდები, სიკინჭილაძის 10 ლარისა და ელენე თევდორაძის 400 ლარის ჯამი რანაირად არის საშუალოდ 205 ლარი. თევდორაძის 400 ლარი რანაირად წაადგება ათლარიანი სიკინჭილაძის ოჯახს?

ანდა რა უბედურებაა ამხელა სხვაობა სიკინჭილაძისა და თევდორაძის ხელფასებს შორის? თევდორაძის ოჯახი უფრო მეტს მიირთმევს და სიკინჭილაძის ოჯახს ნაკლები სჭირდება?

თუმცა რა გვიკვირს ამ საკვირველ



ქვეყანაში, უცნაურობების მეტი რა ხდება ჩვენს გარშემო. მოსამართლეებს 600-600 ლარის დანიშვნას უპირებენ. ეკუთვნით, როგორ არ ეკუთვნით, ისიც საკითხავია, ეყოფა თუ არა ოჯახს 600 ლარი, მაგრამ მოტივი მანცვიფრებს: მაღალ ხელფასს იმიტომ ვუნიშნავთ, ქრთამს არ აიღებენო.

აქედან რა გამოდის, ბატონო პრეზიდენტო: ვისაც 10 ლარი აქვს, იმან აიღოს ქრთამი?

რა ლოგიკაა ეს?

გარდა ამისა, ბატონმა პრეზიდენტმა, ეტყობა არ იცის: მოსამართლეები ქრთამს არ ითხოვენ, მათ ძალით უჩეჩებენ ჯიბეში.

ვიდრე განსასჯელი არსებობს, იგი ყოველთვის ცდილობს ქრთამი გაიღოს, რათა თუ სულ ვერ დაიხსნის თავს, სასჯელის უმცირესი ზომა მაინც მიიღოს.

მითუმეტეს, დარღვევა და დანაშაული იარსებებს მანამ, ვიდრე კაცს ჯამაგირი არ ჰყოფნის. ჩვენ კი, გვყოფნის კი არა, მინიმალურადაც ვერ გვაკმაყოფილებს. ამას თვითონ ხელისუფლებაც აღიარებს, ჩვენს ხელფასებს სიმბოლური დანიშნულება უფრო აქვს, ვიდრე ადამიანთა საარსებო დანიშნულებაო. ის მოარული ფორმულა — ჯამაგირს უნდა ეყოს კაცი და არა ჯამაგირი კაცსო, მხოლოდ რომანში იკითხება ლამაზად,

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ეროვნულ უმცირესობათა დიასპორები და საქართველო

მეექვსე გვერდიდან

ლიოში გასაქანიც კი მიეცა.

რუსეთმა, საქართველოს ე. წ. მშვიდობიანი შეერთების შემდეგ, სწორად შეაფასა რა კავკასიაში საქართველოს როლი და მნიშვნელობა — თუ გინდა კავკასიას ფლობდე, საქართველო შენი, ან შენს მხარეზე უნდა იყოს — მიზანმიმართულად დაიწყო დემოგრაფიული დივერსია ჩვენს წინააღმდეგ.

ამას დაემატა ისიც, რომ XIX საუკუნის შუა პერიოდში, ახლადგაჩენილმა მოძღვრებამ — მარქსიზმმა წამოისროლა უნიადაგო ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით", რაც პირდაპირ მისწრება აღმოჩნდა ტოლერანტული ბუნების, გულუბრყვილო ქართველთათვის და ამ ლოზუნგის 100 წლისთავზე, თბილისსა და საქართველოში „ყველა ქვეყნის პროლეტარები", და არა მარტო ისინი, აღმოჩნდნენ თავმოყრილი.

არც ერთი ერი და ხალხი არ დაუბანგავს და მოუწამლავს კომუნისტების ამ ლოზუნგს ისე, როგორც ქართველობა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულა, მეოცე საუკუნის შავი ჭირის მომაკვდინებელი ტოქსინისაგან — ლენინურ-ინტერნაციონალური იდეოლოგიისაგან.

ეროვნულ უმცირესობებთან დამოკიდებულებისა და ურთიერთობის საკითხს დიდხანს ტაბუ ჰქონდა დადებული ჩვენში და ყველაფერი ცალმხრივად ხდებოდა: — სხვები ამახინჯებდნენ და ითვისებდნენ ჩვენს ისტორიას, კულტურას, ცვლიდნენ და დღესაც ჩვენს თვალწინ ცვლიან ჩვენს ისტორიულ ტოპონიმებს, ჩვენი ისტორიული არსებობისა და საზრისის მეტყველ მოწმეებს — ჩვენს ისტორიულ ტერიტორიაზე; მათ ყველაფრის უფლება ჰქონდათ და აქვთ, ჩვენ კი ხმის ამოღებას გვიკრძალავდნენ ან, ქართული ბუნებიდან გამომდინარე, გავიძახოდით: „ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს ასე არაა, მოდით, მათ ნუ ვაწყენინებთო".

და, აი, ასე; ჩვენ კი ვიცოდით, რომ ეს ასე არ იყო, მაგრამ მსოფლიოს სხვანაირად გააგებინეს და დააჯერეს, რომ მტკვრის ჩრდილოეთით მხოლოდ „ალანია" იყო, მტკვრის სამხრეთით მხოლოდ „სომხეთი", ხოლო დასავლეთ საქართველო კი თურმე აფსუებსა და საერთოდ ადიღეური მოდგმის ტომებს სჭერიათ; ასე რომ, ჩვენთვის — ქართველებისათვის, რომელთაც მრავალი თაობის სისხლის ფასად დღემდე მოვიტანეთ ეს მართლაც ღვთის წილი მიწა-წყალი, ერთი გოჯიც აღარ დასტოვეს; მსოფლიოს კი სულაც არ სცხელა და არც სცალია ჩვენთვის, მას უფრო დიდი საქმეები აქვს მოსაგვარებელი.

ყოველივე ამაზე, ჩვენ კი ან ვსდუმდით და ვსდუმვართ, ანდა ლამის ტაშსაც კი ვუკრავდით და ვუკრავთ ჩვენს „მოძმეებს".

უფრო მეტიც, თურმე ნუ იტყვით და აგერ გუშინ — 1995 წელს — ერევანში გამოუციათ სომხური არქიტექტურული ძეგლების რუკა, სადაც 650 ქართული არქიტექტურული ძეგლი ჩვენსავე ტერიტორიაზე, სომხურად — სომხების კუთვნილებადაა გამოცხადებული.

აფერუმ, სომხებო! სხვა ხალხებსაც თქვენთვის რომ მიებაძათ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, მსოფლიოს ხალხთა ხუროთმოძღვრული ნიმუშების მუზეუმი ვიქნებოდით;

ჩვენ კი აზრზე არა ვართ; ან მართლა გვძინავს, ან თავს ვიმძინარებთ, რაც ორივე შემთხვევაში დამღუპველია და იმას ნიშნავს, რომ თუ ასე მოვუხუჭავთ თვალს სინამდვილეს, ისტორიული ქარტეხილები თანამედროვე ცხოვრებისა ისე გაგვთელავენ, როგორც ჩიდოელი ლეკი ნაბადსა (ილია [illegible] სიტყვებია) და დედამიწის პირისაგან აღვიგვებით.

ერთი გოჯი მიწაც არ დაგვიტოვეს ამ ცისქვეშეთში და, მოდით, ამის შემდეგ მართლაც აღარ დავიჯეროთ ქართველთა ჰუმანიიდობა?

მაგრამ ყველაფერი, პირველ რიგში, ისევ და ისევ, ქართველთა ბრალია.

მახსენდება ასეთი რამ: 1992 წელს აფხაზეთში ომი რამდენიმე თვის დაწყებული იყო, პირველი სტატია რომ დავწერე სერიიდან „ვინ არიან და საიდან მოვიდნენ აფსუა-აფხაზები"? და წარმოიდგინეთ, რომ ზუსტად ერთი წელი მოვანდომე მის გამოქვეყნებას.

გაგრის სტადიონზე ქართველთა თავებით უკვე ნათამაშევი იყო გაუგონარი საფეხბურთო მატჩი და, მიუხედავად ამისა, ყველა რედაქციაში ერთი და იგივე პასუხი მესმოდა — „კარგია, მაგრამ ვერ დავბეჭდავთ, აფხაზებს ეწყინებათო" (!!!).

ზუსტად 10 გაზეთის რედაქცია მოვიარე და ყველგან ერთნაირი პასუხი მესმოდა.

განსაკუთრებით გული დამწყდა ორ გაზეთზე, ჩემთვის, და ალბათ, არამარტო ჩემთვის, საყვარელი გაზეთის „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციაში ასეთი საუბარი გაიმართა — „ჩვენ და აფხაზები რომ შერიგების მაგიდას მივუსხდებით, მაშინ თქვენსა და თქვენი წერილის მსგავს. ნაშრომებს წარმოგვიდგენენ და გვეტყვიან — აი, რას წერდით ჩვენზეო" (არა და, რედაქტორმა და მთელმა რედაქციამ სტატია მოიწონა და 20 გვერდიდან 9 გვერდამდე შემამცირებინა, რომ გაზეთისათვის მოხერხებული ყოფილიყო; სტატიაში დაფიქსირებულია ახლებური მიდგომის საჭიროება, ე. წ. „აფხაზეთის ისტორიისადმი" და დასმულია საკითხი შერყვნილი, დამახინჯებული და გაყალბებული საქართველოს ისტორიის ფეხზე დასაყენებლად).

„ჩემი წერილის საპასუხოდ თქვენ გაგრაში ქართველთა თავებით ნათამაშევი საფეხბურთო მატჩის ამ-



სახველი ვიდეოკასეტა ჩართეთ-მეთქი" — ასეთი იყო ჩემი პასუხი რედაქციისადმი.

ხოლო „ქართველი ერის" მაშინდელმა რედაქტორმა დაახლოებით ასეთი სიტყვებით გამომისტუმრა — „ჩვენ ტრადიციონალისტები ვართ, ტრადიციით კი ქართველები და აფხაზები ძმები არიან და როგორც არ უნდა იყოს ამ მიმართებაში ჩვენი ისტორია გაყალბებული, მაინც ასეთი წერილების დაბეჭდვისაგან თავს ვიკავებთო".

ამ ბოლო პერიოდში კვლავ გამოჩნდა გაზეთი „ქართველი ერი", რაც მისასალმებელია და ვისურვებდით, რომ ტრადიციონალისტების გაზეთს ყალბად არ გაეგოს, ახლა მაინც, ტრადიციების ერთგულება და ტრადიციებში რაც უვარგისი და ჩვენთვის საზიანოა, წყლისთვის გაეტანებინოს.

არ შემიძლია დაგვიანებული მადლობა არ გადავუხადო გაზეთ „საქართველოს" მაშინდელ რედაქტორს ბ-ნ ნოდარ გრიგალაშვილს და მაშინდელი რედაქტორის მოადგილეს ბ-ნ სერგო ჯანაშიას, რომლებმაც ვაჟკაცობაც გამოიჩინეს, გაბედულებაც და მამულიშვილობაც და უყოყმანოდ გამოაქვეყნეს აღნიშნული წერილი.

მსგავსი რამ შემემთხვა სხვა სტატიასთან დაკავშირებითაც გაზეთ „კავკასიონის" რედაქციაში, გაზეთისა, რომელიც ყოველ ნომერში პირველ გვერდზე გვაფრთხილებდა „გახსოვდეთ აფხაზეთიო".

საოცარია, მიუხედავად წერილის მოწონებისა, კვლავ ანალოგიური, დაშტამპული პასუხი მივიღე — „აფხაზებს ეწყინებათო". არადა, სოხუმის ტრაგედია, ჭუბერის უღელტეხილის გოლგოთიანად უკვე უკან იყო მოტოვებული.

ასევე დაგვიანებული მადლობა მინდა გადავუხადო ბ-ნ მერაბ ბალარჯიშვილს „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქტორს, რომელმაც წერილი „მოელება თუ არა ბოლო ომს აფხაზეთში ანუ სადამდე გაგრძელდება საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაცია" — ასევე უყოყმანოდ გამოაქვეყნა.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები იმას მოწმობს, რომ ჩვენ დღევანდელ მდგომარეობასა და უბედურებას ყველაფერს სხვას ნუ დავაბრალებთ.

დროა გაორებულ ცხოვრებას მოვეშვათ, ყველაფერს თავისი სახელი ვუწოდოთ და, ალბათ, ჩვენთვისაც ყველაფერი კალაპოტში ჩადგება.

ეროვნულ ურთიერთობათა საკითხში დიახაც, რომ მრავალი ნიუანსი არსებობს და ჩვენში დატრიალებულ და შექმნილ მოვლენათა ფონზე, თუ სიმართლეს ახლა მაინც არ ვიტყვით და სწორ სახელმწიფოებრივ ეროვნულ პოლიტიკას არ გამოვიმუშავებთ.

ერთხელაც კიდევ უნდა ითქვას ხაზგასმით, ისე საქართველოს სიცოცხლე და მომავალი არ უწერია.

ამ სტრიქონების ავტორი 1969 წლიდან მოყოლებული მთელი 20 წლის განმავლობაში იკვლევდა აფხაზეთის ტყეებს და ამ ხნის მანძილზე ბევრი შეხვედრაც ჰქონია. რასაკვირველია, იყვნენ კეთილმოსურნენი და სალად მოაზროვნე აფსუა-აფხაზებიც, მაგრამ ქართველთადმი სიძულვილი რომ უკვე ზენიტს იყო მიღწეული, ამას ერთი ასეთი ფაქტიც მოწმობს, რომელიც ჯერ-ჯერობით არსად მოგვიხსენიებია:

იქნებოდა 1971 თუ 1972 წელი. ოჩამჩირის რაიონის ერთ აფსუურ სოფელში პურ-მარილი გაგვიმართეს; შეზარხოშებისას ატყდა რაღაც მხიარული ჩოჩქოლი (რასაკვირველია, მათი ენა არ მესმოდა). ერთი მეინახე რაღაცას იჩემებდა. ამიხსნეს ამას ასეთი ჩვეულება აქვს, როცა დათვრება, ერთი სახუმარო სადღეგრძელო აქვს ამოჩემებული, ახლაც ამას ითხოვს და არ გეწყინოთო. მე რა მეთქმოდა. ისიც ადგა და, საერთო სიცილსა და ხორხოცში, არც მეტი, არც ნაკლები, ასეთი „სადღეგრძელო" მიფეშქაშა: — „ეს იმ ქართველს გაუმარჯოს, რომელიც უკანასკნელი ჩაივლის რუსთაველზეო".

რასაკვირველია, ამ სადღეგრძელომ ცივი წყალი გადამასხა და ჩემთვის — მეორე კურსის ასპირანტისათვის — ცხადი გახდა, თუ სადამდე ვიყავით მისული „ძმობასა და მეგობრობაში".

მეტი გზა არ იყო, მეც ხუმრობაში გავატარე ყველაფერი და მასპინძლებს დაახლოებით ასეთი მადლობა გადავუხადე — „ჩვენ, ქართველები მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ხალხი ვართ და თანაც ისეთი გამძლენი, რომ საუკუნეების მანძილზე ათეულობით ხალხი და იმპერია გაგვისვენებია და დაგვისაფლავებია-თქო; როცა რუსთაველზე უკანასკნელი ქართველი ჩაივლის, ჩათვალეთ, რომ აფხაზები და სხვა ხალხები უკვე დიდი ხნის ჩავლილი არიან-თქო".

და ეს ყველაფერი, რასაკვირველია, მიმდინარეობდა არაბუნებრივ, ცივ სიცილსა და ხორხოცში. ღმერთმა უწყის, გულში ვინ რას ფიქრობდა.

ჩემს მაშინდელ მასპინძლებს სამაგიერო იმით გადავუხადე, რომ 20 წლის შემდეგ დავიწყე გამოქვეყნება წერილების სერიისა, სათაურით „ვინ არიან და საიდან მოვიდნენ აფსუა-აფხაზები", სადაც ისტორიულ წყაროებსა და საკუთარ გამოკვლევებზე დაყრდნობით ფარდა ეხდება ე. წ. აფხაზეთის ისტორიის სიყალბეს და ცრუმეცნიერულობას, ანუ აფსუა-აფხაზთა წარმომავლობის საიდუმლოს.

მაპატიოს მკითხველმა ასეთი ლირიკულ-ტრაგიკული გადახვევებისათვის, მაგრამ, მე მგონია, ზემოთმოყვანილი მაგალითები საშვილიშვილო ჭკუისსასწავლად უნდა დარჩეს შთამომავლობას, თუკი ქართველებს საერთოდ ჭკუის სწავლა გვიწერია და შეგვიძლია.

**ბიძინა თავაძე**

(გაგრძელება იქნება)

მეექვსე გვერდიდან

ლი ხალხის გოდებას ყური არავინ ათხოვა. ასე მოექცა ისტორიული ქართული კუთხე — ქსნის ხეობა უცხო, ოსურ ადმინისტრაციაში.

ისმება კითხვა, რით დაიმსახურეს ოსებმა ასეთი უპირატესობა, საქართველოს ტერიტორიაზე მაშინ ხომ ოსებზე უფრო მრავალრიცხოვანი სხვა ეროვნული უმცირესობანი ცხოვრებდნენ? ამ საკითხზე ვრცელი პასუხის გაცემა ბევრ შავ ფურცელს ამოგვაქექინებდა ისტორიული არქივებიდან, რაც დღევანდელ სიტუაციაში, ეთნოკონფლიქტების მოგვარებისა და დაპირისპირებულ მხარეთა შერიგების პირობებში მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, თუმცა ხელაღებით გაჩუმებაც დანაშაულის ტოლფასი იქნებოდა. პასუხი მხოლოდ ერთია და ამომწურავი: ოსებმა ავტონომიის უფლება მიიღეს საბჭოთა რუსებისაგან, დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ სამწლიანი დაუნდობელი ბრძოლის საჩუქრად.

შორს წაგვიყვანს იმის გახსენება, თუ რა მძიმე ტვირთად დააწვა საქართველოს ეკონომიკას ოლქის პარტიულ-საბჭოური და სხვა სტრუქტურების გაბერილი საშტატო ერთეულების შენახვა, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა უმიზნო ხარჯებზე.

არ ვეხები აგრეთვე იმ ნეგატიურ, ტენდენციურ მიდგომებს, რაც თან ახლდა ოლქის არსებობის სამოცდაცხრაწლიან ისტორიის მანძილზე მეურნეობის, კულტურის, განათლების, საკადრო პოლიტიკისა და სხვა დარგების განვითარებას. შევეხები მხოლოდ იმ შედეგების მოკლე ანალიზს, რაც თვალნათლივ გამოჩნდა ოლქის გაუქმების შემდეგ.

პირველი, რაც გულსატკენია და რამაც შეარყია აბორიგენი ქართველი ხალხის რწმენა, ის არის, რომ თავის მამა-პაპის სისხლითა და ოფლით გაპოხილ მიწაზე იგი ეროვნულ უმცირესობად გადაიქცა. ეს მღვრიე ტალღა უფრო ადრე, ოლქის შექმნამდე, რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობისთანავე დაიწყო. ამ ტალღის პირველი მსხვერპლი რაჭის მაზრაში შემავალი წმინდა ქართული კუთხე, დღევანდელი ჯავის მიდამოები შეიქმნა და სულ მალე აქ ქართველი კაცი სანთლით საძებარი გახდა. მღვრიე ტალღამ მალე მთელი სამაჩაბლო მოიცვა, ორივე ლიახვისა და მასთან მიმდებარე ტერიტორიებით. 69 წლის მანძილზე შიდა ქართლის საამაყო წმინდა ქართული ქალაქი ცხინვალი ოსურ ქალაქად აქციეს. მღვრიე ტალღამ ოლქში ძალით შეთრეულ ქსნის ხეობასაც მოუკაკუნა კარი. ყველაზე მეტი სუსხი რაიონის ცენტრმა-ახალგორმა განიცადა. აქ ჩემს

# ისტორიული უსამართლობა აღარ უნდა განმეორდეს

ბავშვობაში ხელის თითებზე დასათვლელი თუ ვინმე ოსი ცხოვრობდა, ისიც მეზობელი სოფლებიდან სამეურნეო საქმეზე ჩამოსულები და ცხინვალიდან რაიონული მართვის სისტემაში სამუშაოდ (ადგილზე ვერ მოძებნეს კადრები) გამოგზავნილი ოსი მოხელეები, მათივე წყალობით ახალგორს სახელი შეუცვალეს და ლენინგორი უწოდეს. ქუჩებს ოს მოღვაწეთა სახელები დაარქვეს. ყველაფერს ოსური იერ-სახე ეძლეოდა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ არ-




წყენინების ე. ი. წაყრუების მოტივით ამ საშიშ პროცესს ხელს არავინ უშლიდა. ასე დაიწყო ქსნის ხეობის „ინტერნაციონალური" ათვისება უცხო ადმინისტრაციის მიერ.

ავბედითი პროცესი უფრო გააქტიურდა და ოლქის არსებობის უკანასკნელ წლებში სახიფათო ხასიათი მიიღო. თვით ახალგორის დემოგრაფიული სახის მკვეთრი შეცვლის მიზნით მთელი რიგი ოსური სოფლები (ფიჭვნარი, დიდვაკე, ჯვარისუბანი, ზაზაანი და სხვა) ახალგორში ჩამოასახლეს. უხეში გადახრები გააკეთეს მიწების და განსაკუთრებით საცხოვრებელი ბინების განაწილების საქმეში. 90-იანი წლების დამდეგს რუსთაველის საზოგადოების ახალგორის რეგიონალურმა ორგანიზაციამ შეისწავლა უკანასკნელ ხანს განაწილებული ბინების საკითხი. გამოვლინდა, რომ ახალგორში განაწილებული 70 ბინიდან 52 ბინა განაწილებული იყო ოსზე, 12-სხვა ეროვნებაზე (?) სსრკ-ს დაშლის უკანასკნელ მომენტში რაიონის საბჭოურმა ხელმძღვანელობამ კიდევ მოასწრო ერთი ოცბინიანი კორპუსის „სამართლიანი" განაწილება: 13 ოსზე, 7 ქართველზე და საერთოდ, საცხოვრებელი ბინების განაწილების დროს ყოველთვის ირღვეოდა მოსახლეობის პროპორციული თანაფარდობის პრინციპი ოსების სასარგებლოდ.

ნათქვამი კომენტარს აღარ საჭიროებს და საკმაოა, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც,რომ განაწილებულ ბინებში ადგილობრივი ადმინისტრაციის განკარგულებით უამრავი ბინის მაძიებელი ოსი შეუფერხებლად ეწერებოდა და ამ გზით მეზობელ სოფლებში საუკეთესო ბინების მფლობელნი ახალგორში ახალი ბინების განაწილების რიგში დგებოდნენ.

ღმერთმა გაამრავლოს ყველა ერი. მათ შორის ჩვენი მეზობელი, ნათესავი ოსებიც, მაგრამ როცა ზემოთ მოყვანილ ფაქტებს წინასწარ გამიზნული ბოროტი ზრახვები უდევს საფუძვლად, როცა ერთი ერი — მკვიდრი იზღუდება, ხოლო მეორე განდევნილის ადგილს იკავებს, შეუძლებელი იყო ყოველივე ამას ადგილობრივი მოსახლეობის გულისწყრომა არ გამოეწვია და, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, ეს ასეც მოხდა.

ახალგორიდან ქსანს ჩრდილოეთისაკენ გაუყვა ხეობის „ათვისების" უცხოური პროცესი. ყველაფერს — მიწისზედა თუ მიწისქვეშა მატერიალური კულტურის ძეგლებს ოსური სახელწოდებები გამოუძებნეს. ახალგამომცხვარმა არქეოლოგებმა „სამეცნიერო" ხასიათის გათხრები დაიწყეს მოპოვებულ ნივთებს, იმ ეპოქისასაც კი, როცა ოსის ხსენება ჯერ კიდევ არ იყო დედამიწაზე, ოსური უწოდეს. მიცვალებულნი დუმან სამარხეული ინვენტარი? ამას ანგარიშს აღარავინ უწევდა განმკითხავიც არავინ იყო არწყენინების პოლიტიკა მაშინაც და ახლაც ჭეშმარიტების მიჩქმალვის მეთოდი გამოდგა. იყო ცდები, ქართულ ნასოფლარზე დასახლებულმა ოსებმა (მაგ, სოფ. მონასტერი ლეხურის ხეობაში) სცადეს აქ შემორჩენილი ისტორიული ძეგლიდან გაექროთ გაკუთხული ლოდი ე. წ. ბალავრის ქვა ლაპიდარული წარწერით (იგი თავის დროს დაიძებნა და დღეს ახალგორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება).

მახსოვს, 60-იანი წლების დამდეგს, კულტურის სამინისტრომ განიხილა ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობის საკითხი. კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი იყო აღმაშფოთებელი ფაქტები. მუზეუმის მუშაკებს ჩამოეხსნათ მაჩაბლების სასახლის ჩუქურთმიანი კოჭები, დაეხერხათ და მუზეუმში ოსური კერა მოეწყოთ. კარგია დიდმა ქართველმა მეცნიერებმა დროულად მიაქციეს ყურადღება ამ კუთხის შესწავლას და დღემდე შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლების, არქეოლოგიური მონაპოვრებისა და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, მეცნიერული [illegible] განსაზღვრეს ქსნის ხეობის [illegible] ადგილი საქართველოს ძირძველ ისტორიაში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქსნის ხეობაში 300-მდე მატერიალური კულტურის ძეგლია დღემდე შემორჩენილი. მე სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ აღრიცხული 300-მდე ძეგლიდან არცერთი არ არის ისეთი, რომელზეც ქვა-ქვაზე იყოს დადებული არაქართველისაგან. როგორ უბრუნდებათ ენა პირში ოს ექსტრემისტებს, როცა უსირცხვილოდ აცხადებენ პრეტენზიას ქსნის ხეობაზე?

მე შევეცადე მოკლედ დამეხასიათებინა ავადსახსენებელი ოლქის არსებობის 69 წლის მანძილზე როგორ გადაიქცა აქ მცხოვრები ქართველი ხალხი ეროვნულ უმცირესობად და როგორ განვითარდა ქსნის ხეობის ათვისების ოსური ვარიანტი. ამჯერად შევეცდები მოკლედ მოვუთხრო მკითხველს, თუ რა ბედი ეწია ამავე წლებში ორივე ხალხის, ქართველებისა და ოსების ოდესღაც ძმურსა და ნათესავ-მეზობლურ ურთიერთობას.

პროცესს, რომელიც ზემოთ იქნა აღწერილი, თან ახლდა ბოროტი პროპაგანდა ოს ახალგაზრდობაში, თითქოს მიწა, რომელზედაც იგი ცხოვრობს, ოსური მამაპაპური მიწაა, რომ მისი სრული დაუფლებისათვის მან იარაღით ხელში უნდა იბრძოლოს, რომ ოსმა მხოლოდ ოსურად უნდა ილაპარაკოს და ა. შ.

ჩვენც, ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს საპურმარილოდ. ფეხზე ადგომით ვსვამდით ხოლმე ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობის სადღეგრძელოს. სამსახურებრივ თუ საყოფაცხოვრებო საკითხებშიც ასეთივე სიახლოვე გვქონდა: გულწრფელად, შეგნებულად ვიტანდით ეროვნულ გადახრებსაც, მაგრამ იმასაც ვამჩნევდით კულისებს მიღმა, როგორ გროვდებოდა ურთიერთ სიძულვილი, რამაც უეცრად იჩინა თავი, როგორც კი დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ საქართველოს ერთდროულად წამოეშალა შინაური თუ გარეშე მტრული ძალები. აფხაზურ ექსტრემიზმსა და სისასტიკეს არც ოსური ჩამორჩა. ახლა უკვე დანაშაულებრივი ავტონომიური ოლქიც იუკადრისეს და თვითნებურად 1989 წლის ნოემბერში ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნეს. ამასთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელს ტერიტორიაზე ოსური ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადეს. საქართველოს უზენაესმა საბჭომ იმავე წლის 19 ნოემბერს ბათილად სცნო ეს ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილება, ხოლო შემდეგ, 1990 წლის 28 ოქტომბერს, როგორც კი საქართველოს სათავეში ჩაუდგა ეროვნული ხელისუფლება, ზემოხსენებული თავაშვებულობის პასუხად იმავე წლის 11 დეკემბერს გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, როგორც ოსური ექსტრემიზმის საბუდარი საქართველოში. თუ ამას გამჭრიახი თვალით შევხედავთ, ეს იყო გონივრული ნაბიჯი, გადადგმული ქართველი და ოსი ხალხის ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის აღდგენის გზაზე. ამას, ალბათ გვიან გაიგებენ ჯერ კიდევ მტრულ პოზიციაზე მდგარი შუბლმაგარი ოსი ექსტრემისტები და მათი მიმდევრები.

**ვალერიან ხოცუაშვილი**
დ. ახალგორი

გაგრძელება მომდევნო ნომერში

# თქვენი პრეზიდენტად მარადიული ყოფნაც რომ არაა გამოსავალი?..

მეშვიდე გვერდიდან

თორემ ცხოვრებისეული მწარე რეალობა ამ ფორმულას სულაც ვერ გუობს.

დიახ, ამიტომ დაუნიშნეს მოსამართლეებს 600-600 ლარი, ქრთამს არ აიღებენო.

სწორედ ამ მოტივით უპირებენ ახლახან ახლადშექმნილ ანტიკორუფციული კომისიის წევრებს 2500-2500 ლარი დაუნიშნონ.

ეტყობა, ჩვენი გზადაბნეული ხელისუფლება ამ გზით ცდილობს მექრთამეობის მოსპობასაც და კორუფციის აღმოფხვრასაც.

მაგრამ ამოდენა გამოცდილების კაცი ხომ უნდა ხვდებოდეს: რაც მეტი კომისია და მაკონტრებელი ორგანო იქმნება, მით მეტი და მეტია კორუფციის მასშტაბი.

მოგაგონებთ თქვენს ადრეულ მოღვაწეობას ცეკას მდივნობის დროს: რაც უფრო მწვავედ შეუტიეთ ნეგატიურ მოვლენებს, მით უფრო მეტად იჩინა მან თავი, ქრთამის „სტავკაც" გაიზარდა და მექრთამეთა რიცხვიც.

ფაქტი ასეთი იყო და, თქვენ გინდ დაიჯერეთ და გინდ არა.

საკითხავია, რისთვის მოიგონეთ ეს ახალი მაკონტროლებელი, უფრო სწორად, დამსჯელი ორგანო? რას გიკეთებთ პროკურატურა, სასამართლო, შინაგან საქმეთა სამინისტრო? თუკი ისინი თავიანთ ფუნქციებს ვერ ასრულებენ, რატომ არ კიცხავთ, რატომ არ ათავისუფლებთ, ან სულაც, რატომ არ სჯით უპასუხისმგებლობისა და დანაშაულისათვის?

გასაგებია, ეს ახალი სადამსჯელო ორგანო იმიტომ შექმენით, რომ ზემოთ დასახელებულ სამართალდამცავ ორგანოებს არ ენდობით, მაშინ იბადება ახალი კითხვა: ამ ახალ ორგანოს რის საფუძველზე ენდობით?

იმიტომ, რომ მაღალ ხელფასს გადაუხდით?

თუ ეს არის ერთადერთი გამოსავალი, მაშინ ასეთი მაღალი ხელფასი იმ სამართალდამცავი ორგანოს მუშაკებისათვის დაგენიშნათ, ასე თუ ისე, დღემდე ისინი ასრულებდნენ იმ მოვალეობას, რაც ამ ახალ კომისიას უნდა დააკისროთ. მაღალი ხელფასის პირობებში არც ისინი დაიხევდნენ უკან და თავიანთ მოვალეობას სხვაზე უკეთ შეასრულებდნენ.

ახალი კომისიის შექმნა კი, გვერწმუნეთ, უეჭველად გამოიწვევს ქრთამის „სტავკის" ერთი-ათად გაზრდასაც და კორუფციის ერთი - ათად გაძლიერებასაც.

მერე, რაკი ეს ახალი კომისიაც გაითქვიფება ჩვეულ სიბინძურეში, ხელახლა მოგიწევთ ახალი ორგანოს შექმნა, ვთქვათ, ასეთი სახელწოდებით: „ანტიკორუფციული კომისიის ანტიკორუფციული კომისია". ესენი კი 2500 ლარს აღარ დაგჯერდებიან და 5000-მდე მოგიწევთ ხელფასის გაზრდა.

მერე, რა თქმა უნდა, ესენიც გაისვრებიან ახალ სიბინძურეში და ახალი კომისიის შექმნა გახდება საჭირო.

და ასე დაუსრულებლად, ვიდრე ქვეყნის ბიუჯეტი გაწვდება ასეთი კომისიების წევრებისათვის მაღალი ხელფასების გაცემას.

ყოველივე ამას იქნებ სჯობდეს, ადამიანებს ნორმალური ხელფასები მისცეთ (თუნდაც ,მინიმალური და არა სიმბოლური), რომ დანაშაულზე და უკეთურებაზე ნაკლებად იფიქრონ.

ეტყობა, ნორმალურ ხელფასებს კარგა ხანს ვერ ველირსებით. ვერ ველირსებით იმიტომ, რომ... ჯიბეურებიდან ამოღებული თანხით შევსებული ბიუჯეტით შორს ვერ წავალთ. სხვა კი ჩვენთან არაფერი არ მუშაობს, ყველაფერი ჩამკვდარი და განადგურებულია. საქართველოში რომ სოფლის მეურნეობის დარგს მინისტთან გაასწორებს, ის კაცი მრეწველობას როგორ აამუშავებს.

ან რა დღეშია მეცნიერება, კულტურა, მწერლობა და სამედიცინო სფეროები.

მსოფლიოს დიდი პოლიტიკოსი მეურნეობას ვერ გაართმევს თავს. ამიტომ ჩემი ღრმა რწმენით, ქვეყნის პირველი პირი, ისიც პატარა ქვეყნისა, პირველ რიგში სამეურნეო საქმეს უნდა უძღვებოდეს და მსოფლიო პოლიტიკის კეთება სხვას უნდა დაუთმოს.

რა ვქნათ, თქვენმა დიდმა პოლიტიკამ ვერავითარი სარგებლობა ვერ მოგვიტანა. პატარა პოლიტიკა კი (ვთქვათ, აფხაზეთთან და ე. წ. სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის გარკვევა და მოგვარება) გაუკეთებელი და მოუგვარებელია დღემდე და სასიკეთო პირი არც ხვალ სჩანს.

მაშ, არც საშინაო პოლიტიკა (საგარეოზე ნამდვილად ვერაფერს ვერ ვიტყვით), არც სამეურნეო საქმიანობა — სხვა რა ევალება ქვეყნის პირველ პირს?

თუ არც ერთის მოგვარება არ ძალგიძთ, თუ დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებთ (თანაც თქვენ ხომ თქვენივე ნებით იკისრეთ ყოველივე) და რომ ვერ ასრულებთ, ეს თქვენც კარგად იცით, თვითონვე ხომ უნდა მიხვდეთ, რომ თქვენი დრო წასულია, სიახლეებს ფეხი ვერ აუწყვეთ, თავისუფლებასა და დამოუკიდებელ აზროვნებას ვერ მოერგეთ და ამიტომ საჭიროდ უნდა ჩათვალოთ, რომ პრეზიდენტის სავარძელი თქვენივე ნებით დათმოთ.

რატომღაც დარწმუნებული ხართ, ეს გამოსავალი არ არისო.

მაგრამ თქვენი პრეზიდენტად მარადიული ყოფნაც რომ არ არის გამოსავალი?

**რევაზ ჩხარტიშვილი**

## სატირა

### წკიპურტ-პანღურები

სტაბილურობაა! დავფრინავთ ოცნებით,
აღარც მიტინგია და აღარც კარავი,
დღეს თუ ხვალ შიმშილით დავიხოცებით,
აღარ იხმაურებს საერთოდ არავინ.

* * *

ეს არის ჩვენი, ქართველური საერთო ჭირი,
მოგსპობს შიმშილი, სიღატაკე და კოხის ჩხირი,
ანზორ, ნიკოლოზ, გოჩა, ხვიჩა, გიორგი, ბადრი,
თუ არ ვისწავლეთ ყაირათი და ფულის ყადრი.

* * *

საქართველო ძველებურად,
დარჩა მონად, სხვების ხასად,
ჩვენს მიწაზე ვცხოვრობთ მდგმურად,
მივაჩნივართ ბრბოდ და მასად.
აღარც ქალი ვარგა ქალად,
აღარც კაცი ფასობს კაცად,
ღირს სიცოცხლე ჩალის ფასად,
და საშველი არსად არ ჩანს.

**ნიკოლოზ იოსებიძე**

## სხეულის ენა

# კიბოს განკურნებაც შესაძლებელია

ჩვენი სხეული მუდმივად გველაპარაკება, მეტყველებს ჩვენი ჟესტი და მიმიკა, პოზა და სიარულის მანერა, გამოხედვა, ხმის ტემბრი, სუნთქვის ან გულისცემის სიხშირე... ორგანოს დაავადებაში ასახულია ჩვენი სულიერი მოძრაობის თავისებურებები.



ამერიკელი ფსიქოლოგი ლუიზა ჰეილი ის ქალია, რომელმაც თავისებური მეთოდებით, ყოველ დაავადებას მოუძებნა გასაღები, და თვითონაც კიბოთი დაავადებულმა განიკურნა თავი! ამის მერე მისი მოძღვრებით დაინტერესდა მთელი მსოფლიო...

„მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს სხეულში თვით ჩვენ ვქმნით ე. წ. დაავადებებს. სხეული, ისევე როგორც ყველაფერი დანარჩენი ცხოვრებაში, ჩვენი მტკიცებების პირდაპირი ასახვაა. ჩვენი სხეული გამუდმებით გვესაუბრება — ჩვენ რომ მას ვუსმენდეთ... სხეულის ყოველი უჯრედი რეაგირებს ჩვენს ყოველ აზრსა და ყოველ სიტყვაზე.

აზრებისა და სიტყვების ხანგრძლივი ხატი განაპირობებს სხეულის ქცევას. ნაღვლიანი გამომეტყველების ადამიანს უსიხარულო აზრები აქვს. ამასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა მოხუცების სახეები. სახე — მათი აზრთა მსვლელობის პირდაპირი ასახვაა მთელი ცხოვრების მანძილზე. როგორი სახე გექნებათ თქვენ, როცა დაბერდებით? კეთილი თუ ბოროტი?"

ლუიზა ჰეილს თავის ნაშრომში მოჰყავს მრავალი დაავადების მეტაფიზიკური დიაგნოზი და მენტალური მიზეზების სრული სია.

### კიბო

ავადმყოფობა, რომელიც გამოწვეულია [illegible] ბოღმით, წყენით და რომელიც სხეულის გამოჭმას იწყებს პირდაპირი გაგებით: ბავშობაში ხდება რაღაც ისეთი, რაც ძირს უთხრის ჩვენს რწმენას ცხოვრებაში. ეს შემთხვევა არასოდეს გვავიწყდება და ადამიანი ცხოვრობს საკუთარი თავის მიმართ უდიდესი სიბრალულის გრძნობით. მას უჭირს ხანგრძლივი, სერიოზული ურთიერთობები ჰქონდეს. ასეთი ადამიანის ცხოვრება იმედგაცრუებებისაგან შედგება.

მის ცნობიერებაში უსასოობის განცდა ჭარბობს, მისთვის ადვილია დაადანაშაულოს სხვები საკუთარ პრობლემებში. კიბოთი დაავადებული ადამიანები ზედმეტად თვითკრიტიკულნი არიან. „როგორც საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი, საკუთარი თავის სიყვარული და საკუთარი თავის მიღება ისეთად, როგორიც ხარ, განგკურნავს კიბოსაგან."

შესაძლოა, ვინმეს ფანტასტიკურად მოეჩვენოს, მაგრამ თანამედროვე ფსიქოსომატიკამ უამრავი ფაქტობრივი მასალა დააგროვა იმის საილუსტრაციოდ, რომ სულიერი გაძლიერება, გადაწყობა და განახლება უმძიმესი დაავადების მკურნალობისას სასწაულებრივად მაღალ შედეგებს იძლევა.

### გული და სისხლი

გული, რასაკვირველია, სიყვარულის სიმბოლოა, სისხლი კი სიხარულისა, როცა ჩვენს ცხოვრებაში არ არის სიყვარული და სიხარული, გული იკუმშება და ცივდება, რის შედეგად სისხლი იწყებს ნელა მოძრაობას და ჩვენ გვემართება ანემია, სისხლძარღვთა სკლეროზი, გულის შეტევები (ინფარქტი).

ზოგჯერ იმდენად ვართ ჩართულები ცხოვრებისეულ დრამებში, რომელთაც ჩვენ თვითონ ვქმნით, რომ სრულიად ვერ ვამჩნევთ ჩვენს გარშემო სასიხარულოს, სასიამოვნოს. ოქროს გული, ცივი გული, შავი გული, მოსიყვარულე გული — თქვენ როგორი გული გაქვთ?

### ზედმეტი წონა

დაცვის მოთხოვნილება, საჭიროება. ჩვენ თავს ვიცავთ ტკივილისაგან, კრიტიკისაგან, სექსუალურობისაგან, შეურაცხყოფისაგან და ა. შ. ეს დიდი არჩევანია.

„მე არასოდეს ვყოფილვარ მსუქანი — ამბობდა ლ. ჰეილი, მაგრამ საკუთარი გამოცდილებით მივხვდი, რომ როცა საკუთარ თავში არა ვარ დარწმუნებული და საერთოდ, თავს კარგად არ ვგრძნობ, ავტომატურად ვიმატებ რამდენიმე კილოგრამს, ხოლო როცა მუქარა ქრება, ზედმეტი წონაც ქრება. ბრძოლა სამყაროსთან — დროისა და ენერგიის ფუჭი ხარჯვაა. როგორც კი შევაჩერებ წინააღმდეგობას, წონა მაშინვე ნორმალური ხდება."

საკუთარი თავის, ცხოვრების პროცესის ნდობა, უარყოფითი აზრებისაგან თავშეკავება — აი, გახდომის საშუალება.

### ასთმა

ასთმით დაავადებულ ადამიანს ეჩვენება, რომ არა აქვს უფლება, ისუნთქოს. ბავშვები, როგორც წესი, სინდისის მაღალგანვითარებული გრძნობით გამოირჩევიან. ისინი დანაშაულს საკუთარ თავზე იღებენ. ზოგჯერ, მათ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა შველით, განსაკუთრებით, თუ მთელი ოჯახი არ გადადის მასთან ერთად. ჩვეულებრივ, ბავშვები ასეთი დაავადებით გამოჯანმრთელდებიან ხოლმე. ამას ხელს უწყობს სკოლა, ქორწინება, ახალი ცხოვრებისეული სიტუაციები, თუმცა, შეიძლება ცხოვრებაში წარმოიშვას ისეთი სიტუაცია, როცა შეტევა ისევ თავს იჩენს, თითქოს ვიღაცამ ღილაკს დააჭირა თითი.



### თავის ტკივილები, შაკიკი, თმისცვენა

თავი — ჩვენი ასახვაა. ეს არის ის, რასაც ჩვენ მსოფლიოს ვუჩვენებთ, ჩვენ ჩვენი თავის მიხედვით გვცნობენ. როცა თავი გვაწუხებს. ეს ნიშნავს, რომ თვით ჩვენ ვერ ვართ წესრიგში. თავის ტკივილები ვლინდება, როცა არასრულფასოვნების განცდა გვაქვს. შემდეგში როცა აგტკივდებათ თავი, შეჩერდით ერთი წუთით და ჰკითხეთ საკუთარ თავს, სად გრძნობს თავს დამცირებულად და რატომ. სთხოვეთ საკუთარ თავს, რომ ეს გრძნობა წავიდეს და თქვენი თავის ტკივილი თავისით გაქრება. თმა წარმოადგენს ძალას. როცა ჩვენ ძალიან გვეშინია, ვქმნით ე. წ. „ფოლადის ქამარს", რომელიც ჩვეულებრივ მხრის კუნთებიდან იწყება, გადადის თავში, და ზოგჯერ თვალებში. თმები იზრდება თმიანი პარკიდან. როცა ჩვენ დიდ დაძაბულობას ვქმნით თავის ქალაში, ეს პარკები ავტომატურად იკეტება და თმები იწყებენ ცვენას, კვდომას. თუ დაძაბულობა განუწყვეტლივ მიმდინარეობს და თავის ქალა არ მოდუნდა, თმა აღარ იზრდება. შედეგი — გამელოტება.

ქალებმა გაქაჩლება დაიწყეს მას შემდეგ, რაც მამაკაცთა სამყაროს „საქმიან" წრეებში შეიჭრნენ. ჩვენ ამას მაინცდამაინც ვერ ვამჩნევთ, რადგან ბევრის პარიკი ბუნებრივად გამოიყურება.

შაკიკი — აქვთ იმ ადამიანებს, რომელთა დიდი სურვილია — სრულყოფილება და ასევე იმათ, ვისაც უამრავი გაღიზიანება დაუგროვდათ ცხოვრებაში.

### ყურები

ყურები წარმოადგენს სმენისა და მოსმენის საშუალების სიმბოლოს. როცა ადამიანს ყურებთან დაკავშირებით პრობლემები აქვს, ეს ნიშნავს, რომ მის ცხოვრებაში ხდება რაღაც ისეთი, რისი მოსმენაც არ სურს. ტკივილი ყურებში — ესაა მაგალითი უმაღლესი გაღიზიანებისა იმის მიმართ, რაც გესმის. ბავშვებს ხშირად აწუხებთ ყურების ტკივილი. მათ უწევთ მოისმინონ სახლში ყველაფერი ის, რისი მოსმენაც არ სურთ. თავისი რისხვის გამოხატვა ბავშვს არ შეუძლია, და რადგან მას პრაქტიკულად არაფრის შეცვლა არ შეუძლია, ამ უსასოობას იგი ყურების ტკივილთან მიჰყავს.

სიყრუე წარმოადგენს ხანგრძლივ, შესაძლებელია, მთელი სიცოცხლის მანძილზე, სურვილის უქონლობას ვინმეს მოუსმინოს. მიაქციეთ ყურადღება: ორი მოსაუბრიდან როცა ერთი სასმენ აპარატს ხმარობს, მეორე შეუსვენებლივ ლაპარაკობს...

### თვალები

— ხედვის შესაძლებლობა, როცა ჩვენ თვალებთან დაკავშირებით პრობლემები გვაქვს, ეს ნიშნავს, რომ უარს ვამბობთ რაღაცის დანახვაზე — ან თვით ჩვენში, ან ჩვენს ცხოვრებაში. როცა ხედავთ პატარებს სათვალეებით, ოჯახში უსიამოვნებაა, ბავშვი პირდაპირი გაგებით უარს ამბობს, რაღაცა დაინახოს. თუ მათ ძალას აღემატება შეცვალონ ოჯახში სიტუაცია, მაშინ ისინი პირდაპირ აბნევენ თავიანთ მხედველობას იმ გაგებით, რომ თვალებმა დაკარგონ ნათლად ხედვის შესაძლებლობა.

### ყელი და კისერი

ძალიან საინტერესოა... კისერი — აზროვნების მოქნილობის უნარია. უნარი იმისა, რომ დაინახო საკითხის მეორე მხარე და გაიგო მეორე ადამიანის თვალსაზრისი, როცა ჩვენ კისერთან დაკავშირებული პრობლემები გვაქვს, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვჯიუტობთ და უარს ვამბობთ მოქნილობაზე.

ყელი წარმოადგენს საკუთარი თავის გატანის უნარს, იმის მოთხოვნას, რაც ჩვენ გვინდა. ყელთან დაკავშირებით პრობლემები გვექმნება, როცა „უფლება არ გვაქვს", გრძნობით ვართ სავსე და როცა საკუთარი არასრულფასოვნების განცდა გვაწუხებს.

დაავადებული ყელი — ეს ყოველთვის გაღიზიანებაა, თუ მას თან ერთვის გაციება, ე. ი. გაღიზიანებასთან ერთად დაბნეულობაც.

ლარინგიტი — ჩვეულებრივ აღნიშნავს იმას, რომ ჩვენ ისეთი გაბოროტებულები ვართ, თვით ლაპარაკიც აღარ შეგვიძლია. ყელი, ამის გარდა, წარმოადგენს ორგანიზმის ისეთ ნაწილს, სადაც თავს იყრის მთელი ჩვენი შემოქმედებითი ენერგია. ნუშისებრ და ფარისებურ ჯირკვლებთან დაკავშირებული დაავადებები მიუთითებენ იმაზე, რომ შემოქმედებით ასპექტში თქვენ ვერ შეძელით იმის გაკეთება, რაც გსურდათ. პირველ რიგში ზუსტად ყელის მიდამოებში ხდება თქვენი ცვლილებები.

როცა ჩვენ ვეწინააღმდეგებით ცვლილებებს, მაშინვე თავს იჩენს პრობლემა ყელთან დაკავშირებით. მიაქციეთ ყურადღება, ზოგჯერ უმიზეზოდ ვახველებთ. რას ნიშნავს? რაზე ვრეაგირებთ? იქნებ ეს ჯიუტობაა, წინააღმდეგობა ან იმის ნიშანია, რომ ჩვენ გარდაქმნის პროცესში ვართ?

### ზურგი

ზურგი წარმოადგენს მხარდაჭერის სისტემას. პრობლემა, ზურგთან დაკავშირებით მიგვანიშნებს, რომ თქვენ მხარდაჭერა გაკლიათ. ძალიან ხშირად ვფიქრობთ, რომ ჩვენს მხარს გვიჭერს ოჯახი და მეგობრები. სინამდვილეში კი ეს არის სამყაროს და თვით სიცოცხლის მხარდაჭერა.

პრობლემები ზურგის ზედა ნაწილში. არასაკმარისი ემოციონალური მხარდაჭერის სიგნალია: „ჩემი მეუღლე (მეგობარი, საყვარელი) ვერ მიგებს მე და მხარს არ მიჭერს, გვერდში არ მიდგას. ზურგის შუა ნაწილს პირდაპირი კავშირი აქვს დანაშაულის გრძნობასთან, გეშინიათ თქვენ მისი, რაც თქვენ უკან არის, ან იქნებ იქ მალავთ რამეს? ხომ არა გაქვთ ისეთი გრძნობა, თითქოს ვიღაცამ ზურგში დაგარტყათ? წუხხართ თქვენი ფინანსური მდგომარეობის გამო? იგი შეიძლება მიზეზი იყოს ზურგის ქვედა ნაწილთან დაკავშირებული პრობლემებისა.

### ფილტვები

სიცოცხლის მიღებისა და გაცემის უნარი, სისხლსავსე ცხოვრების შიში ან სურვილის არქონა იწვევს პრობლემებს ფილტვებთან დაკავშირებით. ეს პრობლემები შეიძლება მომდინარეობდეს იქიდანაც, რომ ჩვენ ვთვლით, არ გვაქვს უფლება ვიცხოვროთ სისხლსავსე ცხოვრებით. ისინი, ვინც ბევრს ეწევიან, სიცოცხლეს უარყოფენ. ისინი ნიღბის ქვეშ მალავენ თავიანთ არასრულფასოვნების გრძნობას.

### გულ-მკერდი

დედობრიობის განსახიერებაა, როცა პრობლემებია სარძევე ჯირკვლებთან დაკავშირებით, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ყურადღებით კახრჩობთ სხვა ადამიანს, საგანს ან სიტუაციას, თუ საქმე გვაქვს მკერდის კიბოსთან, აქ დამატებით კიდევ წყენა, ბოლმა, გაბოროტება იჩენს თავს. განთავისუფლდით შიშისაგან და იცოდეთ, რომ ყოველ ჩვენთაგანში აქტიობს და მოქმედებს სამყაროს ძალა.

### კუჭის, კუჭის წყლული

გადაამუშავებს, გადახარშავს ყველა ახალ იდეას და სიტუაციას. თქვენ ვისი ან რისი „გადახარშვა" არ შეგიძლიათ? როცა კუჭთან დაკავშირებით პრობლემები გაქვთ, ეს ნიშნავს, რომ არ იცით, როგორ მოახდინოთ ახალი ცხოვრებისეული სიტუაციების ასიმილირება. ჩვენ გვეშინია, ბევრს ახსოვს ის დრო,



როცა ცაში გაფრენის იდეა სიახლე იყო და ძალიან გვიჭირდა ამისი ასიმილირება ჩვენს ტვინში. თვითმფრინავში, ყველა სავარძელს გააჩნდა პაკეტი, რომელიც გვშველოდა, თუ ცუდად გავხდებოდით და ჩვენ თითქმის ყოველთვის ვსარგებლობდით ამ პაკეტებით.

ახლა, მრავალი წლის შემდეგ პაკეტებით აღარავინ სარგებლობს, თუმცა ყოველთვის გვთავაზობენ. ჩვენ, ბოლოს და ბოლოს მოვახდინეთ გაფრენის იდეის ასიმილირება.

კუჭის წყლული — ეს არის უბრალო შიში, ესაა გრძნობა, რომ ჩვენ არა ვართ საკმაოდ კარგები ან სრულყოფილები. ჩვენ გვეშინია, რომ არ ვართ კარგები მშობლებისათვის, უფროსებისათვის, მეგობრებისათვის და ა. შ. ჩვენ ვერ გადაგვიხარშავს ის, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ. ხშირად ვცდილობთ სხვებს ვასიამოვნოთ. არა აქვს მნიშვნელობა, რა პოსტი გიჭირავთ სამსახურში. თქვენ შეიძლება სრულიად არ გააჩნდეთ საკუთარი ღირსების გრძნობა. ამ პრობლემებზე პასუხი — სიყვარულია. ადამიანებს, რომელთაც უყვართ და პატივს სცემენ საკუთარ თავს, წყლული არ აქვს.

### ქვები ნაღვლის ბუშტში

სიმბოლო დაგროვებული მწარე აზრებისა და აგრეთვე იმ სიამაყისა, რომელიც ხელს გიშლით ამ აზრების მოშორებაში. მიმართეთ საკუთარ თავს განუწყვეტლივ: „მე სიხარულით ვუშვებ ჩემს წარსულს, სიცოცხლე მშვენიერია და მეც."

### საკვერცხეები

წარმოადგენს შემოქმედებით ენერგიას. მასთან დაკავშირებული პრობლემები — გამოუხატავი შემოქმედებითი უნარია.

ბევრი ჩვენი წარმოდგენა ცხოვრების შესახებ მოძველებულია. ვისაც პრობლემები აქვს სექსუალურ ცხოვრებაში, მას აწუხებს ცნობიერი და ქვეცნობიერი თვითსიძულვილისა და საკუთარი თავისადმი ზიზღის გრძნობა, რაც ადამიანებთან და საკუთარ თავთან ურთიერთობაში ხშირად დაუძლეველ ბარიერს ქმნის.

### ფეხები, რევმატიზმი

ფეხებს მივყავართ ცხოვრების გზაზე. პრობლემები ფეხებთან დაკავშირებით მიანიშნებს წინსვლის შიშზე ან განსაზღვრული მიმართულებით მოძრაობის სურვილის არქონაზე. მოქმედების სურვილის არქონა ხშირად ვლინდება ფეხებთან დაკავშირებულ სერიოზულ დაავადებებში. ვარიკოზული ვენები — ეს ან სახლი, ან სამსახურია, რომელსაც თქვენ ვერ იტანთ.

რევმატიზმული დაავადება, რომელსაც იწვევს საკუთარი თავის და სხვების გამუდმებული კრიტიკა. რევმატიზმით დაავადებული ადამიანების გარშემო სულ ისეთი ადამიანები ტრიალებენ, რომლებიც გამუდმებით მათ აკრიტიკებენ. ეს გამომდინარეობს მათი მტკიცებიდან: უნდა აკრიტიკონ სხვები. ისინი შერისხულნი, დაწყევლილნი არიან. ესაა მათი სურვილი, სულ მუდამ იყვნენ „სრულყოფილები" ნებისმიერ ადამიანთა, ნებისმიერ სიტუაციაში. მათი ტვირთი მართლაც რომ გაუსაძლისია.

### სიმსივნე

ცრუ წამონაზარდები. ხამანწკა იღებს პაწაწინა ქვიშის მარცვალს და იშენებს მყარ და მოელვარე გარსს, რათა თავი დაიცვას. ჩვენს ამ მარცვალს მარგალიტს ვუწოდებთ და მისი სილამაზით აღფრთოვანებულნი ვართ. ჩვენ, როგორც ხამანწკა, ვიღებთ ძველ წყენას და დაგვაქვს, სანამ არ გადაიზრდება სიმსივნეში. ქალებში სიმსივნე საშვილოსნოში, საკვერცხეებში გამოწვეულია იმით, რომ ისინი დიდი ემოციონალურ ტკივილს იღებენ, რომელიც მათი ქალურობაზე დარტყმის შედეგია — და მას მთელი ცხოვრება დაატარებენ, სანამ სიმსივნე არ წარმოიქმნება. ეს იგივეა, რაც: „მან მე ძალიან მაწყენინა." თუ თქვენი ურთიერთობები ვიღაცასთან დამთავრდა, ეს სრულიად არ ნიშნავს რომ თქვენ ვერ ხართ წესრიგში და არც იმას ამტკიცებს, თუ რას წარმოადგენთ სინამდვილეში. მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რა ხდება ცხოვრებაში, არამედ ის, თუ როგორ ვახდენთ რეაგირებას ამაზე. ჩვენ, ყველანი 100%-ით პასუხისმგებლები ვართ იმაზე, რაც ჩვენს გარშემო, ჩვენს თავს ხდება.

ჩვენ შეძლებისდაგვარად ნაწილობრივ გადმოგეცით ლუიზა ჰეილის „მოძღვრების" შესახებ ძირითადი „რეზიუმე" კი შემდეგნაირად:

ნებისმიერი წარმოშობის ტკივილი — დანაშაულის გრძნობის დადასტურებაა. დანაშაული კი ყოველთვის ეძებს სასჯელს. დასჯა კი ქმნის ტკივილს.

ქრონიკული ტკივილი მომდინარეობს ქრონიკული დანაშაულის გრძნობისაგან, რომელიც ისე ღრმადაა ადამიანში ჩამარხული, რომ ზოგჯერ მის შესახებ მან არც კი იცის.

დანაშაულის გრძნობა — უსარგებლო გრძნობაა. ეს გრძნობა არასოდეს არავის შველის და არც სიტუაციის შეცვლა შეუძლია. ასე რომ, გამოუშვით თქვენი თავი საპატიმროდან. იყავით ჯანმრთელი — ეს მხოლოდ თქვენი ნებაა.

**ქეთი ჩადუნელი**

# უპატრონო ქართველი ხალხი
## ანუ სად გაქრა ქართველთა მდულარებაი სულისაი?

წერილის სათაურად სხვა ვითარებაში აჯობებდა — „ცხოვარნი უმწყემსონი", მაგრამ იმდენად ძნელია დღევანდელი ქართლის ჭირის, საქართველოს ბედშავობის ატანა, მოთმენა, რომ იგავების დრო აღარ არის, პირდაპირ და ყველას გასაგებად უნდა ითქვას სათქმელი. შესაძლოა, XXI საუკუნის გარიჟრაჟზე უხერხულადაც გაისმოდეს ქართველი ხალხის პატრონობა-უპატრონობაზე ლაპარაკი, მაგრამ ჩვენმა ერმა იმდენი უბედურება გადაიტანა XIII საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, რომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ბევრი რამ შეგვეშლება. მთავარია შეგვრჩეს სამშობლოსა და ჩვენი შვილების, შვილიშვილების გადარჩენის სურვილი თუნდაც უფსკრულში გადაჩეხილებს და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლოთ ერისა და შთამომავლობის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

საქართველოს ისტორიის ოქროს ხანაში (ამგვარ ეპოქად უნდა მივიჩნიოთ არა მარტო XII საუკუნე და XIII ს-ის პირველი მეოთხედი, არამედ X საუკუნე და XI საუკუნის პირველი ნახევარიც) გავრცელებული იყო მეტად საყურადღებო გამოთქმა — „მდულარებაი სულისაი." იმდროინდელი ქართველებისთვის მართლაც დამახასიათებელი იყო სულის ამგვარი თვისება და ამან ააშენა დიდი საქართველო და ამანვე გადაატანინა შემდგომში უამრავი ჟამთა სიავე, ავბედობა, შეაძლებინა „ჭირსა შიგან გამაგრება." საქართველოს გადარჩენა, ქართველი ერის საქართველოში გაძლება რომ განსაკუთრებული მოვლენაა და არა ჩვეულებრივი ამბავი, ამას ადასტურებს ჩვენი მეზობლების თავგადასავალიც. ცნობილია, რომ უძველესი დროიდან ახ. წ. XI საუკუნემდე საქართველოს აღმოსავლეთით არსებობდა ქრისტიანული ქვეყანა, ალბანეთი. იგი წალეკეს თურქსელჩუკებმა და თანდათან მის ადგილზე აღმოცენდა დღევანდელი აზერბაიჯანი. ქართველი ხალხის თავგანწირული, გმირული ბრძოლა რომ არა, საქართველოს ადგილზეც ასევე შეიძლებოდა გაჩენილიყო რომელიმე მაზანდარანი, იზმირი ან რაღაც მსგავსი ჯანდაბა. სომხებმაც ვერ გაუძლეს მტრის შემოტევებს, XI ს-ში დაეცა სომხეთში სომხური სახელმწიფოებრიობა და სომეხი ხალხის დიდი უმრავლესობა თანდათანობით უცხო ქვეყნებში გაიფანტა. მხოლოდ მცირეცხოვანი სომხობა შემორჩა სომხურ მიწა-წყალს (ამ მხრივ სომხეთის ისტორიაში დიდი როლი შეასრულა საქართველომ, იგი წარმოადგენდა ხსენებული მცირერიცხოვანი სომხების იმედს, საყრდენს), რომელიც ძირითადად მაჰმადიანებმა დაიკავეს. XIX-XX სს-ში რუსეთის იმპერიამ (ჯერ თეთრმა, შემდეგ წითელმა) მიზანშეწონილად მიიჩნია სომხური მოსახლეობის დაბრუნება ისტორიულ სამშობლოში.

ჯერ კიდევ VIII ს-ში იოანე საბანისძე გოდებდა, მოთქვამდა — ავღვერიენითო ერსა უცხოსა, ეროვნულ მეობას, სახეს ვკარგავთო. იმჟამად ქართველი ერი მტერთან საუკუნოვან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა და თავისი ისტორიის ოქროს ხანაც შეიქმნა, მაგრამ XIII საუკუნიდან საქართველოს ბედის ჩარხი კიდევ უფრო მეტად დატრიალდა უკუღმა, ველარ გაუძლეს ჩვენმა წინაპრებმა ამდენ საშინელებას და გადაწყვიტეს ერთმორწმუნე რუსეთისთვის დაეკავშირებინათ მრავალტანჯული სამშობლოს ბედი. ჯოხეთურ ბრძოლებში სისხლისაგან თითქმის დაცლილმა ქართველმა ერმა, მისმა ხელისუფლებამ ის ველარ წარმოიდგინეს, რომ დამპყრობელი, თუნდაც ერთმორწმუნე, ისეთივე უბედურებაა, როგორც ურწმუნო და XIX ს-ის დამდეგიდანვე ქართველი იძულებული გახდა გაეჩაღებინა ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, რომელსაც საქართველო უქართველებოდ უნდოდა, ანდა საქართველოში მხოლოდ სხეული, ხორცი უნდა ყოფილიყო ქართული, სული კი — რუსული. რუსეთის იმპერიის საწინააღმდეგო ბრძოლაშიც არაერთმა ქართველმა გამოიჩინა ჩვენი წინაპრებისთვის დამახასიათებელი მდულარებაი სულისაი. ოღონდ ქვეყნისთვის ეშველა და ილია ჭავჭავაძემ მწერლის ტალანტი ბანკის დირექტორის სამსახურზე დაახურდავა, რათა შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში ამ გზით ეროვნული საქმისათვის აუცილებელი სახსრები, თანხები მოეპოვებინათ.



დღეს ქართველი ხალხის უმრავლესობას არავისი არ სჯერა, შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ერი უმეთაუროდ, უთავოდაა დარჩენილი. ქართველ ხალხს საქართველოს ხელისუფლების ენა არ ესმის, ქართველი ერი და საქართველოს ხელისუფლება ერთ ენაზე არ ლაპარაკობენ. ასეთ ვითარებაში ქართველმა მოღვაწეებმა, ქართველმა პატრიოტებმა უნდა იხსნან ქვეყანა, მაგრამ ხელისუფლება მათ არავითარ გასაქანს არ აძლევს. დღევანდელი ხელისუფლება სანახევროდ რომ მაინც ეროვნული იყოს, ეროვნული ტელევიზია და ეროვნული პრესა მაინც გვექნებოდა საქართველოში, ისევე, როგორც ეს არის, მაგალითად სომხეთში. ჩვენში კი, ორიოდე გაზეთი თუ ცდილობს ეროვნულ პოზიციაზე დადგეს, ისინიც სულს ღაფავენ და საბაზრო ეკონომიკის პირობებში იძულებული ხდებიან გარკვეულ შემოსავალზე იფიქრონ, რათა გაზეთი არ დაიხუროს.

ისიც უნდა შევუძახოთ ჩვენს თავს, რომ დღევანდელ ქართველებს თითქმის არ შემოგვრჩა ის მდულარებაი სულისაი, რითაც გამორჩეული იყვნენ ჩვენი წინაპრები და რამაც დღემდე მოიყვანა, გადაარჩინა საქართველო. თუკი ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები ქედს არ უხრიდნენ საშინელ, უზარმაზარ ურჩხულს — რუსეთის იმპერიას და თავგანწირვით იბრძოდნენ სამშობლოს მკვდრეთით აღდგომისათვის, თუკი ჩვენს თვალწინ 70-80-იან წლებში საქართველოში აზვირთდა ეროვნული მოძრაობა, ნუთუ დღეს ქართველმა ერმა გულხელდაკრეფილმა უნდა უყუროს, როგორ [illegible]იდაიჩეხება ჩვენი ქვეყანა უფსკრულში. თუ ქართველი ზურგს არ შეაქცევს თავისი მამა-პაპის საფლავებს, საქართველო კიდევ ერთხელ შეიძლება აღდგეს მკვდრეთით, მაგრამ ვაი რომ სწორედ ჩვენი ზნეობრივი სახე თანდათან ირყევება. ეს ეხება ახალგაზრდობასაც და უფროს თაობასაც. ოღონდ კეთილდღეობა მოიპოვონ და უფროსი თაობის უამრავი წარმომადგენელი (მათ შორის ხელისუფლებისაგან ზურგგამაგრებული პროფესორები და აკადემიკოსები) რას აღარ კადრულობენ. აშკარად ართმევენ ლუკმას მოძმეს, ოღონდ თვითონ გაძღნენ. ერთი თხილის გულის ცხრად გაყოფის მორალი წარსულს ჩაბარდა. თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, კაციჭამიობა დაიწყოს საქართველოში.

დღევანდელ ქართველ ახალგაზრდობას, ჩვენდა საუბედუროდ, თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ, უკაცრავად პასუხია, „ჩემი დედა მ... ან" ბიჭების და მათი დაქალების თაობა. ახალგაზრდობის უმრავლესობას სწორედ ისინი შეადგენენ. მართალია, შედარებით გაუბედავად, მაგრამ 7-8 წლის ბიჭებიც უკვე იძახიან — „ჩემი დედა მ...ან." 35-40 წლის კაცებისგანაც ისმის ეს სიტყვები. ზოგ მათგანს დედა გარდაცვლილი ჰყავს. ამათ თუ პატრონი დროზე არ გამოუჩნდა, შეიძლება მათთვის რამე წმინდა არსებობდეს? ამდენი უსაქმური, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა, რაც თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებშია, შეიძლება რომელიმე კულტურულ ქვეყანაში იყოს? სამწუხაროდ, არც ჩვენს სოფლებშია უკეთესი მდგომარეობა. სანამდე ვუყუროთ დღევანდელი ხელისუფლების განცხადებებს იმის თაობაზე, რომ ქვეყანა წინ მიდის? ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა დავინახოთ, რომ მეფე შიშველია, და საქართველო სინამდვილეში უკან-უკან მიდის.

საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება სარგებლობს ძველისძველი მეთოდით (ითვალისწინებს რა შეხედულებას, რომ ხალხი ბრბოა და მონა არ შეიძლება ადამიანად ჩაითვალოს) და ცდილობს ხალხს სანახაობა არ მოაკლოს. ძველ რომში აუცილებლად თვლიდნენ ხალხისათვის სანახაობასთან ერთად პურიც მიეცათ, მაგრამ ჩვენ ისე დავკნინდით, რომ ოღონდ სანახაობა იყოს და პურის ნაკლებობას (უფრო სწორად პურის საყიდელი ფულის უქონლობას) მოვითმენთ. სანახაობას ძირითადად წარმოადგენს უცხოური სულელური ტელესერიალები და უცხოური ფეხბურთი. ამით ვუშველით „ჩემი დედა მ...ან" ბიჭებს და მათ დაქალების თაობას? არადა, ხვალინდელი საქართველო ხომ მათ იმედზე უნდა დარჩეს? თუ დღეს საქართველოში ოდნავ კიდევ შემორჩა ქვეყნის გადასარჩენად აუცილებელი მდულარებაი სულისაი, ის სულელურ ტელესერიალებში და უცხოური ფეხბურთის ცქერაში უნდა დავშრიტოთ? ხალხისათვის ტელესერიალები თუ აუცილებელია, ეროვნული, პატრიოტული ტელესერიალები უნდა შევუქმნათ, და ვაჩვენოთ. ისე კი, ხელისუფლება უნდა ცდილობდეს ხალხის გემოვნება კი არ გააუარესოს, არამედ გააუმჯობესოს და სხვაგვარი, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული სულიერი საზრდო უნდა მიაწოდოს მას.

ჩვენში დიდ უხერხულობად ითვლება, რომ ტელესერიალის დროს ვინმეს დაურეკო, ახლა ამას დაემატა ფეხბურთი, რომლის საათების გამოცნობაც ძალზე ძნელია და აი, ურეკავ ახლობელს, გინდა შეეკითხო გალის ტრაგედიასთან დაკავშირებულ რომელიმე საკითხზე, ანდა ახლახან სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში გაგონილ ერთ-ერთი მომხსენებლის განცხადების თაობაზე — დავით აღმაშენებელი იმპერიულ პოლიტიკას ატარებდაო (ჩვენს მეცნიერ-მუშაკებს შორის გავრცელებულია ამგვარი უსაფუძვლო შეხედულება), სანამ შეეკითხები, ხომ უნდა მიესალმო, მოიკითხო, პასუხი ლაკონურია — „ფეხბურთს ვუყურებ." აშკარად გრძნობ, რომ მოსაუბრე არ გისმენს, თვალი ტელეეკრანისკენ გაურბის (სადაც ერთმანეთს ერკინებიან ზიმბაბვესა და რომელიღაც ქვეყნის ფეხბურთელები) და შეკითხვის ხალისიც გეკარგება. ილია ჭავჭავაძე ასეთ ქართველებს ჩვენი წინაპრების ღირსეულ ნაშიერად არ მიიჩნევდა. უფრო მეტიც, ვისაც მამა-პაპათა საქმენი და ქვეყნის ბედი არ აინტერესებთ, ილია მათ ადამიანებადაც არ თვლიდა, ცხოველთა სამყაროს



აკუთვნებდა. აკაკი წერეთელიც რომ მოსწრებოდა „ჩემი დედა მ...ან"-ის ბიჭების საქართველოს, უფრო ნაკლებად გაუძნელდებოდა თავისი მწარე სიტყვების წარმოთქმა — „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოვ."

თავს ვერ ვინუგეშებთ იმით, რომ ახალგაზრდების მცირე ნაწილს სასწავლებლად უცხოეთში გზავნიან, ჯერ ერთი, ეს ძირითადად ნათლიმამობით, ჩაწყობით ხდება, ამდენად ხშირად ღირსეულს კი არა, უღირსს გზავნიან. მეორეც, თუ ღმერთმა ინება და ამ ახალგაზრდების მცირე ნაწილი მაინც პატრიოტ, საქართველოსათვის სასარგებლო მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ, შეძლებენ ისინი, უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ „ჩემი დედა მ...ან"-ის ბიჭების საქართველოში გაძლებას? განა ყველა ქართველისათვის აშკარა არაა დღეს საქართველოში ცხოვრება და გაძლება ძალიან ძნელია და თანდათან უფრო აუტანელი ხდება. გარბიან კიდეც მასობრივად. მაგრამ ამით ხომ მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს. ამით ხომ მტერს ვუტოვებთ საქართველოს უქართველებოდ. ან ქართული სულისაგან დაცლილი ქართველებით. ასეთი ქართველები კი მტრისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, ისინი მათ შეიძლება სამუზეუმო ექსპონატებადაც გამოადგეთ.

დღევანდელ საქართველოში თუ დაცვა არ ახლავს კაცს და საკუთარი მანქანით არ დადის, ნაბიჯს ვერ გადადგამ ისე, რაიმე უსიამოვნებას არ გადაეყარო. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ? მკითხველის ნებართვით მხოლოდ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: რამდენიმე თვის წინ დეზერტირების ბაზარში გახლდით, დავაპირე მდარე ხარისხის ვაშლი კეხურა მეყიდა. გამყიდველმა 3 კგ. კეხურა 1 ლარი დააფასა. ე. წ. საკოლმეურნეო ბაზარში შევაჭრება საბჭოთა პერიოდშიც შეიძლებოდა და დღეს მით უფრო არ უნდა იყოს უხერხული. 4 კგ. მომეცი 1 ლარად-თქო, ვუთხარი ჯან-ღონით სავსე გამყიდველ კაცს. მან მოძღვრის იერი მიიღო და ასეთი შეგონება დამიწყო: უნდა იცოდე, რომ ჩვენს საქმეებს ზეციდან ღმერთი ხედავსო. მე არაფერი მკრეხელობა არ ჩამიდენია-მეთქი, მეტი ფული არა მაქვს და თუ ხელს არ გაძლევს, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს-თქო. წავედი, გამომეკიდა, ჩამავლო მკლავში ხელი, შენ კარგი კაცი ყოფილხარ, აუცილებლად უნდა გაგატანო ჩემი ვაშლიო. ვხედავ 4 კგ.-ს ნაცლად 3 კგ აწონა. ჩვენი დიალოგის შემდეგ წონაში დაკლება რა საკადრისია-თქო, შევნიშნე რბილად მოძღვარ-გამყიდველს. ამაზე იგი გაცეცხლდა და შემაგინა, მეც ვერ მოვითმინე და კინაღამ შევეწირეთ ორი კაცი ერთ კგ. უვარგის კეხურას. ამგვარი რამ სხვა დროსაც ბევრჯერ შემთხვევია თბილისის ბაზრებში. გამყიდველების თუ გადამყიდველების გამართლება არ შეიძლება, მაგრამ თავის მხრივ ჩივიან სახელმწიფო სტრუქტურების ყაჩაღობაზე, ჩვენ თუ მყიდველებს არ მოვპარეთ, ისე შიმშილით დავიხოცებითო. სახელმწიფო გვაიძულებს ვიქურდოთო. ძნელია იმის დადგენა, ამ შემთხვევაში ვინ უფრო დიდი ყაჩაღია, მაგრამ არსებული სურათი, მდგომარეობა რომ ქვეყნის უპატრონობის შედეგია (ქვეყანას რომ ჭეშმარიტი ჭირისუფალი არ ჰყავს დღევანდელი ხელისუფლების სახით, ეს ბაზრებშიც თვალნათლივ ჩანს), ამას რა ბევრი ლაპარაკი უნდა.

ქართველმა ხალხმა თავის თავში, თავის წიაღში უნდა იპოვოს ძალა სამშობლოს, შთამომავლობის გადასარჩენად, საქართველოს ვითომ მეგობარ დიდ სახელმწიფოებს ჩვენი ქვეყანა ხელსახოცად სჭირდებათ. საქართველოს ეროვნული, ძლიერი სახელმწიფოს შექმნა მათ ინტერესებში არ შედის. მათ რომ ასეთი საქართველოს არსებობა უნდოდეთ, ქართულ ეროვნულ ძალებს გამოექომაგებოდნენ, მხარდაჭერას აღმოუჩენდნენ.

დღეს, ჭეშმარიტ ქართველს არ შეიძლება არ გაუჩნდეს, არ აწვალებდეს კითხვა: რამდენ ხანს გაუძლებს საქართველო ასეთი უპატრონობას? ამ კითხვამ იქნებ გაალვივოს კიდეც დღევანდელ ქართველში ჩვენი წინაპრისეული მდულარებაი სულისაი. ამის შემდეგ მან იქნებ, ქვეყნის პატრონობაც შეძლოს და სამშობლო ყვავ-ყორნებს არ მიუგდოს საჯიჯგნად.

**გულაბერ კლარჯი**

# „FBI“ და ქართული გამოძიება

## ანუ რა მიზანს ემსახურება „პოლიტიკური პოლიციის“ შექმნის მცდელობა

*მესამე გვერდიდან*

მისი „ამხანაგებისაგან“ განსხვავებით „დემოკრატიის“ შენებას აპირებს.

მმართველი პარტიის წარმომადგენლები კანონპროექტზე „საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ კორუფციასთან ბრძოლის სპეციალური სამსახურის შესახებ“ და თვით ამ სამსახურზე რაც უფრო ხშირად საუბრობენ, მით უფრო ხშირად იკვეთება ამ სამსახურის შექმნის ნამდვილი მიზანი. მათი აზრით, ეს იქნება ძლიერი ცდა, რათა საქართველოში სამომავლოდ შეიქმნას ძლიერი დამოუკიდებელი გამოძიება, მაგრამ ჩემი აზრით, წარმოუდგენელია ასეთ საძირკველზე ავაშენოთ ისეთი მძლავრი ბურჯი სამართლიანობისა, როგორიც მიუკერძოებელი, სამართლიანი და დამოუკიდებელი გამოძიების სამსახურია, რადგან დამოუკიდებლობა და გამოძიების სამსახური აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენლობაში, რომლის ხელმძღვანელსაც უშუალოდ ნიშნავს პრეზიდენტი საერთოდ ცენტრალიზმისა და პირდაპირ დაქვემდებარების პრინციპითაა აგებული, მგონი წარმოუდგენელია. ისიც ნაკლებად სარწმუნოა, რომ თითქოს ამერიკაშიც ასევე შეიქმნა გამოძიების ფედერალური ბიურო და იგივე სურთ გააკეთონ საქართველოში. ამ არგუმენტის უსუსურობას ალბათ, უმრავლესობა კარგად ხვდება და ჩვენც დაგიდასტურებთ, მაგრამ მანამდე ზოგადად გავეცნოთ ამერიკის გამოძიების ორგანოების და თვით „FBI“-ის სისტემას და მუშაობის საკითხებს.




ეს ორგანო დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ყველაზე მძლავრი და დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურია.

აშშ-ს საგამოძიებო სამსახურებისათვის დამახასიათებელია დეცენტრალიზმი, ერთიანი სისტემის არარსებობა, ასევე მათთვის არ არის ცნობილი ერთნაირი საპროცესო კანონმდებლობა გამოძიების რეგულირების საკითხებზე. საქართველოსაგან განსხვავებით შტატებში არ არსებობს ერთიანი საპროკურორო ზედამხედველობა და პროცესუალური ზედამხედველობა გამოძიებაზე პროკურატურის მხრიდან.

რაც შეეხება გამოძიების პროცესს, უნდა ითქვას, რომ მისთვის დამახასიათებელია ბრალდებისა და დაცვის გამიჯვნა. შეჯიბრებითობის პრინციპი კი, ერთ-ერთი ფუძემდებლური საკითხია. პროცესის მონაწილე ორივე მხარის მიერ თანაბარსამართლებრივ პირობებში კანონის სრული და ერთგვაროვანი დაცვით მოპოვებული მასალები გადაეცემა სასამართლოს, შემდეგ კი თვით „ჟიური“ არსებითად წყვეტს სისხლის სამართლის მიმართულებას.

გამოძიების ფედერალური ბიურო მოიპოვებს ინფორმაციებს ქვეყნის შინაგანი უშიშროების ხაზით. ამ ორგანოში შედის შინაგანი დაზვერვის სამმართველოც.

ამერიკაში გამოძიების ერთ-ერთ ორგანოს პოლიცია წარმოადგენს, რომელიც ისევე, როგორც გამოძიების სხვა ორგანოები, სავსებით დეცენტრალიზებულია, გარდა გარკვეული კატეგორიის საქმეების გამოძიების შემთხვევებისა.

რაც შეეხება გამოძიების ფედერალური ორგანოების იურისდიქციას, იგი ვრცელდება ამერიკის მთელ ტერიტორიაზე კონკრეტული საქმეების მოძიების დროს და მათ მუშაობს საბოლოო ჯამში ზოგადად წარმართავს აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტი.

გამოძიების ფედერალურ ორგანოთა შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ე. წ. პოლიტიკური პოლიცია — გამოძიების ფედერალური ბიურო. იგი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული ორგანოა. მისი სამსახურები, სააგენტოები (რეზიდენტები) აღჭურვილია უახლესი აპარატურითა და ხელსაწყოებით. გააჩნიათ საინფორმაციო-სარეგისტრაციო ცენტრი და კრიმინალისტური ლაბორატორიები.

„FBI“-ს გამოსაძიებლად ექვემდებარება საქმეები, რომელიც სპეციალურად ფედერაციული კანონმდებლობითაა რეგლამენტირებული. ძირითადად ეს გახლავთ ფელონიის საქმეები. კერძოდ, სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა; თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულობები და სხვა.

გამოძიების მეორე ფედერალურ ორგანოს განეკუთვნება ამერიკის საატორნერო სამსახური, რომელიც გარკვეულწილად პროკურატურის ფუნქციებს ახორციელებს, მაგრამ არ აწარმოებს საპროკურორო ზედამხედველობას, არ ხელმძღვანელობს გამოძიებას შტატებში. მისი ძირითადი ფუნქციაა კანონის შესრულების უზრუნველყოფა კომპეტენციის ფარგლებში (და არა საერთო ზედამხედველობა), დანაშაულის გამოძიება, სახელმწიფო ბრალდებაზე მხარდაჭერა, ბრალდების წაყენება, პენიტენციალური სისტემის მმართველობა (ზედამხედველობა სასჯელის აღსრულებაზე).

რაც შეეხება აშშ-ს გენერალურ ატორნეის, იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ ფედერალურ სისტემას. მას იურიდიულად არ ექვემდებარებიან შტატებისა და რაიონების საატორნეო სამსახური. იგი შედის იუსტიციის დეპარტამენტში და კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს მას. არის პრეზიდენტის მთავარი პოლიტიკური მრჩეველი და შეიძლება ითქვას, კონსულტანტი იურიდიულ საკითხებში. გენერალური ატორნეის კომპეტენციაში ასევე შედის ფედერალურ კანონ-პროექტზე დასკვნის გაცემა და განმარტება.

ამერიკის გენერალური ატორნეი და მისი ცხრა ათეულზე მეტი საგამოძიებო სამსახური იძიებს თითქმის ყველა სახის სისხლის სამართლის დანაშაულის საქმეებს. გამოძიების პროცესში ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ შტატების პოლიციის ორგანოებთან, ამერიკის შტატების მარშლებთან, გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან და სხვა.

როგორც ჩანს, ამერიკის გამოძიების ორგანოები, მათი სტრუქტურა და ორგანიზაცია მკვეთრად განსხვავდება ჩვენი გამოძიების სპეციფიკისაგან. გამომდინარე აქედან, საეჭვოა „ხელშეუხებელთა ოცეულმა“ ანუ პრეზიდენტთან არსებულმა კორუფციასთან ბრძოლის სპეციალურმა სამსახურმა დასაბამი მისცეს საქართველოში დამოუკიდებელი გამოძიების ფორმირებას. მით უმეტეს, როგორც აღვნიშნე, ეს სამსახური, ალბათ, მთლიანად პრეზიდენტის მონა-მორჩილი იქნება, რომელიც ნებისმიერ დროს მზად იქნება პრეზიდენტის დავალებით ნებისმიერი „ურჩი“ გააბას და მორჩილად აქციოს.

ერთსაც დავსძენ, ჩვენში სასამართლო რეფორმის ორგანიზატორები საკმაოდ ორიგინალურები არიან — სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზის შემდეგ ყოველთვის ბრწყინვალე ნორმატიულ აქტებს ქმნიან. ახლა კი, შეიძლება ითქვას ამ აჯაფსანდალში, ახალი კანონპროექტი ამოტივტივდა „პრეზიდენტთან არსებული კორუფციასთან ბრძოლის სპეციალური სამსახურის შესახებ“. თურმე ნუ იკითხავთ, ამ სპეცსამსახურზე უნდა აშენდეს შემდგომში დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახური.

როგორც ვხედავთ, ეს კანონპროექტი საკმაოდ უსუსურია და მიზანიც აშკარადაა გამოკვეთილი. იქნებ მართლა დადგა დრო დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის შექმნისა, მაგრამ არა აღმასრულებელ, არამედ სასამართლო ხელისუფლებაში, რადგან გამომძიებელი თავისი საპროცესო ფუნქციის განხორციელებისას მაინც სასამართლო ხელისუფლების ფუნქციის მატარებელია.

დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის საქმიანობაში გამორიცხული უნდა იყოს მოკვლევის ორგანოებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ჩინოვნიკების მხრიდან ყოველგვარი ზეწოლა. ამიტომაც საგამოძიებო სამსახურზე სასამართლო და არა აღმსრულებელი ხელისუფლების კონტროლის საიმედო სისტემა უნდა შემუშავდეს.

თუ მართლაც დემოკრატიული სახელმწიფოს შენებაზე ვფიქრობთ, უმჯობესია რეალობის შესაბამისად და სერიოზულად მოვეკიდოთ ამ საქმეს. ხალხის კეთილდღეობაზე, მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე ვიფიქროთ და არა იმაზე, თუ როგორ შევიყვანოთ საზოგადოება შეცდომაში. შევქმნათ ერთი პიროვნების ხატი და შთავაგონოთ თავს, რომ თითქოსდა მხოლოდ ამ ხატზე ლოცვით შევძლებთ გადავარჩინოთ საკუთარი თავი და ისედაც დანგრეული ქვეყანა ბოლომდე დავაქციოთ.

**კობა კაპანაძე**

## პრივატიზაცია

# გაიყიდა ფოთის გემთმშენებელი ქარხანა

11 ივნისს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში გაიმართა საკონკურსო კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა სააქციო საზოგადოება „ფოთის გემთსაშენის“ აქციათა საკონტროლო პაკეტის (5.636.060 ცალი აქცია) კომერციული კონკურსის ფორმით, სიმბოლური საწყისი ფასით (1 ლარი) გაყიდვის საკითხი.

კომისიამ კონკურსში გამარჯვებულად გამოაცხადა შ.პ.ს. „დარლინგვუორთი“, რომელიც წარმოადგენს ცნობილი სამხრეთ კორეული ფირმის „ჰიუნდაის“ შვილობილ საწარმოს.




ეს ფირმა ქარხნის აქციების შესაძენად ნაცვლად აქციათა საწყისი გასაყიდი ფასისა გადაიხდის 101 ათას აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში, გარდა ამისა, დამატებით იგი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხავს 60 ათას ლარს, ხოლო ქალაქ ფოთის ადგილობრივ ბიუჯეტში კი 80 ათას ლარს.

„დარლინგვუორთი“ თანახმაა შეასრულოს ყველა საკონკურსო პირობა, რომელთა შორის უმთავრესია:

1. 9 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციების განხორციელება გემთმშენებელი და გემთშემკეთებელი სიმძლავრეების აღდგენა-რეკონსტრუქციის და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, თანამედროვე ტიპის მცირე და საშუალო წყალწყვის მცურავი საშუალებების წარმოების ათვისების მიზნით.

2. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღება და 700000 ლარის კრედიტორული დავალიანების დაფარვა. საწარმოში არსებული დებიტორული დავალიანების (13 მლნ. ლარი) ამოღების შემთხვევაში თანხები მიმართული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტში.

არსებული წესის მიხედვით, ყოველ 6 თვეში ერთხელ, მოხდება საკონკურსო პირობების შესრულების კონტროლი, ხოლო პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში, გამარჯვებული კომპანია დაჯარიმდება 567 ათასი ლარით.

აღსანიშნავია, რომ ნავმისადგომები (ჰიდროტექნიკური ნაგებობები) რჩება სახელმწიფო საკუთრებაში და სასყიდლიანი იჯარით გადაეცემა გამარჯვებულ კომპანიას.

შ.პ.ს. „დარლინგვუორთი“ სამხედრო საზღვაო გემების წარმოებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაინტერესების შემთხვევაში, სრულად დააკმაყოფილებს მის მოთხოვნებს და შეასრულებს შესაბამის შეკვეთებს.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და საინვესტიციო ბანკ „მერილ ლინჩს“ შორის მოლაპარაკების პროცესი დასასრულს მიუახლოვდა. ორივე მხარემ ძირითად საკითხებში შეთანხმებას მიაღწია.

ენერგეტიკის პრივატიზებით დაინტერესებული საინვესტიციო ბანკი „მერილ ლინჩი“ უკვე კარგა ხანია იმყოფება საქართველოში. მასთან ერთად, აღნიშნულ საკითხზე მუშაობენ „მერილ ლინჩის“ კონსორციუმში გაწევრიანებული ბერძნული კომპანიის — „კანტორის“ სპეციალისტები.

სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ავთანდილ სილაგაძის განცხადებით, რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა უცხოელი პარტნიორების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. პროცესებში ჩაერთო მსოფლიო ბანკიც. ბოლოს ორივე მხარის წინადადებები ერთმანეთთან შეჯერდა და სამინისტრო და „მერილ ლინჩი“ ძირითად საკითხებში უკვე შეთანხმდნენ.

თავის დროზე აზრთა სხვადასხვაობა ორმა საკითხმა გამოიწვია. პირველი ეხებოდა „თელასის“ დავალიანებას, მეორე კი მის სატენდერო ფასს.

ავთანდილ სილაგაძის განცხადებით, „თელასის“ ვალების ჩამოწერის საკითხი ქონების მართვის სამინისტროს კომპეტენცია არ არის. ხოლო რაც შეეხება ფასს, აქ რამდენიმე ვარიანტი შემუშავდა.

უცხოელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ რადგან „თელასის“ დავალიანება მის აქტივებს აღემატებოდა, მისი საწყისი ფასი, შესაძლოა, ნულის ტოლი ყოფილიყო. ქონების მართვის სამინისტრო გარკვეულწილად არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას, რადგან მინისტრის აზრით, არ შეიძლებოდა ამ მნიშვნელობის ობიექტის პრივატიზება მომხდარიყო და ბიუჯეტს არაფერი მიეღო.

ჩანს უცხოელებიც დაეთანხმნენ ამ მოსაზრებას და მუნიციპალური ენერგოკომპანია „თელასის“ სატენდერო ფასად საპრივატიზებოდ გამოტანილი აქციების (75%-ის) ნომინალური ღირებულების ნახევარი დადგინდა. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ობიექტზე არც თუ ისე დიდი ფასი მისმა უზარმაზარმა დავალიანებამ განაპირობა. „თელასს“, დაახლოებით, 100 მლნ. ლარზე მეტი ვალი გააჩნია და მისი დაფარვა ენერგოკომპანიის მომავალი მესაკუთრის საზრუნავი იქნება.

ამიტომ, ქონების მართვის სამინისტროსა და „მერილ ლინჩს“ შორის მოლაპარაკების შედეგად დადგინდა, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს „თელასის“ ვალების რესტრუქტურიზაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში ინვესტორს აღნიშნული თანხის ერთბაშად გადახდა გაუჭირდება.

მინისტრის, ავთანდილ სილაგაძის განცხადებით, ამ შეთანხმების შემდეგ „მერილ ლინჩი“ ქონების მართვის სამინისტროს წარუდგენს ოფიციალურ წერილს, რის შემდეგაც სატენდერო კომისია შეიმუშავებს საბოლოო პირობებს და ენერგოკომპანიაზე კონკურსს გამოაცხადებს. მანამდე კი, მინისტრის თქმით, „თელასის“ საკითხი მოსასმენად მთავრობის სხდომას წარედგინება.

ექსპერტების აზრით, ტენდერის გამოცხადება უმოკლეს ვადაში უნდა მოხდეს, რადგან უკვე განისაზღვრა მისი დასრულების დრო. შეთანხმების შედეგად გაირკვა, რომ 16 ოქტომბერს „თელასზე“ ტენდერი დასრულებული უნდა იყოს, ხოლო ტენდერის უახლოეს პერიოდში გამოცხადება იძლევა დროის შუალედს, რომელიც გაცილებით მეტი ინვესტორის მოზიდვის საშუალებას იძლევა. ამასთან, უცხოელი ინვესტორებიც კარგად შეაფასებენ საპრივატიზებო ობიექტს და სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ამის შესახებ ქონების მართვის მინისტრმა განაცხადა, რომ კომისია შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში იმუშავებს და სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში მუნიციპალურ ენერგოკომპანია „თელასზე“ ტენდერი გამოცხადდება. კონკრეტული პირობებიც მხოლოდ კონკურსის გამოცხადების შემდეგ იქნება ცნობილი.

**კობა ბრეგვაძე**

## გამოიწერეთ გაზეთი

# „საქართველო“

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:

- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
- გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
- დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
- რ.თაბუკაშვილის ქ. №12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
- ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.

## აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5
ტელ: 99-60-20, 93-36-93, 99-59-09, 79-50-05 (საღამოს)

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თუ გსურთ:

**საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე დაეუფლოთ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს;**

**მოისმინოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოეთში სერთიფიცირებული პროფესორ-მასწავლებლების ლექცია-სემინარები;**

**ისწავლოთ თანამედროვე კომპიუტერული სისტემით აღჭურვილ უმაღლეს სასწავლებელში;**

**შეისწავლოთ უცხო ენები თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;**

**ისწავლოთ ქალაქის ცენტრში;**

მიმართეთ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახ. საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ ინსტიტუტს, რომელიც აცხადებს მიღებას 1998-99 სასწ. წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. **სამართალმცოდნეობა** (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სამეურნეო სამართალი, საერთაშორისო სამართალი)
2. **ავტოტექნიკური ექსპერტი**
3. **საგარეო უწყებათა მომსახურება**
4. **ფინანსები და კრედიტი** (საგადასახადო საქმე, საბანკო საქმე, საბაჟო საქმე, სახ. ბიუჯეტი, სადაზღვევო საქმე)
5. **საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები** (საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერი, საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები)
6. **საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, კონტროლი;**
7. **წარმოების ეკონომიკა და მართვა** (მარკეტინგი, მენეჯმენტი);
8. **საზღვარგარეთის ქვეყნების ენა და ლიტერატურა** (ინგლისური, გერმანული, თურქული);
9. **ჟურნალისტიკა;**
10. **ისტორია;**
11. **ქართული ენა და ლიტერატურა;**
12. **დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა;**
13. **პედაგოგის ფსიქოლოგია — სკოლამდელი**
14. **ხელოვნებათმცოდნეობა**

ინსტიტუტში სწავლის ხანგრძლივობა **ოთხი წელი**.

**საბუთები მიიღება** 2 აგვისტომდე, ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა) 11-დან 17-საათამდე III სართ. ოთახი 507. მისაღები გამოცდები დაიწყება 3 აგვისტოდან. II ეტაპზე საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე. გამოცდები 26-30 აგვისტოს.

**საბუთები** — საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ფოტოსურათი 3-4 ოთხი ცალი. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები გადაიხდიან სწავლის საფასურის 80-ს. წარჩინებული სტუდენტები განთავისუფლდებიან გადასახადისაგან და დაენიშნებათ სტიპენდია. ინსტიტუტში ფუნქციონირებს ბუღალტერიისა და უცხო ენების შემსწავლელი კურსები. მომავალში გათვალისწინებულია ბაზრის კონიუქტურის შემსწავლელი ცენტრის დაარსება და მასში ინსტიტუტის სტუდენტების დასაქმება.

**უმაღლეს დამთავრებულები გასაუბრებით ჩაირიცხებიან შესაბამის კურსზე.**

**საბუთები** — უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი და ფოტოსურათი 3-4 ოთხი ცალი.

ინსტიტუტის დამფუძნებელია **საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია.**

რექტორია ამ აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. **ლეო ჩიქავა.**

**შენიშვნა:** ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე იქნება სპეციალიზაცია შემდეგი განხრით: ჟურნალისტი-ეკონომისტი, ჟურნალისტი-უცხო ენების გაძლიერებული სწავლებით, ტელეჟურნალისტი, რადიოჟურნალისტი და საგაზეთო საქმე.

სტუდენტები ხელშეკრულების საფუძველზე საგაზეთო საქმეს პრაქტიკულად შეისწავლიან გაზეთ **„საქართველოს“** რედაქციის ბაზაზე. ტელე-რადიოჟურნალისტიკის შესაბამის ტელე-რადიოკორპორაციასთან შეთანხმების საფუძველზე.

სათანადო მონაცემების მქონე სტუდენტებს (შერჩევით) შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ გაზეთ **„საქართველოს“** რედაქციაში. რედაქციის ტელ: 93-20-36, 93-18-41.

## რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „საქართველო“ თავისი ნომრის ერთ გვერდს
უთმობს სარეკლამო განცხადებებს.
რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.
ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის

**უფასოა**

დაგვიკავშირდით ტელ.: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით
მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული,
გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.



**თარაზულად:** 1. საუზმისათვის შემწვარი პურის ნაჭერი; 4. რაიმე საქმიანობაში მიღწეული უმაღლესი შედეგი; 6. მრავალწლიანი წყალმცენარე მოტივტივე ფოთლებითა და ყვავილებით; 9. სასცენო მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; 10. ღვინით მოვაჭრე; 12. ჩვენში ახლადშექმნილი სახელმწიფო საფინანსო ორგანო; 13. ორგანიზმის ავადმყოფური რეაქცია უცხო ცილების განმეორებით ზემოქმედებაზე; 14. დაფა დაწესებულების დასახელებით; 16. ყვითელი ან წითელი მინერალური საღებავი; 18. დაგრაგნილი მავთულის ერთი მარყუჟი; 20. მორის მოკლე, მსხვილი, ნუჟრებიანი ნაჭერი; 22. მოღუშული, მკაცრი, პირქუში იერის მქონე მამაკაცი; 24. მაქსიმალური გამტარებლობის მქონე სატრანსპორტო სადინარი, გზა; 25. ბაზრის შესწავლაზე დაფუძნებული წარმოების მართვის თანამედროვე სისტემა; 27. დიდი ფრინველის ნარნარი ფრენა; 29. დამარცხებულის დარბევით შეძენილი ქონება; 30. დამუხტული ატომი; 32. წვრილი ქვიშა; 34. [illegible] დიდი მხარე, კონტინენტის ნაწილი; 36. პროდუქტის [illegible] მისთვის დადგენილ სამომხმარებლო მოთხოვნებთან; 37. შესასრულებელი სამუშაოს საზღაურის წინასწარ გადახდილი ნაწილი; 38. დაუწახნაგებელი ბრილიანტი; 39. ძლიერი შეჯავრება; 41. ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული სინათლის სხივი; 42. დალევისათვის განკუთვნილი ჭურჭელი; 43. მკურნალი.

**შვეულად:** 1. სამკაციანი საშემსრულებლო ანსამბლი; 2. იუდეველთა რჯულის სასამართლო, რომელმაც ქრისტე გადასცა პილატეს დასასჯელად; 3. ქრისტეს გამცემი მოწაფე; 4. რისამე სამეურნეო მარაგი; 5. ხართან ბრძოლა არენაზე; 7. უძველესი სახელმწიფო შუამდინარეთში; 8. მინისთხილი; 11. წყლული; 12. საპყრობილედ გამოყენებული ქვითკირის ორმო; 15. კვლებიანი ნაკვეთი საკვები მცენარეების მოსაყვანად; 17. მონეტის ან მედლის უკანა მხარე; 18. ვარსკვლავთა სიმრავლე; 19. ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა; 20. მავნე ფეხსახსრიანი მწერი; 21. ძალ-ღონე, არაქათი; 22. გაიძვერული ხერხი რისამე მისაღწევად; 23. თვალის ფერადი გარსი; 26. საწარმოთა მდიდარი მეპატრონე; 28. „ათას ერთი ღამის“ პერსონაჟი, ყაჩაღებთან თავგადასავლით ცნობილი; 31. რაიმე სიტყვასთან ბგერებით იგივე, მაგრამ შინაარსით განსხვავებული სიტყვა; 32. წყლის მტაცებელი ძუძუმწოვარი, ფეხფარფლიანი; 33. წყლის სადენი ხელოვნური თხრილი; 34. ერთხმიანი ლირიკულ-დრამატული პარტია ოპერაში; 35. ნაპირიდან შიგნით დაძრული სტრიქონი ტექსტში; 39. სანტექნიკური ჩასაბანი ვერტიკალურშხაპიანი მოწყობილობა; 40. ჭაობის მცენარე სამწახნაგა ღეროთი და ვიწრო ფოთლებით.

## მილოცვა

ზურა ნაფეტვარიძეს და მაიკო ბუიშვილს ვულოცავ გაბედნიერებას! სიყვარულში და სიხარულში გეცხოვროთ.

კობა ბრეგვაძე

## გაზეთ „საქართველოს“ კომპიუტერული ცენტრი

## გთავაზობთ

გაზეთების, ჟურნალების, ბროშურების ბუკლეტების დაკაბადონებას.
ეტიკეტების (ფერდაყოფა), სარეკლამო პროსპექტების და სხვა
პოლიგრაფიული პროდუქციის დამზადებას.
ყველაფერი **იაფად, ხარისხიანად,** მაღალ თანამედროვე დონეზე და **ოპერატიულად.**

თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

მის: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართ. ოთახი 205, 206. ტელ. 93-19-99

## განცხადებები

ვაქირავებ ერთოთახიან იზოლირებულ ბინას 1-სართულზე ტელეფონით. (ტელესტუდიის პირდაპირ). ფასი 100 დოლარი. ტ: 99-94-11. (შეიძლება ოფისისათვის).

---

იყიდება 450 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე მდგარი 1-სართულიანი სახლი. ავტოფარეხით, სარდაფით, ორი აბაზანით. მისამართი: საბურთალო, ლვოვის 22. ტ: 37-90-39.

---

იყიდება სასწრაფოდ, იაფად, საბურთალოს ქუჩაზე, იპოდრომთან, მე-4 სართულზე, არასტანდარტული 3-ოთახიანი ბინა ლოჯით. მიშენებულია 40 კვ.მ. ოთახები იზოლირებულია. კედლები სათავსოებით, აქვს სარდაფი, მანქანის სადგომი, ნაწილობრივ სარემონტოა. საწყისი ფასი 32000 დოლარი. ტელ: 72-35-66. დოდო ან ნათია.

---

ოჯახში ვაცხობთ სადღესასწაულო ნამცხვრებსა და ტორტებს ლამაზი გაფორმებით და თქვენი სურვილის გათვალისწინებითაც. ტელ. 72-15-28.

---

ქირავდება 1-ოთახიანი იზოლირებული ბინა დიდუბეში ეკლესიასთან ახლოს, ავეჯით, მაცივრით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტ: 34-48-67.

---

ქირავდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა თავისუფლების მოედანზე. ფართი 39 კვ. მ., საჭირო ავეჯით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტ: 63-65-63 ნინო. დილის 12.00 საათამდე.

---

იყიდება გორგასალის ქუჩაზე ბალნეოლოგიურთან მაღალჭერიანი ერთოთახიანი ბინა, პირველ სართულზე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიაკითხეთ მისამართზე: მატროსოვის 52/2. ტატეოსიანი ალა ან რომა. ფასი შეთანხმებით.

---

ვაკეთებ ფორტეპიანოსა და გიტარის რესტავრაციას შეღავათიან ფასებში. ტ: 96-00-97.

---

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, ტელეფონით 8-სართულიანის მე-8 სართულზე კინო „საქართველოსთან“ ახლოს. საწყისი ფასი: 9000 დოლარი. ტ: 61-71-46.

---

ვაქირავებ 3-ოთახიან ბინას 8 სართულიანის მე-3 სართულზე ჭავჭავაძის 75, მე-10 კორპუსი. 1 სადარბაზო, ბინა 1. (საცურაო აუზის უკან). ტ: 23-38-39 ნათელა.

---

ვაქირავებ 2-ოთახიან სუფთა ბინას ლოჯით, ტელეფონით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, 5 სართულიანის 1 სართულზე. მაღალ ბელეტაჟზე, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“. რესპუბლიკური საავადმყოფოს მოედანზე. ფასი: 180 დოლარი. ტ: 37-23-78.

---

ვყიდი დიკენსის, რომენ როლანის, ვალტერ სკოტის სრულ ტომეულებს. ერთი ტომის ფასია 1 ლარი, ტ: 32-69-01.

---

იყიდება 2-ოთახიანი, ტელეფონიანი, პრივატიზირებული სუფთა ბინა, გადაკეთებული სამად, მიშენების ხარჯზე. რკინის კარით, ორი აივნით, ჩაშენებული კარადებით, დიდი სამზარეულოთი. მეტრო „პოლიტექნიკურთან“. გამსახურდიას გამზირზე. 8 სართულიანის მე-4 სართულზე. ფასი 27000 დოლარი. ტ: 38-81-58.

---

ქირავდება ჩეხური პროექტის 1,5 ოთახიანი ლოჯიანი სუფთა ბინა მეტრო „წერეთელთან“, 9 სართულიანის მე-6 სართულზე, ტელეფონით, არის ტელევიზორი, თერმექსი, გაზი, რკინის კარები, ფასი 200 დოლარი. ტ: 96-23-14 საღამოს საათებში.

**გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ბატონ გურამ შარაძეს ვაჟის, ლაშა შარაძის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის (№ 42) პასუხები

**თარაზულად:** 3. მუმია; 8. კომეტა; 9. სიგელი; 10. რენტა; 11. მიმოზა; 12. კანაფი; 13. ობოლი; 16. ნისია; 19. სირია; 22. თურინჯი; 23. სარჩო; 24. ნალია; 25. ნიაგარა; 26. აბასი; 29. ირისი; 32. კაცია; 35. იდალგო; 36. რებუსი; 37. ლანდი; 38. ყლორტი; 39. ლატანი; 40. ოდინი.

**შვეულად:** 1. პოლისი; 2. ნერონი; 3. მარაო; 4. მანგო; 5. ასაკი; 6. აგენტი; 7. ელიფსი; 14. ბერდანა; 15. ლანგარი; 16. ნუსხა; 17. სარმა; 18. ათონი; 19. სინაი; 20. რელსი; 21. არაყი; 27. ბუდული; 28. სალარო; 30. რობოტი; 31. სისინი; 32. კოლიო; 33. ფანდი; 34. არილი.

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიძე

რედაქცია: ანა ჯულელი (რედ. მოადგილე), ზაზა ალადაშვილი (კომერციული დირექტორი), ნუგზარ კოზოლაშვილი (გავრცელების სამსახური), კორესპონდენტები: კობა კაპანაძე, კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩადუნელი, ქეთი გეჯაძე, ხათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჟანიძე, ნანა ძველაია, დათო ავალიანი. კორექტორები: ამალია გოგრიაშვილი, ამირტა ჯანაშია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი [illegible]სის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ